

1134  
2013

საზოგადოებრივ-ცოტარაქტიური ჟურნალი



# ბ

# რილი

უცხოები იმთავითვე  
ჭაბუა უშიშროებთან


ღალა საბნოაზიცი  
ღია სტარაუა

ღაბა მილორავა  
სახლი შიშთვილში

უბარათო კაო  
მარადიული ფაშიზმი

მიხიცი ციხადაზიცი  
თანამედროვე  
ქრთველი ავტორები  
უცხო ენებზე

ღაკა ნახუციოზიცი  
ნოდარ ანდღულაძის  
„ადამიანი  
მომღერალი“



2013/ღაკაზბარი

5 (220)

საზოგადოებრივი საზოგადოებრივი  
ჯილდო მინიროსტონი

# სარჩევი

სსოენა	1	უცნობი ინტერვიუ ქაბუა ამირეჯიბთან
პოეზია	5	ლელა სამნიაშვილი
	12	ლია სტურუა
პროზა	14	ლაშა მილორავა   სახლი შიშველიში
თარგმანი	22	იაკოვოს კაბანელიის   წერილი ორესტეს ახალბერძნულიდან თარგმნა სოფიო შამანიძმა
	28	უმბერტო ეკო   მარადიული ფაშიზმი იტალიურიდან თარგმნა ნათია ბერიშვილმა
მიმოხილვა	37	მიხეილ ციხელაშვილი   თანამედროვე ქართველი ავტორები უცხო ენებზე
ესე	41	ზაზა კვერცხიშვილი   ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები იმღერებოდა...
ნობელი	45	სანობელე საუბარი ელის მანროსთან ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
ხელოვნება	50	ლუკა ნახუცრიშვილი   ნოდარ ანდლულაძის „ადამიანი მომღერალი“
რეცენზია	55	ანდრო ბუაჩიძე   უცვლელი მეტაფორები
	58	ზურაბ კალანდაძე   პოეტის ავტოპორტრეტი
	60	ჯაბა ზარქუა   არადევენერატული საკითხავი
	62	ზაზა ციციშვილი   ცხოვრება ჩვენს ზევით

გარეკანი: მამუკა ტყემელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "AriIi"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყემელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიცნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მალაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაყეიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდვილა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამზეც დამბარნი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარშილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge  
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან


© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით




ჟურნალის ბეჭდვის ხარჯებს და გავრცელებას უზრუნველყოფს შპს "დამანი"

თბილისი, პირველი ჩანჩობის ქუჩა №6  
ტელ: (995 32) 295 05 23, (995 32) 214 34 01







# „ვემენ, რაც შევიძულ“

უცნობი ინტერვიუ ჭაბუა ამირეჯიბთან

ეს საუბარი, რომელსაც მკითხველი პირველად გაეცნობა, მაშინაა ჩანერგილი, როცა „გორა მბორგალი“ სულ რამდენიმე დღის გამოსული იყო.

ჭაბუა ამირეჯობის დაკურეკე და რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში მოსვლა ვიხსენებ. მაშინვე იუარა, არ მცალიდა. მაგრამ ავუსხსენე, რომ რადიოს ოქროს ფონდისთვის მისი ხმის შენახვას ვაპირებდი და ეს ჩანაწერი აუცილებლად სტუდიური უნდა ყოფილიყო. ცოტათი იყოყმანა, მაგრამ დაამთხმბდა და რამდენიმე საათის შემდეგ ტელევიზიის დერეფანში უკვე დიდი ხნის მეგობრევივით ვსაუბრობდით.

ერთი უცნაური თვისება შევნიშნე: ხშირად ენოვდა, ოღონდ სიგარეტს ამოიღებდა, შუაზე გადატეხდა, მუნდშტუჟში ჩადებდა და ორ-სამ „ნაფაზს“ დაარტყამდა. ექიმები მიკრძალავდნენ, მითხრა.

იმ დღეს სვენებ-სვენებით „გორა მბორგალის“ ოთხი ეპიზოდი ჩავწერეთ. მაგრამ რომანის ეს თავები ავტორის შესრულებით მხოლოდ ორჯერ გავიდა ეთერში. შემდეგ ფირმი არქივიდან გამოიტანეს და ნასაძლეად გადავიდა. საქმე ის გახლდათ, რომ ელექტრო-მაგნიტური ფირი იმ დროს აღარ იშოვებოდა და მას რამდენჯერმე იყენებდნენ. ვისაც 1994 წელი კარგად ახსოვს, მიზეზებსაც ადვილად მიხვდება. სამწუხაროდ, ეს ამბავი გვიან გავიგე და როდესაც მოვიკითხე, ორი ნაწილი უკვე ნაშლილი დამხვდა. დარჩენილი ორის მაგივრად ეკ კოლეგებმა იმავე ქრონომეტრატის სხვა ფირები შემიგროვეს და ჭაბუა ამირეჯობის ხმით წაკითხული „გორა მბორგალის“ ორი ეპიზოდი განადგურებისგან გადაამარჩინეს.

ხშირად მიფიქრია: რითი იყო ჭაბუა ამირეჯობი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში? წარმომავლობითა და გვარიშვილობით?

ანტიბაჭოთა მოღვაწეობით? ციხეში გადატანალი გამძლეობით?

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რომანის შემქმნით?

შესაძლებელია, მაგრამ პირადად ჩემთვის იგი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა.

ჭაბუა ამირეჯობმა ლიტერატურაში აუტსაი-დერივით იცხოვრა. მას არ აფასებდნენ, ანგარიშს არ უნებდნენ. მისი ლიტერატურული ცხოვრება წარუმატებლობითა და მარცხით უამრავი ჩაიწოდა. „ლიტერატურულ საქართველოში“ „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი თავის დაბეჭდვამაც კი სრულიად შეუმჩნეველად ჩაიარა, რადგან ამავე ნომერში კონსტანტინე გამსახურდიას „თამარის“ ფრაგმენტები დაიბეჭდა და მიმდროინდელი ლიტერატურული ყურადღება მისკენ იყო მიმართული.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ჭაბუა ამირეჯობი არ დანებებულა, მწერლობა არ მიუტოვებია, იმედი არ დაუკარგავს და 10 წელი შესაშური სიმტკიცითა და სიჯიუტით თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ტექსტს ჩაჰპირკიტებდა. იმ დროს, როდესაც მისგან უკვე აღარაფერს ელოდნენ, უკანასკნელ მოსახვევში ყველას გაასწრო, ვისაც თავი უკვდავი ეგონა.

შეუპოვრობისა და შინაგანი რწმენის მაგალითი, რომელიც ჭაბუა ამირეჯობმა ყველა შემოქმედს უჩვენა, შეუფასებელია.

მას საკუთარი ლიტერატურული მარცხი ბუნებრივად აღიარა და მიხვდა, რომ ყოველი დაწუნებული ტექსტი ის გამომცდილება იყო, რომლის გათვალისწინებითაც საკუთარი მიზნისკენ უნდა ევლო.

ჭაბუა ამირეჯობმა პირადი მაგალითით გვიჩვენა, რომ დიდი ლიტერატურული გამარჯვება არა ამპარტანების, უსაფუძვლო თვითვანდობის, ან რომანების რეკორდული რაოდენობის, არამედ დიდი შინაგანი განცდის, წარმოუდგენელი სიჯიუტისა და ათასობით წარუმატებელი მცდელობის შედეგია.


გორგი კაკაბაძე

გ.კ.: ბატონო ჭაბუა, დღეს მინდა მხოლოდ ლიტერატურაზე, მხოლოდ თქვენზე და თქვენს ნივნებზე ვეცხსაუბროთ. „დათა თუთაშხიას“ შესავალში წერდით, რომ ბავშვობა სოლოლაკის უბანში გაატარეთ, როგორი აღზრდა გაქვთ მიღებული და როგორი ბავშვობა გქონდათ?

ჭა.: ალვიზარდე, შეიძლება ითქვას, ძალიან მაღალი დონის კლასიკურ პირობებში. მშობლებმა დაახლოებით 8 წლისა გამაბარეს. იყო თბილისში ასეთი ქალბატონი: მელანია მექმარიაშვილი-გველეხის-ანისა, ძალიან მომთხონენი და კვალიფიციური აღმზრდელი, რომელსაც პედაგოგიკის ფაკულტეტი პარიზში ჰქონდა დამთავრებული. მე მასთან 3 წელი გავატარე. 8-9 წლის ვიყავი, როდესაც ქალბატონმა მელანიამ თქვა: ეს ბავშვი სკოლისათვის მზად არისო და მაშინდა წამომიყვანეს ოჯახში. აღმზრდელთან ჩემი გაბარება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ჩვენი ოჯახი მუდამ დამოკლეს მახვილის ქვეშ იმ-

ყოფებოდა. მამამაც ხან დაიჭერდნენ, ხან გამოუმეცდნენ. ამიტომაც გული საგულეში ჰქონდა, რომ ბავშვი წესიერ ოჯახში იზრდებოდა და იმყოფებოდა. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ხასიათის ფორმირება, კულტურისა და ლიტერატურის მიმართ ჩემი დამოკიდებულება იქ ჩამოყალიბდა და რაც მთავარია, ქ-მა მელანიამ მასწავლა ნივნის სიყვარული. თუმცა არც უზნის ბიჭობაზე მითქვამს უარი. კიდევ ერთი რამ: მაშინ სკოლაში ზოგჯერ იყო კითხვის გაკვეთილი. შემოდოდა მასწავლებელი და გვიკითხავდა მზატურულ ლიტერატურას. ამას დაგმატოთ ჩემი ოჯახის ტრადიციები და ვასაგებია, რომ ყველგან იყო გაკეთებული იმისთვის, რომ ვყოლიყვო ლიტერატურათმცოდნე ან სწავლული. მაგრამ როგორც ჩანს, ამას შეენიანალმდებდა ჩემი ფსიქიკა. მე სწავლულობა არ მოვინდომე, ისევე, როგორც არ ვინდომე მუსიკოსობა. ბავშვობაში ყველა ენას მასწავლიდნენ, მაგრამ არცერთი არ ვისწავლე ინგლისურის გარდა. ამუჟამად ისიც თითქმის





დამავინწყდა. აი, ასე ჩამოყალიბდა ჩემი პიროვნება, დანარჩენი ყველაფერი ნათქვამია ჩემს ახალ წიგნში, რომელსაც «გორა მბორგალი» ჰქვია.

**გ.კ:** პირველად როდის გაგიჩნდათ წერის სურვილი?

**ჭ.ა:** 8 წლის ასაკში ლექსი დავწერე, რა თქმა უნდა, ბავშვური და უსუსური. დაახლოებით 12 წლისამ - მოთხრობა, მანამდე კი ფეხი მოვიტყეე, ლო-

გინში ვინეჭი და რაღაც მომიტანეს წასაკითხად: «კუზნეც ვაკულა», თუ რაღაც ამის მსგავსი და ის ვთარგმნე ქართულად. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეტყობა, მიდრეკილება ლიტერატურისკენ მქონდა.

**გ.კ:** მას მერე დაიწყეთ მოთხრობების წერა? ჩემგან ნუ გეწყინებათ, მაგრამ თქვენი ადრინდელი მოთხრობები საკმაოდ შუემწიფევი დარჩა ლიტერატურაში. ალბათ ამიტომაც იყო, რომ «დათა თუ-თაშხიას» გამოსვლას აფეთქების ეფექტი ჰქონდა.



**ჭ.ა:** ჯერ ჩემი მოთხრობების შესახებ გეტყვი. შემძლია თამამად ვთქვა, რომ ყველა ის მოთხრობა, რომელიც დაწერე, უფრო სასწაულო პროცესი იყო. ამ მოთხრობების წერამ დაამახანა, თუ როგორ უნდა მენერა, წერასაც სწავლა უნდა. ახლა ხშირად შეუძნებინა, რს რანაირად არის დაწერილი, ანუ ასე უსტავად როგორ გამოძებნე ამ თემის გადამწყვეტაო. არაფერიც არ მიძებნია, უბრალოდ, წერა ვისწავლე და ახალგაზრდა მწერლებსაც მინდა ვუთხრა, რომ მხოლოდ შრომა აყალიბებს ადამიანში ოსტატს. რაც შეეხება „დათა თუთაშხიას“, ესა ჩემი მთელი სიცოცხლის მანძილზე შექმნილი გამოცდილება. ვერ გეტყვი, რამდენი ხანი ვიმუშავე ამ ნაწარმოებზე, წერის პროცესს 10 წელი მოვანდომე, მაგრამ მანამდე ვიცხოვრე რთული, სტრესული მოვლენებით აღსავსე ცხოვრებით. პროზა, მით უმეტეს რომანი, გამოცდილების გარეშე ვერ წარმომიდგენია, მე ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვკულისხმობ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთადერთი, გამოცდილება ბევრს აქვს, მაგრამ იგი ნივანად ცომაში თუ აქცია, მით უმეტეს კარგ ნივანად. მე პროზაში მოვედი ორმოცი წლის ასაკში, ოცდაათწამეტისამ დაწერე პირველი მოთხრობა. უნდა ითქვას, რომ ადრეც რაღაცეებს ვწერდი ბანაკებში და ციხეებში, მაგრამ იქ ვინ რას შევარჩენდა, ნამართლებდნენ, ნაღვედნენ... მე ვცდილობდი ანტისაბჭოთა არაფერი ყოფილიყო, რადგან ახალ ვადას დამიბატებდნენ. მიუხედავად ამისა, წარმთქმულს აღარ მიბრუნებდნენ, ვწერდი რაღაც ნაწყვეტებს, ერთიორი მოთხრობა კი შემომრჩა მაშინველი. რა თქმა უნდა, ისიც უსუსური, ასე ვთქვათ, სწავლის პროცესის ამსახველი ნაწარმოები.

**გ.კ:** ეს მოთხრობები არასოდეს დაგიბეჭდავთ?

**ჭ.ა:** არასოდეს და არც ვცდილობ დამეჭდავას. აი, დაახლოებით ასე ყალიბდებოდა ის, რასაც „დათა თუთაშხია“ ჰქვია. ალბათ გაინტერესებთ, რატომ ვწერე ათი წელიწადი და არა სამი, რაკი ეს გამოცდილება დაგროვილი მქონდა. მე ვერ ვწერ სწრაფად. საერთოდ ის მწერალი არა ვარ, რომელიც ალფათი დაიწყებს და ომეგათი გაამთავრებს. მე განწყობის მწერალი ვარ, ვწერ ნაწყვეტებს. მაგალითად, 1967 წელს უკვე დაწერილი მქონდა „დათა თუთაშხიას“ ფინალი და როცა წიგნი უკვე გამზადებული იყო, ვიგრძენი, რომ ნაღვეს აკლდა. რეზო თვარაძეს და რევაზ თარხან-მოურავს ვუთხარა: „რაღაც აკლია ამ წიგნს მეთქი“. „არაფერი აკლია, დაანებე თავიო“, მიპასუხეს. დროთა ვითარებაში, ორი-სამი თვის შემდეგ, მივაგენი, რომ აკლდა პროლოგი, რომანის ეპიგრაფი. მახსოვს, დავეწერე ორი ეპიგრაფი და მივედი რევაზ თარხან-მოურავთან, მერე წავედი წაკისში რეზო თვარაძესთან, წაუკითხე და მითხრეს: „მართალი ხარ, დაწერე დანარჩენიო“ - აი, ასე იწერებოდა ეს წიგნი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვწერ. „დათა თუთაშხიას“ შემდეგ ისტორიული რომანის წერა დაიწყო - „გიორგი ბრწყინვალე“, დაახლოებით ერთი მესამედი მაქვს დაწერილი, მაგრამ მომისწრო ამ დემონსტრაციებმა, არქეოლოგიებმა და გამიტაცა სხვა თემსაკიკამ. ასე, რომ ეს რომანი

ნი გადადებული მაქვს. ღმერთმა თუ ჯანი მომცა, გავამთავრებ.

**გ.კ:** მინდა ახალ რომანზე - „გორა მბორგალზე“ კითხვით, რაზეა ეს რომანი?

**ჭ.ა:** ბევრ რამზე. იმისთვის, რომ რომანში ეპოქა დაიხატოს, უნდა დაინეროს, თუ რა ვითარებაში ყალიბდებოდა ადამიანის ხასიათი და კიდევ ბევრი რამ. ამ რომანს ასეთი ქვესათაური აქვს: „წვართანი ყოფნათა აღსრულებათა და მოქცევითაიგის“ - იმიტომ, რომ ადამიანის ბიოგრაფია, ადამიანის სიცოცხლე სხვა რამისგან შედგება: ადამიანი ჯერ სწავლობს ცხმა ქვეშ ყოფნას; მერე დგება აღსრულებათა პერიოდი, როდესაც ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს სხვადასხვა საკითხებს - ეს ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია ადამიანის სიცოცხლეში, მერე იწყება ადამიანის მიქცევის პერიოდი, ანუ პერიოდი ამ ქვეყნიდან წასვლისა; მიქცევის პერიოდი შეიცავს აგრეთვე აღსრულებათა ფენომენს: შეიძლება ადამიანი ემზადებოდეს სიკვდილისათვის შინაგანად, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმეები აკეთოს. მთავარია, შინაგანად იყოს მზად სიკვდილისათვის, წასვლისათვის, რამეთუ, ჯერ ერთი, უნდა ვანსაზღვროს, რისი გაცემაა შეძლო და რა დარჩა გასაკეთებელი, რამდენი დრო დარჩა და რა უნდა გააკეთოს ამ დროის მანძილზე; მეორეც, უდარდელად უნდა წავიდეს, არ ატეხოს ქვითინი და მოთქმა; არც მის გარშემო მყოფ ადამიანებს მოუხდეთ მისი გამოტრეკა. უნდა ნახვილად ის, რომ შენი მისია აღსრულებულად ჩათვალო. ან თუ იმდენად თავმდაბალი ხარ, რომ არ თვლი შენს მისიას აღსრულებულად, მაინც არ უნდა გეგტრონი იმას, რაც ვერ აღსრულე, რადგან ეს აღარ შედის სიცოცხლის იმ საზღვრებში, რომელიც შენ გაიარე. ეს ახალი ნივინიც სწორედ ამაზეა.

კაცი „მარბენალი“ უკვე მეექვსედ გამოიტყა შორეული ჩრდილოეთი და უკვეც დასვა თავის წინაშე კითხვა: „რა მარბენინებს? მთელი ჩემი სიცოცხლე ვავრბივარ, რატომ ვავრბივარ? არ არის ეს: სიბრუნე უარყოფის მტკიცება, თავის დამკვირება თუ სხვა რამ? მოდი, განვიხილავ ყველაფერს, რაც გადამხდა და იქნებ ანაში ვიპოვო პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ვავრბივარ, ანუ რატომ მაიშოვალბიდი ასეთი ხასიათის კაცად. ამ შეკითხვებზეა გაცემული პასუხი ჩემს ახალ წიგნში.

**გ.კ:** არ გეშინია, რომ თქვენი ახალი რომანი ნაკლებ პოპულარული იქნება, ვიდრე „დათა თუთაშხია“?

**ჭ.ა:** არა, მაგის შიში არ მაქვს, იმიტომ, რომ ვერაინ დაწერს ორ ერთნაირი ღირებულების წიგნს. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც არც ერთს აქვს ღირი ღირებულება და არც - მეორეს. არავითარი შიში არ მაქვს. არის ასეთი ლათინური გამონათქვამი: *Feci, quod potui, faciant meliora potentes* - „ვექმენ, რაც შევიძელ, კმნან უკეთ ძალამოსილებმა“ - მორჩა და გათავდა.



# ლელა სამნიაშვილი

\*\*\*

დრო სერიული მკვლეელია. დროა  
 ვალიაროთ და მივუტყვიოთ სხვა ნაძირალებს.  
 სიმართლე, როგორც კადრების ხროვა -  
 ხმაამოცლილი სამძიმარია.  
 ეს კი კვლავ ჩემი სიმაღლეა -  
 კატასტროფა ვაქციო ლექსად,  
 ვწერო სიკვდილზე -  
 არაფრით რომ არ იმსახურებს  
 არც ყვავილებს, არ ფერუმარისს.  
 მკვდარი ნივთების სამყაროში ელავს სიცოცხლე.  
 არყოფნა ბევრად ბუნებრივია.  
 ეს ღირს სიმართლე - უპირობო და უეჭველი -  
 ნელი კვდომა - გაქრობამდე აჩქარებული.  
 ბოლოს პასუხსაც აგაფარებს - დაუჯერებელს -  
 მთელი თავისი სისხლჩაქცევებით, ჩალურჯებებით.  
 უყურე - ტყინის შერყევამდე სახიარია -  
 შეუძლია ამოჭამოს სიღამაზე ნებისმიერი.  
 თვალს ვერსად გადაუშალავ. მთელი შენი ავტომატური  
 გაღვიძებები, დაძინებები - არის მხოლოდ მისი ჩახმაზი.  
 სადენებშიც ისევე ფონავს, როგორც ძარღვებში -  
 გარდაცვლილმა მეგობრებმა „ფიზიკურშიც“ შემოაღწიეს -  
 მათი ღიმილი აუქმებს ყველა ვირტუალურ სამოთხეს,  
 ყველა თამაშს, რომელიც უსაფრთხო ჩანდა -  
 სასიყვარულო ბარათების წერას,  
 რბოლას ავტომატისტრალზე -  
 უნდა უყურო როგორც მხოლოდ საბედისწეროს.  
 გაუქმებული შუქურაა - თავის დაღწევაც.  
 თვალი კი - გემი - ყინულმჭრელი -  
 თავის გზაზე ამოდ ნვალობს.

## ოთხი წლის ლექსი

ვარდები, შინ რომ დამახვედრე,  
 მთელი საღამო მხოლოდ ჩვენზე ლაპარაკობენ.  
 ჩვენს საიდუმლო ტბად იქცევა ლარნაკის წყალი -  
 მის კრიალა ნაპირებთან ჩათქმულ სურვილად, რომელიც მაშინ  
 ჭექა-ქუხილში გამოხვეულ თვითმფრინავზე ლამაზი და საშობი ჩანდა.  
 სხვა გზა არც იყო შინ დაბრუნების.

ოთხი ცალი ხავერდის ვარდი  
 ყვება ჩვენს ოთხ ნელინაზე -  
 იშვიათი ლექსებით და ხშირი სიტყვებით საესე დღეებზე,  
 რომლებიც გადენენ ათასფერი საღებავით დათხვრილ მუშებს -  
 ამენებდნენ სახლს, რომელში მბეზობდაც  
 იყო მხოლოდ შინ დაბრუნება.

საათმა, შიგ რომ ჩამოეკიდეთ,  
 თითქოს წარსულის გზებიც იცოდა -  
 გვიყვებოდა მარტოობის დავინწყების თავგადასავალს -  
 საესეს ყოფითი ხიფათებით,  
 მათი პატარა საკნებიდან  
 თავის დახსნის ყველა მცდელობას.

როგორც სწრაფი კარუსელი,  
 შორიდან რომ მხიარული ჩანს,  
 მაგრამ გზადაგზა, მძიმე ნაყოფი, ხესავით, სცივია -  
 მაშინებდა ყოფნის ყველა ატრაქციონი -  
 თვალისმომჭრელი, სულს ნამძლევი,  
 საფასურით - გარდაუვალი ტრაგედიების.

კედლებს - კედლებთან მიკედლებულს  
 და შინც ცალკე ბინადრობას -  
 ამოვესო ყველა ჩემი ძველი ქალაქი.  
 მათ სიღრმეში მეგულებოდა გაუქმებული ბავშვობის კარიც.







სამშობლო, ბაზარი - ის უსაზღვრებოა.  
გარშემო უვლიან  
ეს მთაგრეხილები, ეს წყალგამყოფები.  
ის - მშობლიურია.

### ზავის დადება

მრავლდება ხალხი თავ-თავისი სალოცავებით,  
ჭრელი ნაკადი - რიცხვებით ბრძოლის,  
ვიდრე დღეები უფრო სწრაფად ამოძრავებენ  
ყბებს და საკუთარ სხეულებს ძოვენ  
ბალახიანად, ხალხიანად.  
ეს იარაღი - ბლაგვია, როგორც ყველა ბრძანება,  
რომელიც გუშინ მედიდურად მოწყდა ბაგეებს,  
დღეს კი სასტიკად აიკრძალება  
გამეორებაც, მიდევნებაც.  
გამოძევებულს - კმაყოფილების ბერნი ბალიდან -  
ამყვა უთქმელი სიმღერები, ამოცანები,  
თავის ქალაში ისე გაღვივდა,  
რომ შეიძლება დრო სხეულში გავასრიალო,  
როგორც მბრწყინავი ნემსი - პაერში,  
რომელიც არის უმიზნო და ლამაზი არის  
ამ მითიური მიზნის გარეშეც.  
და არ ჭირდება გუმბათს - ოქრო და ცას - ვანილი,  
არც ლოცვის სიტყვებს -  
მახვილები - სიმკვეთისათვის,  
რომ შუბლებიდან - საიმედო გალაგებიდან  
ზავი დაეუღლოთ ძველ მტერს - სიკეთეს.

### ანდროგინები

ცის თალი ადგას დიდ იმპერატორს  
და მის მსუხარე, ფრთოსან მინისტრებს,  
დრო კი განაგებს ძველ ატელიეს -  
ჭრის, აგვირისტებს, ჭრის, აგვირისტებს -  
უთვალავ სახედ - ერთ მატერიას.

ისინი კი - უცხო ტომის ხალხი, კარგახნის გარიდებული  
ნაყოფიდან ნაყოფის ცვენას,  
შორიახლოს დგანან, გვიმზერენ -  
სრულყოფილები, როგორც პაერი, ან წყალი -  
კანის ფერისა და სქესის გარეშე,  
რომ არა აქვთ ნაწიბურები, რასაც შიში შეეპარება,  
ან სიბერე, ან კიდევ - ვნება.

მათი გაკვეთა ერთადერთი გზა იყო  
იმის დასამტკიცებლად, რომ მომავალში გასაღწევად  
საჭიროა ქალი და კაცი. მუხტი, რომელიც ამოავსებს  
პაერის ფორებს - ნამიერი, ერთმანეთზე დაგემილი  
სხეულების ბედნიერება, ილუზია უკვდავების,  
შემოქმედების, საჭრეთელი - ახალი სახის გამოსაკვეთად.

ყოველი ბავშვი ძღვენია მისთვის.  
თითოეული ისტორია სიყვარულის,  
სასონარკვეთა, ერთმანეთის ძებნა,  
ტანჯვა მარტოობაში. გზადაგზა კი უსარგებლო,  
აკრძალული შეჯვარებები - ენების ოია ჭრილობები -  
ახალ სიცოცხლედ რომ ვერ ხორცდებია.  
ანდროგინები, თუკი ისინი არსებობენ,  
სევდიანად უყურებენ ყველა მოწამეს -

მგრძნობიარე ფერად თოჯინებს -  
ერთმანეთის გამოძენილ ძაფებზე რომ მიშტერებიან  
სხვადასხვა ზომის ლილის თვალები,  
რომ იყოფენ ქსოვილს - ხორცისთვის,  
უთვალავჯერ ჩაბრუნებულს ჩხრილა სკივრში,  
უთვალავჯერ ამოღებულს, გადაკერილს, გადაკეთებულს,  
რომ როგორმე, იღბლიანი და შემთხვევითი შეხამებით  
გამოჩნდეს სახე - ღმერთმა თავისი თავი იხილოს.







პიეტასთან დიდხანს დგახარ ხელფეხშეკრული -  
მოქანდაკე დღემდე ლოცულობს  
და ტუჩები და თვალები ექოს ბედავენ.

ღვთისმშობელო, დაიფარე ყველა ჩვენგანი,  
ვინც კარავაჯოს ასანთბად  
რკინის ყუთში ერთ ევროს აგდებს, თუნდაც, ვერ აგდებს.

### სამხედრო წრთვები

სამი წლის წინათ, ომის დროს, ჩვენი სახლი გაძარცვეს.  
დაბრუნებულებს ყირამალა დაგვხვდნენ ნივთები,  
რომლებიც ალბათ უცხო თითებს ზიზღით ითმენდნენ.

წაიღეს ჩემი ოქროს ბეჭედი და რამდენიმე ბოთლი ღვინო.  
ალბათ ჩქარობდნენ - მარტო უჯრები იყო დაცლილი  
და არაფერი აუღიათ თაროებიდან.

მე მაინც დაერჩი მაღლობელი, რომ არ დანვეს ჩემი ალბომი,  
არ დახიეს ჩემი წიგნები. რომ საერთოდ, დატოვეს სახლი.  
ეს იქნება ჩემთვის მუდამ - სამარცხვინო მაღლიერება.

დღეს კი, როდესაც ყურისძირში, თითქმის ქალაქში,  
კვლავ გაისმის საბრძოლო წრთვები, ხოლო ოთახში  
ჩემს შვილს სძინავს, სილის განვნას გვანან ნუთები.

იმუქრებიან თითო კაცის იმპერიები -  
ჩვენი ჩონჩხები მათთვის არის ქვები, ჯოხები -  
თითქოს ერთმანეთს ჩვენი ძვლებით იგერიებენ.

ჩვენ კი ვატაროთ უხილავი სამეფოები -  
ყველა თვალისთვის უცხო მინით, უცხო მოსავლით,  
სადაც თვითონ ვართ მეფეები - გვირგვინოსანი,

ვატაროთ - ვიდრე ჯუჯები და გოლიათები  
სათითად არ გაბურღავენ, შემოანგრევენ -  
ამ სიმყუდროვეს - დროებითი გვექნდეს სანგარი.

შვილო, მრცხვენია ამ ზღაპრების. არ შეეგუო  
„ჭირი იქა და ლხინი აქა-ს“ ბოროტ დახასრულს.  
ის არ არსებობს. თუ არსებობს, შენ ნუ ისურვებ.

ჩვენი ფარული სამეფოების გარეთ გამოდგმა -  
თანდაყოლილი სიმსივნეა ეს სიყვარული -  
სამშობლოსი კი არა, მინის. ეს - ქვემეხების იაენანაა.

თავს ვინ დაიძვრენს საკუთარი თავის ხიბლიდან,  
როცა დრო ასე მყარად, ერთგულად  
ამაგრებს ყველა ბავშვის ყოფილბანდს.


\*\*\*

შენი თვალები - ტბებიანებია -  
შიგნით მარილის კვინტიბიც ტკბებიან  
და მეც კენჭით ვისროლე მონყენა.

სიტყვები - თავნება და ვნებიანი -  
ახლა გრძნობებზე ბევრად ნაკლებია,  
მე კი ჯიუტად მინდა, რომ მოგწერო -

ვილაცას ვუყვარვართ, თან ისე ძალიან,  
რომ ძილის ნება მივეცი ჩემს თავს -  
სიფხიზლეს ვივინყებ. ვიძინებ შენთან.

უშენოდ - უშნოა - რაც ადრე ბრწყინავდა -  
გზები და მზეები - ყველა წინა დღის -  
ამ ძილისათვის მეთმობა.



ვარსკვლავიც დაენყო - თავისით - კრამიტად -  
ხედები - ტბებია - სარკმლიდან, კარიდან -  
ეს გაეს უთხოვენელ შენდობას.

ვილაცას ვუყვარვართ, თან ისე ძალიან,  
რომ ძილის ნება მივეცი ჩემს თავს -  
სიტყვებსაც ვივინყებ. ვიძინებ შენთან.

### სააღდგომო მზადება

თითო ნაჭერი - მამლის ხორცი, ბატკანი, თევზი -  
შენი სახელით - გამართლება ჩვენი ნადიმის -  
როგორც კვერები - ზიარების - შენი ტრაპეზის  
სუფრიდან, შენი ლოდინი რომ გაგვიადვილოს.  
უფალო, ჩვენი მოლოდინიც აბეზარია -  
ვხმაურობთ, ვგავართ კრაზანების ბუდეს ნამდვილად -  
შენი ნყალობის თავლი გვინდა ყველას სადილად.

ალარავისთან არ მაქვს საქმე შენს გარდა, რადგან  
სხვა ყველა ზუსტად ჩემი მსგავსია -  
თუნდაც კისური მოტივების, ყირაზე დადგეს  
ვერ ამოძვრება სიერცის გარსიდან,  
რომელიც ისე გაინელა, გონების გაცდა,  
ყველა ფორმა და ჩრდილი გასცილდა.

ჰე, ღმერთო, ერთო, გაეყაოლე ცხოვრებას თვალი -  
(ამ მანძილს მხოლოდ თვალით ამოთხრი)  
ვერტიკალური უფსკრულია, თუნდაც რომ იყოს  
კაპკაშა, როგორც ბრძენის სამოთხე,  
ნარსული - ცხვრების გაძოვილი, გადათელილი,  
აქა-იქ - ნამწვით - განწირული ამბოხებებით.

ალარავისთან არ მაქვს საქმე შენს გარდა, რადგან  
სხვა ყველა - ჩემი გენომებიდან  
გამოზრდილია - ბრმა კიდურებით  
თავყვანს გცემენ თუ გეომებიან -  
მათი ეჭვების გარნიზონები -  
დამარცხებაში მეორდებიან.

ჰე ღმერთო, ერთო, გაეყაოლე ცხოვრებას თითი -  
სტრიქონებს შორის პურის ნამცეცხებს  
და ჭიანჭველებს გადავანყდო - გაფაციცებით  
რომ ირეოდნენ. მათგან არც ერთი  
არ მოათრევედა სარჩოს შენსკენ.  
მე კი - გეძებდი. ასე დამარცვლით -  
მეგონა, რომ პოვნას შევძლებდი.

ალარავისთან არ მაქვს საქმე შენს გარდა, რადგან  
ყველას პასუხი მჭლეა, მსუყეა  
და მე ვუმიშლილბ. ასეთი მარხვაც  
არსებობს - ასე კევაზე სულ ყველა უძღებ შვილს,  
ასე მტკიცედ, ურყევად  
უტოვებ შენთან მოსვლის უფლებას.

გვაქვს სააღდგომო სამზადისი -  
ვდგავართ მიჯნაზე -  
სიცოცხლისაკენ მობრუნება გვსურს გულმხურვალედ  
და ჩემი ხელიც უნებლიედ გადამწერს პირჯვარს,  
რადგან აპრილის ხეხილს ვუყურებ.

### ისევ ფოტოგრაფია

აი, ბავშვები, ვისი პირველი ფოტოებიც არის ფერადი -  
პირველი თვიდან მკაფიოა თვალის ფერი,  
ბაფთების ფერი, ყვავილები - ბამბახიაზე  
საყვარელი ტონალობები დედის და მამის,  
ნათლიების - ჭრელა-ჭრულა გეტრები და საწვიმარები.  
ფოტო-ალბომებს თვალი უსმენს -



სეზონები გაიმბობნენ თავ-თავის ამბავს -  
სხეულებზე მეტად - ფერებით -  
... თუ მწვანე ქარბობს, სააღდგომო სამზადისია -  
ხახახა მწვანე გადასდის ჰაერს,  
თეთრი სუფრა - მთელი თავისი სანოვაგით -  
შეკუმშულა შინდისფერ კვერცხში.  
ბავშვი ხელს იწვდის -  
რომ გაზაფხულს, საბოლოოდ, მუქი ნაჭუჭი შემოაცალოს.  
ზაფხული კი - ლურჯი, ყვითელი -  
სარაფნები - ერთმანეთის გასწვრივ, დღეებზე -  
როგორც სარეცხის თოქზე - ფრიალებს -  
ნითელი, მწვანე, უოლოსფერი, მწვანე, ნითელი.  
მერე მტევანი იწყებს ლაპარაკს -  
ფერით გეტყვის ენა რამდენად დაშაქრული აქვს,  
რთველში ბავშვებიც გვიანად ყმანვილ დიონისეებს -  
მათ თვალეებში სხივი თამაშობს -  
ერთ ადგილზე ფოტოშიც რომ ვერ გამოიჭერ.

ძველ ფოტოებს როცა დაეყურებთ,  
თითქოს იქაც ყველაფერი არის წესრიგში -  
ნაძვის ხეზე ყველა ბურთს აქვს თავისი ფერი,  
ნითლად ელავენ ყელსახვევები, დედის კაბა არის ბაცო  
აგურისფერი, მზეზე თვალეები გვიმწვანდებდა,  
მამა ზუსტად ჩვენი ხნისაა, ლურჯი აცვია,  
ბებიას კი ვარდისფერი პომადა უყვარს.  
ბავშვებს ვუამბობთ ფერებს - დამარცვლით.  
ჩვენს ყველაზე ფერად ფოტოებს შავ-თეთრი ქვია.

\*\*\*

სახლის მცენარეს რა შეუძლია?  
წყალს თუ დაუსხამ - მწყურვალს, უძინარს -  
ფესვებით გაშლის ქოთანში ლოცვანს.

თუ არ დაუსხამ - მაინც ილოცებს -  
ხველებ-ხველებით, გვალვის ბრონხიტით -  
ოთახის ჰაერს მოხვეტავს ბორცვად.

მინდვრის ნარგავებს, ველურ არსებებს -  
თუ უწყალობებ ნვიმებს - მოსვამენ,  
თუ მოანყურებ - კისრებს დახრიან.


ვინც კი მშვიერი სადმე დაგრჩება,  
რომც გაგაბედოს და შემოგლინოს -  
მხოლოდ საკუთარ არსებას დახრავს.

სარჩოს - სარჩოსთვის რომ ანანილებ -  
შენი ხორბალი, მხეცი, ფრინველი -  
ერთ უზარმაზარ ქვაბში ირევა.

ფოთოლი, ფრთა და ბრწყალი ყოველი -  
სრულქმნილებისთვის გამოყვანილი -  
დანაყრებისთვის მაინც მცირეა.

რომ არ გყოლოდი თავისუფალი -  
სიყვარულიდან გაზრდილი მიში -  
დაკარგვის მიში - ჩემზეც დაგეშე.

ახლა თითების ბალიშებიდან,  
თმის ლერებიდან, კიდურებიდან -  
ეს შიში ჟონავს და არ გამოშვებს.





# ღია სტურუა

## სუიციდის მცდელობა

ერთი ზღვით შემეშალა, ერთი ყულფით,  
 ნამლის ფერით და ტკივილის შემეშინდა...  
 ღმერთო, იქნებ,  
 ჩემი ქალაღდური წარმოშობის გამო,  
 იქვე ჩამარბუნო!  
 როცა ძალიან თეთრია,  
 შემოქმედებითი კრიზისის გათვალისწინებით,  
 ამაღლამაც ექნება.  
 იქ ამოვიკანრავ ადგილს.  
 ახალ ფეხმძიმობას ან მომიხერხებს,  
 ან ვერა, მაგრამ სახლია...

## ჟირაფი

გული, უფრო ხშირად, ყურებში მაქვს.  
 გენეტიკური შეცდომა, თუ  
 ქათმის თეთრი ხორცის შიგნით  
 ვერ იმუშავა? ყველაზე საჭირო  
 ადგილას ჩადგა, სადაც სასულე ორკესტრები  
 ზღვის სიახლოვეს ტყუიან,  
 როგორც ჟირაფი უცხო ქალაქში,  
 კითხვის ნიშანივით ყელი რომ არა...  
 ხომ იცის, რომ დაბახულია,  
 მაგრამ მნახველებმა  
 მუცელში რეფლექტორი ჩაურთეს...  
 ელექტრობას თავისი კანონები აქვს,  
 დაუკითხავად ვერ მოუკვდები  
 ყველა ნაოჭით და სახსრით  
 მაგრძნობინებს ამას, არ მიშვებს  
 სიმართლის მაძიებლის პოზა  
 მინაში ჩავდო...

## მთავარი თემა

რომელიმე საავადმყოფოში  
 კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში,  
 როცა ერთი სანოლში ვწევარ,  
 ერთი ჭერზე დავედივარ,  
 საკუთარი თავის დემონტაჟს ვუყურებ  
 და სანამ მაჟირიალებს,  
 ანუ სახეზეა ჭიანჭველების ეფექტი,  
 თოვლი არ მიყვარს  
 და გვირილები შეგიძლია, ღმერთო,  
 ჭუჭყიანი დერეფნის ბოლოში!  
 ყვითელი გული - შიდა განათება,  
 შავი დღისთვის შენახული ფულივით,  
 არის და არც არის, მომავალს გავს,  
 რომელსაც გარედან ილუზია შემოვაჭამე,  
 რაც დარჩა, რეალური მაინც, იყოს,  
 ან პურის ობი მოიკიდოს,  
 ან ოთახის სუნი გაუჩნდეს,  
 ოლონდ, არა ანვერიზმები ნითელ ძაფებზე -  
 მონადირე ძაღლები,  
 რომ სისხლით სავსე ჭიქებში განმახორციელონ  
 რა მონუმენტურობაზეა ლაპარაკი,  
 როცა ხორცი მტკიავა, რომლითაც დავედივარ.  
 და ესთეტიკურ ფორმას ვცდილობ,  
 როცა ტვინში გამეჭედა წყვილი ნმინდანი -



ქალური რითმა  
და მომავალს დამპალი ვაშლის სუნი აქვს.  
- მიშველეთ-მეთქი. რიტორიკული თხოვნა არავის,  
ან, იქნებ, თოვლს, ქალაქშიც რომ მოვა,  
თავიდანვე ჭუჭყიანი  
გვირილები რა შუაშია,  
როცა თემაა ცარიელი დღეების...

**ფსკერი**

მთელი სიცოცხლე ფსკერი დამდევს...  
თეორიულად კი ვიცი,  
რომ უფსკრული მარტო ღმერთია  
ცვივა და ცვივა ჩვენი შიშები,  
სურვილები, ფანატიზმი  
და არაფრად არ იქცევიან.  
აბა, მოკლე ჩართვა თავში,  
პოეზიასთან ნილნაყარობა?  
ნემსები ფრჩხილებში,  
საიდანაც ან მკვლელს ამოიყვან,  
ან საშუალო სტატისტიკურ ზღარბს,  
ვაშლებით ეკლებზე  
(შაბლონი და არა სისხლი)  
ამ შაბლონებისგან შემდგარ ცხოვრებას  
ნემსებს შევაჭმევ, წითლად დაიღვრება,  
თავიდან გართულებებს ამომიღებს,  
შიგ ატრაქციონებს ჩამიდგამს,  
თავისი მიკროფონიანი მზეებით!  
ტალახიანი ფსკერი კი დამდევს,  
როგორც ბუდის თანდაყოლილი ხავერდი,  
და მშობლიური ტყუილი ლექსში...


**ფოტო**

ასეთი ხარ ფოტოზე - ხისტი,  
მაცივრიდან ამოღებული,  
არავითარი სახე, რიგითი ხელები,  
ხაზგასმული შიში თვალებში,  
ყველაფრის წინაშე, რასაც ირეკლავენ,  
მარტო ტუჩები, წითელი მარკერით მონიშნული,  
როგორც განცხადება  
სამუშაო ადგილის შესახებ,  
ან პირდაღებული გაკვირვება  
ფოტოთი, სახელსაც რომ ვერ მოარგებ,  
რამდენიმე ზომით დიდია,  
უნისექსით გათანაბრებული  
ამ კაშკაშითაც რომ დავიწყით,  
რაკურსების თამაში ცხვირთან, წაგებულია,  
სამი მეოთხედის პოზა  
ბევრი ხორციტ გაფუჭებული  
როდის გაუკეთეს ნიკაპს საფუარი,  
ბოტოქსის ნაცვლად?  
ნეგატივის ტალახისფერ გარემოს კი  
შენი დედანი სინათლის მუშტებს ურტყამს,  
გალწევას ცდილობს, იცის, რომ ტყუილად,  
მაგრამ მოქმედებას  
მაცივარში, მაინც, ვერ ჩაუკეტავენ,  
ბიომეტრიულ ფოტოსაც ვერ მიიღებენ  
ალბინოსი ნეგატივიდან  
ასეთ თოვამი  
ნაკეთებს ვერ დააზუსტებენ.



ლაშა მღვდელაძე

# სახლი შიშთვიდში





ნაჯახი ტყის ხილრემში გაფრინდება, ბასრი წვერი ერთი ხის მერქანს მოკლე ნაიარვეს დაამჩნევს, ერთი-ორ ფოთოლს მოგლეჯს და დაათოს კეფაში ეცემა. სისხლი ჯერ ღრმად შესული ნაჯახისგან დატოვებული კანიონიდან იფეთქებს, შემდეგ კი სწორხაზოვნად გადაიწყებს დენას, კიბერს ჩამოუყვება, მხრებზე და დასანვდება და ქვემოთ, ძირისკენ გაემართება. დათო თვალებს აატრიალებს, ჯერ მუხლებზე დაეცემა, შემდეგ წინ გადავირგვება და თავს რომელიღაც ხის ფეხს ჩამოარტყამს. წარბი გაუსკდება. დაცემისას ნაჯახი ოდნავ მარჯვნივ გადაიხევს, კანიონს ვაგაერთოებს და სისხლიც რამდენიმე წამით გეიზერით ამოასხამს. დათო მომენტალურად გათავდება.

ვება წაიღებს ერთ კვირას. თუ ფულის მოცემა, ორმოცდაათი პროცენტით მომეცი და უელვამი წავალ. იქ უფრო დავისწავნებ.

– ხო, რო ერთი ბორდელი არ გამოტოვო, არა? მიშო, მთავარი არ გვსმის - ბოზები კი არა, სიმშვიდე გჭირდება შენ. ბოზი ვაგართობს, წიგნს კი არ დაგიწერს.

– და იქნებ აღარ შემოძლია წიგნების წერა? ჰა? არ გიფიქრია ამაზე? უკვე სამი წელია, ერთი მოთხრობაც კი არ დამიწერია.

– მაშინ არ მესმის რას ვაკეთებთ აქ... რა გესაქმება ახლა ჩემს კაბინეტში? თუ წერა აღარ შეგიძლია და დაწლუნგების გზას ადგამარ, რა უნდაბაას აკეთებ მაგ სავარძელში? აღარ ვარ შენი გამომცემელი, - მართლაც ბავშვურად გამოსდის ქალს, მაგრამ ეს პერფორმანსს წამითაც არ აფერხებს. - ადექი და დაახვიო.

მიშო დამყოლად ამოიხენუნებს. იცის, ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, მაგრამ იქნებ დროა სერიოზულად დაფიქრდეს ამ ყველაფერზე? ნუთუ მართლაც დაკარგა წერის ნიჭი? ან იყო კი ის ნიჭი, რაც ამდენი წლის განმავლობაში აწერინებდა? მაშა მართლაც ამბობდა - ბოლოს ყველა სოფელში ბრუნდება. მართალია მიშა ქალაქში დიბადა, მაგრამ წარსულში ნოციერი ფესვების გაღეჭვა არასდროსაა გვიანი.

მიშო სოფელზე იწყებს ფიქრს და ფეხზე დგება. გასასვლელისკენ წელა, გამოზომილი ნაბიჯებით მილასლავებს.

– სად მიეთრევი? - ეკითხება გაკვირებული გამომცემელი.

– შენ არ მითხარი?.. - მიშა წინადადებას აღარ ამთავრებს. ისედაც ზედმეტად სულელურად გამოიყურება მთელი ეს სცენა. კიდევ უფრო მეტი სიყალბის შემატებას ვეღარ გააშულებს.

„ოხხ“, თავს აქნევს გამომცემელი, მაგიდის უჯრას ხსნის და იქიდან რეკების ბლოკნოტს იღებს, ერთ-ერთს ხელს აწერს და მიშოს უწვდის.

– გამომართვი და დაახვიე აგარაკზე. ა-ა-რა-აკუქ! გეხმა?

მიშა ჩეკს ართმევს და დაუხედავად ქურთუკის ჯიბეში იტენის.

სოფელზე ფიქრს მოგვიანებით განავრძობს.

2.

1. მიშა (სამეგობროში „მიშო“), გამომცემლის კაბინეტში, სავარძელში ზის, ფეხი ფეხზე გადაუდია და ღერს ღერზე ეწევა.

– მერამდენეს ეწევი უკვე, ნუ? – ბრაზობს ქალი. დიახ, გამომცემლები ხანდახან ქალებიც არიან. - ისედაც იცი, სივარტის სუნს ვერ ვიტან.

მიშა ნახეგრამდე ჩამწვარ ღერს საფერფლეში ატყულებს.

– გაქვს რამე იდეა?  
– აი, თქვენ ხო შემეცით რა!.. - თავს აქნევს ქალი. - არ შეიძლება ერთხელ ვინმე ბუნწულაც შემხვდეს?

– ბუნწულა მწერალი რა ჭირად გინდა?  
– კაპრიზულ ნაბიჭვარს კი მირჩევნია და...  
– აჰ, უკვე ნაბიჭვარიც გავხედი, - მიშა ტურჩებს ათამაშებს.

– ყოველთვის ნაბიჭვარი იყავი... აქ მოსვლის პირველივე დღიდან. აღარც მახსოვს როდის იყო... ათი წლის წინ?

– თერთმეტი.  
– ხო, თერთმეტი... თავიდანვე გეტყობოდა რა სისხლისმსმელიც იყავი.

– ახლა კი ატროფიაა მჭირს და შენ უნდა დამემარო სისხლის შესმაში.

– მიშო, მე ველარაფერს გიზამ... ვერ გიშველი. დიდი ხარ უკვე, დროა ტრაკის განძრევაც ისწავლო. - ტრაკის ქიციინით ახალ წიგნს ვერ დაწერ.

– გითხარი განძრე-მეთქი, შენი ტრაკის ქიციინილა მაკლდა, რა!

მიშო ამოიხენუნებს, მუხლებში თავს ჩარგავს და რამდენიმე წამით გაყურებული ზის. კაბინეტში ახალ-შემოსულმა ნაბატარავებული, შეკუმშული მწერალი შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს.

– ჰონორარის ოც პროცენტს ახლავე დივანზე, იყიდე სასმელი, საჭმელი, ჩაალაგე ჩემოდანი და ნებრძანდი იმ შენს აგარაკზე. მაინც ტყუილა გაქვს მიგედებული. ჩადი, მონერაგდი, დაისვენე. დასვენება გჭირდება, მიშო, და-სე-ნე-უა! აი ნახე, როგორც კი ჰაერს გამოიფრებ, თავს უკეთესად იგრძნობ.

მიშა აღმაცერად უყურებს, თითქოს დარწმუნებული არ არის ქალი ეხუმრება თუ სერიოზულად ურჩევს აგარაკზე ასვლას.

– იმ დამოტყსულ აგარაკზე რალა დამრჩენია? ალბათ ყარს იქაურობა. მარტო სახლის განაი-

კიდებდნენ ხელს და ბოლოს და ბოლოს სანატრულ ნავის ყუთში, ან უკეთეს შემთხვევაში - კოცონში ჩაუძახებდნენ.

მიშა საძინებელში გადის და გახანა იწყებს. თუ ყველაფერი გვემის მიხედვით ნავა და ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში მშვიდად გამოძინებას შეძლებს, გაღვიძებისთანავე ჯერ ბანკში გაივლის, რათა ჩეკი გაანაღდოს, შემდეგ კი აგარაკზე ავა. მარტივად.

აბსოლუტურად შიშველი სანაღებე იმხარეთება და თვალებს ხუჭავს. ორიოდე წუთში ძილიც მოდის.

მიშას სცივა. ასეთი თოვლი 95-ის მერე არ ახსოვს, - სადაღაც მეტრანახევრამდე აღწევს. ტყავის ბათიკეპში წყალი მაინც შედის და ნაბიჯის გადადგმისას სპეციფიური ხმასაც გამოიცემს. წინდები, ალბათ, ერთიანად სველია. მიშა წინ მიინევს, თუმცა წარმოდგენა არ აქვს საით მიემართება. თოვლისგან გამორჩეულ სითეთრეს თანდაყოლილ ნისლში ირგვლივ რაიმეს გარჩევა წარმოუდგენელია. სახეზე ფანტელები და სუსხი რომ არ მოხვდეს, მიშას თავი დაუხრია და ჯოუტად მიინჯვს წინ. ჯოჯოხეთურ სირწყუმს მხოლოდ ქარის სუსტი ზუილი არღვევს. უეცრად დათო ჩერდება, - ფეხი რაღაც თოვლისგან განსხვავებულს, მყარს დაადავა. ყინული ნამდივლად არაა, - ფეხი ხომ მაინც აუცილებლად ბოლო-ბოლო. მუხლებზე დგება და თოვლის ფერთხვას იწყებს, შემაფრთხილებს საგანზე რომ გორად დამდგარი. ერთ ადგილას უკვე გამოჩნდა რაღაც შავი. მიშო სწორედ იმ ადგილას ააქტიურებს ხელების მოძრაობას. აი, ფეხებიც გამოჩნდა. „ადა-მიანი“, ფიქრობს მიშა და გულის გაათამაგებულ მუშაობას მთელი სხეულით გრძნობს. უკანასკნელ ფენას მოაშორებს და უკვე დარწმუნებული, რომ მის წინაშე გვაშია (რა თქმა უნდა, გვამი. აბა ამ ყინვაში, თოვლის ფენებქვეშ მოქცეული ცოცხლად როგორ გადარჩებოდა?) სახეზე აკვირდება. მამაკაცია, გრძელი, ხშირი შავი წვერიითა და ლამაზი ფიზიონომით. ერთიანად გალურჯებულ კანზე პატარა, კეხიანი ცხვირი სასაცილოდ გამოიყოფა, თითქოს მიკერებულია, რაღაცნაირად კონტრასტიდან ამოვარდნილი. მიშა კარგად აკვირდება, თითქოს საკუთარ თვალებს ვერ უჯერებს... სხეულს იღივით ხელს ჩააღებდა და ნაშობჯდარს, უკან აღმართულ თოვლის კედელს აყუდებს. „ნამდივლად... ნამდივლად“, გაიფიქრებს მიშო და პირზე ხელებს აიფარებს (არა იმდენად გაოცებისაგან, რამდენადც - გასათბობად). ეჭვი არ არის, - მის წინაშე თოვლის ზონის მიუხედავად გვამი თვითონაა. ქუდიც კი იგივე ახურავს, - შავი, ყურებიანი, შიგნით მელის ბენვიტა და წინ ნიშნით „C“. მიშო შემინებული უკანა მიბრუნდება. „იქნებ მეც იგივე ბედი მელის... ან იქნებ უკვე მკვდარი ვარ?“, გაიფიქრებს, თუმცა ნაფიქრის აზრსმოკლებულობა თრგუნავს. წინ მისი სხეული. და იგი მკვდარია. როგორღა არის მაშინ თვითონ ცოცხალი? „შეიძლება უბრალოდ ქვეცნობიერი ერთობა ასე“, იტყვის ხმაბალა, ოღონდ წარმოდგენა არ აქვს ვის გასაგონად. შემდეგ დაამატებს: „ნამდივლად... ეს ყველაფერი მხოლოდ და

მხოლოდ ქვეცნობიერის ხრიკებია“. წინადადებას დაამთავრებს თუ არა საჯდომით რაღაც მყარს დაუჯახება. მხოლოდ ახლა აცნობიერებს რომ თოვლში უკანალით ბობლავდა და უკვე იმდენი გაირა, გვამი აღარც კი ჩანდა. მუხლებზე ნამოჯდება და თოვლის მორიგი გორის შლას იწყებს. მის ქვეშაც გვამს პოულობს. ეს ახალი ნაკლებად ჰგავს მას, წარბები ოდნავ უფრო ხშირი აქვს და ყვინძალებიც უფრო გამოკეთილი, მაგრამ იმის თქმა, რომ გვამი იგი არ არის, მიშოს ნამდივლად არ შეუძლია. „რა ხდება, ეშმაკმა დასწყველოს?“... ნისლი თანდათან იფანტება, თვალთახედვის არეში ჯერ ერთი ბენ ხეები, შემდეგ კი მიტოვებული სახლები ჩნდება, ჩაღვნილი ფანჯრებითა და მონგრეული კარებით. ირგვლივ ათობით, ასობით, ვინ იცის - თასობით ასეთი გორა ნამოჭმობია. მიშა ხვდება რომ თითოეულის ქვეშ ერთი და იგივე ადამიანის გვამი განისვენებს. უეცრად ტყინძი ტკივილის ტალღა დაუვლის, თითქოს კეფაში მძიმე საგანი ჩაარტყეს. თოვლის ხალიჩაზე ეცემა... გონს კარგავს...

მიშას ეღვიძება. მთელ სხეულზე ნებოვანი ოფლი მოსდება. საათს უყურებს - ზუსტად ოთხი საათია გასული. თითქოს რაღაც უხილავმა ძაღლმა სიზმრის ხანგრძლივობა წინასწარ განასაზღვრეს.

შხაპის ქვეშ ნახევარი საათი ჩერდება. ჩემოდნის ჩალაგებას გაცულებით ნაკლები დრო მიაქვს. ქურთუკს იცვამს, მანქანის გასაღებს იღებს და სახლიდან გადის.

ბანკში ყველაფერს ათ წუთში აგვარებს, თანხა გამოაქვს და სუპერმარკეტში მიდის. გზად ფიქრობს რისი ნაღება იქნება მიზანშეწოლილი და რისი - არა. ალბათ ბევრი სასუსნავი არ არის მართებული, - ჭამისადმი განსაკუთრებული სიყვარულით არც არასდროს გამოირჩეობდა, რაღა ამ ერთ კვირაში გამსუვნავდება. ალკოჰოლი ბლომად დასჭირდება, ამაზე ორი აზრი არაა. „ხო, ბევრი ალკოჰოლი“, ამბობს თავისი თავი და სახეს ძალაუნებურად ეშმაკური ღიმილი უმახინჯვებს.

სუპერმარკეტიდან გამოდის და შეკერებს საბარგულში აწყობს. ათი ბოთლი აბსოლუტი, ორი ბოთლი კონიაკი და ერთი „შატიო მუხრანი“, ალადასტური. თან მოყოლილ პატარა ბროშურაში მიშო კითხულობს: ალადასტური, ქართული ვაზის ვეძი. მისი კლორტისინი 75-77% ნაყოფის მომცემია. ნაყოფი წითელია, საღვინე და სუფონისა. მტევანი საშუალოდ 200 გ იწონის. მწიფდება ოქტომბრის შუა რიცხვებში, ინახება გაზაფხულამდე, ტრანსპორტატელორია. მოსავლანობა - ჰექტარზე 70-100 ცენტნერი. ალადასტური გავრცელებულია ჩოხატაურის, ოზურგეთის, ვანისა და სამტრედიის რაიონებში. მისგან აყენებენ წითელ ღვინოს, რომელსაც ალკოჰოლისა და მჟავიანობის ჰარმონიული შეფარდება, საუკეთესო სხეულანობა და სასაიომონო სურნელება აქვს. ვადამწიფებული ყურძნისაგან მზადდება მაღალხარისხიანი, ნახევრად ტკბილი ღვინო „ალადასტური“. დანარჩენი ფულით მისაღვივლად მოსამზადებელ პროდუქტს ყიდულობს. „გასტრონომიული ექსპერიმენტების დრო ახლა ნამდივლად არ არის“.



სუპერმარკეტის ავტოსადგომიდან გამოდის და რუხი ავტომობილების კოლონას უერთდება.

3.

სოფელი შიშთვილი დედაქალაქიდან ნახევარი საათის სავალზე, მალა, მთის მოშიშვლებულ კალთაზე მდებარეობს. სულ ხუთი ოჯახით, ეს ადგილი რომელიღაც მივინყებულ, დაწყველილ ფერდობს მოგაგონებთ, ვარშემორტყმულს გაუვალი ტყით. ზაფხულის აუტანელ სიცხეს, ზამთრის შემზარავი ყინვა მომენტალურად ცვლის. შვიძლება ვერც კი მიხვდეს ჩაიფურთო ერთი მზიანი დღის შემდეგ სქელ, დათისბუნვიან ერთუტყში.

როგორც კი მიმა სოფელში შევიდა, თვალში უმაღლესი უსწარმასწორო, დანგრეული გზა მოხვდა. მწერლის თვალს არ გამოჰპარვია რამდენიმე კოლომეტრის მანძილზე ირგვლივ დაგებული გზები, მითუმეტეს, რომ მათზე მოძრაობდა. „რთი ვერ მიხედეს ამ დაწყველილ ადგილს?“, გაიფიქრა და სვლა შეანელა. ოცდაათი კოლომეტრი საათის სიჩქარით მოძრაობა აქ უკეთეს შემთხვევაში მოძრაი ქონების მომენტალურ დაკარგვას ნიშნავდა, უარესში - სიკვდილს. სამოცდაათი მეტრის სიმაღლეზე მიმავალი ოღროზოლო, თითქმის გაუვალი გზა პირდაპირ მოითხოვდა დასაწყისში ტრაფარეტი გაეკეთებინათ: „Highway to Hell“.

თბუთმეტ წუთში მიმომ საკუთარ ავარაკს მოჰქრა თვალს, ერთმანეთისგან ორმოცდაათ-ორმოცდაათი მეტრით დაშორებულ სამ სახლს შორის ყველაზე მაღალს, საილენქისფერი აფურით ნაშენს, უკვე ალბა-ალბა ჩამოფხეკილი საკვამურითა და უზარმაზარი მუხით მასსა და მეზობელ სახლს შორის.

მისი ნაკვეთი, რომელზეც სახლი იყო აგებული, ბაბუამისმა რამდენიმე მანეთად იყიდა. მამა ამბობდა, რომ იმ კაცს, ვინც ეს ადგილი ბაბუას მიჰყიდა, მისი დიდი ვალი ჰქონდა, ფულს ვერა და ვერ შოულობდა და ამით გადაუხდა. თუმცა ბაბუა ისე მოკვდა, ანებლა ტერიტორიისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, რამდენიმე ათეული წელიწადი უსახურ ტრამალად დატოვა. სახლის აშენებაზე მოხუცის გარდაცვალების შემდეგ მამა დაფიქრდა და 80-იან წლებში მასალაც თავაგროვა. „სტროიკაზე“ დასაქმებული ნათესავი ხელოსნები, ინჟინრები, მღებავები, მჭერთავეები თუ უბრალოდ დამშმამრები, თავისთავად არ ჩქარობდნენ, ყველაფერს ნელა, ზანტად, თუმცა ხარისხიანად აკეთებდნენ, ასე, რომ მყარი, მდგრადი, შურყყველსაფუძვლიანი სამსართულიანი სახლის მშენებლობა მხოლოდ ოთხმოცდამეცხრამეტე წლების დასაწყისში დასრულდა.

მიმო ტყისკენ მიმავალ გზას დადგა, მოვივინებოთ ორად რომ იყოფოდა. ერთი ტყეც უფლება და მოპირდაპირე მხრიდან ისევ ქალაქისკენ მიდიოდა; მეორე კი გრადაციული სახლებისკენ იყო გაყვანილი. გაყვანილი უშუალოდ დედებუნების მიერ.

როგორც კი ტყის მოსახვევს გასცდა, თვალში უმაღლესი „სასახლე“ მოხვდა.

ობისა და ნესტის სუნი სახლის თითოეულ კუთხეში ღრმად ჩამჯდარიყო, მეორე სართულზე კი ყვე-

ლაფერს ხრწნადობის ამაზრუნეი განცდა ემატებოდა. თითქოს ყველაფერი ამ სახლში ერთიანად იხრწნებოდა, პროცენი კი შეუწერელი, შეუქცევადი და ხანგრძლივი იყო. მთელ სახლში ფანჯრები გაალო და არომბიტიზატორით ყოველი კვადრატული მილიმეტრი მოიარა. სადაველ სუნს მოტკბო, ხელოვნური სურნელება დაემატა და სახლში გაჩერება, სანამ ყველაფერი არ განიადებოდა, შეუძლებელი აღმოჩნდა.

სალამოედებოდა, მიმომ გარეთ გასვლა და გასერნება რომ გადაწყვიტა. რამდენიმე საათი მაინც სახლში დაბრუნება არ აპირებდა, სანამ იქ ცხოვრება თუ შესაძლებელი არა, მასთან მიახლოებული მაინც არ იქნებოდა. კარები გამოალო თუ არა, ნაცნობი სახე შეეფეთა. შემოსასვლელში დასო იდგა, გვერდითა, შედარებით მოკრძალებულ სასახლეში მცხოვრები, თუ მიმას სწორად ახსოვდა, პროფესიით აქტივტიტორი, მასსავით ათასში ერთხელ რომ ჩამოდოდა აქ. ბოლოს, ვინ იცის რამდენი წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს.

– მობერებულხარ, მწერალო, – გაუღიმა დათომ და ხელი გაუნოდა.

– წლები თავისას შეება, დავით.

– როდის გნახე ბოლოს აქ? ასე მგონია მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა.

– არც მთლად მაგდენი... – უღიმის მიმა. – არ მეცალა, – მომობიშებასავით გამოსდის, – არასდროს არ მცალა, – ამატებს სინანულით და ღიმილიც უკვალოდ ქრება.

დათო ორი ნაბიჯით უკან იხევს და სახლს შეცბუნებულ მწერას შემოატარებს.

– დღეს ჩემთან გეპატიყები. აქ გაჩერება ალბათ შეუძლებელი იქნება.

– დიდი მადლია... – თავის დაფასების დრო ახლა ნამდვილად არ იყო.

სახლებს შორის მანძილი არაუმეტეს 50 მეტრს შეადგენდა და ქვაფენილის ბოლიკი სახით იყო წარმოდგენილი, ირგვლივ საძვებით, ბოლოში კი პატარა მდინარით, ტყეში რომ შედიოდა და იქნად გაურკვეველი მიმართულებით მიედინებოდა.

დათოს სახლში ათასგვარი ყვავილის სურნელი ტრიალებდა, – მიმას, შესვლისას თავგარუც კი დაეხვა.

– ფეხზე ვახდა არ დაგავინყდეს, – მკაცრი სერიოზული უთხრა მასპინძელს, – ფლოსტები კუთხეში აწყვილა... – ნამიორე პაუზის შემდეგ კი დაემატა: – არ მიყვარს სახლში ფეხსაცმლით რომ დატყლაშუნობენ.

– გასაგებია, – თავი დაუქნია მიმამ და ბათინკების გახდას შეუდგა.

სასტუმრო ოთახი თანამედროვედ იყო მოწყობილი, ტყავის, როგორც ჩანს ძვირადღირებული დივან-სავარძლებით, გალაკული ხის მაგიდით – ირგვლივ ოთხი, იმავე მასალისგან დამზადებული სკამით, სამ კედელზე პატარა-პატარა წერონის ნათურებით, ერთზე კი უზარმაზარი პლანზური ტელევიზორით, დივიდით, ხმის გამაძლიერებლებითა და მუსიკალური ცენტრით.

– დალევ რამეს? – სამზარეულოდან გასცახა ერთერთ სავარძელში მოკალათებულ მწერალს დათომ.





- ალკოჰოლური რა გაქვს?  
 - მხოლოდ ღვინო... ხო იცი, ალკოჰოლს დიდად არ გწყალობ.

- კარგი, იყოს ღვინო, - მორჩილად ეთანხმება მიშა, თუმცა დარწმუნებულია, მასპინძლის ძვირადღირებული ღვინისგან დიდ სიამოვნებას ვერ მიიღებს.

არ შემცდარი, - დათომ მართლაც რომელიღაც ძვირადღირებული ღვინო მოიტანა, უცნაური სახელითა (რომელიც მიშოს გონებიდან მალევე ამოიშავა) და სიამოვნო სურნელებით, თუმცა გასინჯვის შემდეგ მწერალმა „კაიფი ნამდვილად ვერ მიიღო“.

- ახლა რას საქმიანობ? - ბოკალი შეივსო და კითხვაც არ დააყოვნა მასპინძელმა.

- ვეწერ, - მოკლედ უპასუხა მიშომ, რათა ამ პროცესის ინტიმურობისა და დელიკატურობისათვის გაესვა ხაზი.

- რამე რომანს? - არ ნებდებოდა დათო.

„რომე რომანი“ მწერალს ყურში ცულდად მოხვდა, - თანამოსაუბრის ამ თემისადმი ინდიფერენტულ დაპირადებულებას, აბსოლუტურ უინტერესობას და, გარკვეულწილად, თუნდაც მცირე დროით, მაგრამ მაინც ცინიზმს გამოხატავდა.

მიშამ საუკეთესო პასუხად „ჯერ არ ვიცი“ მიიჩინა.

- წარმატებები, - იმდენად ყალბად უსურვა დათომ, მწერალი შეურაცხყოფილიც კი დარჩა. თავი ძლივს შეიკავა არ ამდგარიყო და უკანმოუხედავად არ წასულიყო.

ელემენტარული ეთიკის კოდექსის დაცვის მიზნით, მიშამ თავი ვალდებულიად ჩათვალა შემდეგი კითხვები დაესვა:

- „ჯორჯიან არქიტექტი“ რა ხდება ახალი? არის რამე ცვლილება?

- რაღა დროს ეგაა, - არ დააყოვნა დათომ, - ორი წლის წინ ნამოვედი... ახლა ერთი გერმანული კომპანიის ქართულ ფილიალში ვმუშაობ. მთლიანად მასულიერი მონობის დაპროექტებზე ვადავურთ, მიმბზერდა პატარ-პატარა სისულელეებში დროის ხარჯვა.

ეს ადამიანი, როგორც მიშამ თავისთვის აღნიშნა, აშკარად გამოკვეთილი მეგალომანიით იყო შეპყრობილი და მხოლოდ და მხოლოდ სხვებზე საკუთარი აღმატებულობის გაცნობიერებაზე ორიენტირებული, უკვე არაპირდაპირ შეურაცხყოფაზე გადადიოდა.

არა, აქ ლამემდეგ ნამდვილად ვერ დარჩებოდა, მოუხედავად იმისა, რომ დაბნელებამდე სულ ორიოდე საათივად დარჩენილიყო.

თბილისსა და ბათუმში დათოს მიერ დაპროექტებულ ცათამბჯენებზე განელოდ ნახევარსათიანი მონოლოგს მწერალმა გმირული შემართებით გაუძლო, შემდეგ კი მასპინძელს მოუბოდიშა, სოფელში გავლას ვაპირებდი და მინდოდა შებინდებამდე მომესწრო, დაძინებოთ კი ჩემთან დავიძინებ, სუნი ალბათ უკვე გადასული იქნებაო, თქვა და გასასვლელისკენ გაემართა. დათო აღარ შეწინააღმდეგებია, მორჩილად უყურებდა როგორ იცვამდა ეს მოცლილი მწერლუკა ტალახიან ბათინკებს, სახლიდან გასვლისას კი დროებითი, მიაძახა.

მიშამ ქურთუკი ბოლომდე შეიკრა, საყელო აინია და ბილიკს გაუყვია, მდინარეზე გადებულ ფიცარზე ფრთხილად გადაიარა და ზემოთ, მთებში მიმავალ გზას დაადავა.

დილის ორი საათი სრულდებოდა სახლში რომ დაბრუნდა. დადო თუ არა ბალიშზე თავი, უმალ ღრმად ჩაეძინა.

4.

მიშას მისთვის უცნობ ადგილას გაეღვიძა. ხის პატარა კედელზე ლურსმნით, ბენჯანი ქურთუკში ჩაფუთული, ხელში კაუჭგამოდებულითეგზებიანი ორი ესკიმოსის გახუნებული ფოტო იყო მიმაგრებული. ფეხზე ნამოდგომი დააპირა თუ არა, საწოლმა ქრატუნე დაიწყო. ოთახი შეათვალიერა - ერთ-ერთ კუთხეში მიყუდებული დაფარული ნაჯახის გარდა, აქ არაფერი იყო. ალაგ-ალაგ კედელი პატარა ნახერტებს დაეფარა, ისეთი შთაბეჭდილება გექმნობოდა, თითქოს გარკვეული კანონზომიერების მიხედვით იყენენ განაწილებულნი. ფანჯარა გაყინულიყო, - ალბათ ხელის ერთი შეხებაც საკმარისი აღმოჩნდებოდა ნამსხვრევებად რომ ქცეულიყო. მიშა კარებს მიუახლოვდა და გამოაღო. სახეში თოვლის მოზრდილი ფანტელები შეეყარა. უკან დაიხია და კარები მოიხურა. ქურთუკის ჯიბიდან ნაქსოვ ქუდს იღებს, თავზე იფხატებს, კისრით საყელოში ეფლობა და გარეთ გადის. „ნუთუ ეს ის ადგილია?“, ფიქრობს მწერალი და გულში იმედს იტოვებს, რომ ფეხს რაიმე არ ნამოკრავს... მიშამ არ იცის რამდენი ხანი დააბოტებს თოვლის სქელ ფენებზე. ასე იქნებოდა, სახლიდან გამოსვლის შემდეგ ათწლეულები გავიდა. ვერც იმ ორი ესკიმოსის სახეს იხსენებს. ან იყენც კი საერთოდ ესკიმოსები? შეიძლება მხოლოდ თერთი დათოს ბენჯისგან დამზადებული ქურთუკებით, ხელში თევზითა და უკან იგლუთი ესკიმოსის ამოცნობა?.. უცნაოდ წინ ადამიანის სილუეტი იხატება - შავი, მაღალი, სწორხაზოვანი ფიგურა. თუმცა სახის გარეგან ჯერ კიდევ შეუცვლელია. მიშა ნაბიჯს აუჩქარებს, - რატომღაც დარწმუნებულია, თუ სწრაფად არ მივა, უცნობი უკვალოდ გაქრება. სამი მეტრი... მიშა გრძობს, როგორ უოფლიანდება ილიციანი... ორი მეტრი... მიშას, ხელების ვასათობად გაღებულ პირში თოვლის მსხვილი ფანტელები ეყრება... ერთი მეტრი... მიშა ქმინავს, ფილტვები საპაერო ბუშტივით ჯერ ებერება, შემდეგ - ეჩუტება. უცნობს უახლოვდება და მხარზე ხელს ადებს. სილუეტი ტრიალდება. ხშირი წვერით მიშა ხედება რომ უცნობი კაცია. სპორტული, მუქი სათვალე უკეთია ცხვფორისფერი სარტყელით, - აი, ისეთი, მოამსვლელებს რომ უკეთიათ, როცა ყინვაში ზემოთ მიძვრებიან. მამაკაცი სათვალეს იხსნის და მწერალს შემინებული უყურებს. მიშას არ სჯერა - მის წინ დათო დგას და დაფრთხილი თვალებით მისჩერება. მარჯვენა ხელში სიმძიმეს გრძობს. არ ახსოვს როდის აიღო ის დაუნაგული ნაჯახი, ოთახის კუთხეში რომ იყო მიყუდებული. ნუთუ მთელი გზა თან მოათრევდა? დათო სათვალეს ითევებს და უცნაოდ ვარბის, - ცდილობს გაიქცეს, - ძლიერი ქარი და შემზარავი ყინვა ბევრის საშუალებას არ აძლევს. მიშა უკან მიყვება. ცოტაც და რაღაც დიდს და შავს მიუახლოვდე-



ბიან. ორივე შეჩერდება, მოულოდნელად აღმართული დაბრკოლება ორივეს აფრთხობს. სანამ მიშა გაერკვევა, რომ ეს „დიდი და შავი დაბრკოლება“ ტყეა, დათო უკვე შიგნით შედის. ტყეში არაამქვეყნიური სიციხეა. მწერალი ჯერ ქურთუკს იხდის, შემდეგ მაისურს. უკუნ სიბნელეში რაიმეს გარჩევა თითქმის შეუძლებელია, ოფლის სქელი წვეთებიც თვალებში უფარდება. ვერ ხვდება, საიდან მოდის ასეთი ხვატი. მარჯვნივ რაღაც გატყავუნდება. მიშას ინსტიქტი თავისას იზამს...

5.

დათო ხეს ეფარება. იცის, - ერთი ზედმეტი მოძრაობა და მისთვის ეს საღამო საბედისწერო აღმოჩნდება. მთვარის შუქი ფოთლებს შორის გაძრომას ახერხებს და პირდაპირ სახეზე ეცემა. ამდენი წლის განმავლობაში პირველად, პირველად გახდა მომსწრე, თუ როგორ აღწევს დაბურულ, თითქოს ღამით უხილავსაბანგაფარებულ ტყეში თუნდაც სუსტი, მაგრამ მაინც სინათლე.

- მობილურს იღებს და 022-ს კრეფს.
- სასწრაფოდ მჭირდება დახმარება!!!
- დამშვიდდით ბატონო...
- ...

6.

შუადღის ორი საათი იყო დანყებული, მიშომ რომ გაიღვიძა. რამდენიმე წამის განმავლობაში აზრზე ვერ მოდიოდა - ფორსმაჟორულ სიტუაციებს შეუწეველი იყო და სიზმარ-რეალობის აღრევას მთელი ცხოვრება გაურბოდა. ახლა კი ვერ გაეგო

რომელი რეალობა იყო მისთვის ნამდვილი და რომელი სიზმარი - ტყუილი. ალბათ, უპრიაანი იქნებოდა გვეთქვა, რომ მიშოს რცხვენოდა კიდევც. რცხვენოდა საკუთარი თავის და რცხვენოდა დათოსი. წინა დღით განერვიულებულმა, თხუთმეტი წლის გოგოსავით ბრაზი და წყენა გულში ჩაიდო და უკვე ღამით, სიზმრების სამყაროში გამოუშვა გალიიდან, მათი კონტროლის ქვეშ მოექცა და ასეთი საზარელი აღსასრული მოუწია საბრალო მეზობელს. კარგი იქნება, თუ ბოდიშს მოუხდის. მთავარია სისულელების რომ არ დაიწყოს და სიზმრები არ ახსენოს, მიზეზს კი, ბოდიშის მოსახდელად, აბა რა გამოიღვეს.

ფეხები ფლოსტებში გაყო და მეორე სართულზე ავიდა. აბაზანის კარები მთქნარებით შეაღო. ცხელი წყალი სან-პიერის არხივით მოედო მთელ სხეულს. სასიამოვნო შეგრძნება იყო, თითქოს გუშინდელი სიზმრისეული ყინვის შემდეგ, რეალობის ცხელმა ღინებამ რელაქსაციის დამსახურებულ პროცედურა შესთავაზა.

აბაზანიდან გამოსულმა, ტანი გაიმშრალა, ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა და ისევ ქვემოთ ჩავიდა. კარადიდან „შატო მუხრანი“ გამოიღო, ტელევიზორი ჩართო და დივანზე მოკალათდა.

მწერლის ცხოვრებაში კმაყოფილებისა და ბედნიერების ის წუთები დამდგარიყო, ასე იშვიათად რომ შქონია აქამდე.

ტელევიზორში რაღაც სულელური კულინარიული გადაცემა გადიოდა, უშველებელი, თითქმის ორმეტრანახევრიანი დაკუნთული მოლიმარი გოლიათით და ერთი ბენო მსუქანი ქალით, ერთმა-



ნეთს სახეში რომ შესცივინებდნენ და წინასწარ გაზეპირებულ, უკვე ათასჯერ ნათქვამ სიტყვებს იმეორებდნენ. ქალი „ტიკა მასალაზე“ საუბრობდა. გოლიათი ყურებადმდე გაღიმებული უსმენდა და დროგამოშვებით თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

ქალი კერძის წარმოშობის ისტორიასაც კი გადანდაც:

– ამ კერძის წარმომავლობა საკამათო საკითხია. 2009 წელს, გლაზგოს პარლამენტის წევრმა მუჰამედ სარვომ გამოთქვა აზრი, რომ „ტიკა მასალა“ მოტლანდიური წარმომავლობისაა. სხვა წყაროები უწყებთან, რომ კერძი პირველად 70-იანებში სოჰოს რაიონში, ლონდონის პირველ ინდურ რესტორნებში წარმოიშვა. ინდოელი კულინარიული ექსპერტი დედლიანი, რახულ ვერმა კი ამტკიცებს რომ კერძი არა სოჰოში, არამედ პენჯაბში, უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში დამზადდა პირველად.

მიშა შემდეგ არხზე გადართავს, სადაც, თავისდაგასაკვირად „შავ გელს“ გადაწყდება, ასე ძალიან რომ მოეწონა ორი წლის წინ მეგობრის სახლის კინოთეატრში ნახვისას. მაშინ რეველების დანერგაც კი გადაწყვიტა და სახლში მისვლისას რამდენიმე წინადადება მივლავნა:

...დარენს ზოგადად უყვარს ექსპერიმენტები და ხშირ შემთხვევაში ფილმზე თუშობისას დიდ რისკზეც მიდის - ახალბედა, ყველასთვის უცნობი სცენარისტები აპყავს. ეს ტრადიცია არც „შავ გედში“ დაარკობს და სცენარისტებს ანდერ ჰენტი მიუსვა. მარკ ჰეიმათან მან უკვე იბუშავა „რესტლერზე“, ასე, რომ წარსულის გახსენებაც შეძლო.

საინტერესოა, რომ არონოვსკის ხელწერა არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის რთულ, ღრმა და ბევრისთვის „მოუწველომდე“ თემებს ეჭიდება. რატომღაც დარენი არ ცდილობს აირჩიოს რომელიმე კონკრეტული მიმართულება, შემოშოოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილი - ალბათ არ სურს ბანალური, ადვილად გამოსაცნობი რეჟისორი იყოს, თუმცა რასაც აკეთებს ყველაფერი 100 და მეტი პროცენტით გამოსდის... მიუხედავად ყველაფრისა, შედარებით მაინც შეამჩნევს ზოგიერთი „მასტროს“ პედაგოგებს. „პის“ ყურებისას გავიხივდეთ დიდფიციკრებულ ჰორიკოს უყურებ, „რეკვიემი“ 90-იანების ბლოსკენ, გერმანიაში დაბადებული „უსიკების“ პირშიმო გეკონება (ინდივიდუალური სრულყოფილებით, რა თქმა უნდა!). ოლივერ პორშბიგელს ორი წლით ადრე რომ ეაქტიურა, არონოვსკის პლაგიატის იარაღიყი მიეკერებოდა და მთელი ცხოვრება ვერ მოიპოვებდა (ეს კი მოგეხსენებათ, ჰოლივუდში რა ქიქისია). მტკნარი სიცრუე! სწორედ ამიტომ ფურცელს ცეცხლი წაუკიდა და სამხარეულის ნიუარამი ჩაავლი...

მიშა ქიქას ღვინით ავსებდა, სხვიდან მოულოდნელად ბრაგუნის ხმა რომ ჩამოვიდა. მწერალი შეხტა კიდეც და ღვინო დივანსა და ხალიჩაზე დაესხა. შუბლი ცვიო ოფლით დაეანსა. ბოთლი და ქიქა ხის პაჭარა, უურნალების მაგიდაზე დადგა და ფეხაკრეფით გაეშართა ზემოთ. ყოველ საფეხურზე ოფლის წვეთების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ხოლო როცა სხვენამდე ავიდა, მა-

ისური უკვე შესამჩნევად დასველებულიყო. „როგორ ცხელა“, გაიფიქრა მიშამ და მიხვდა, რომ სახლში, განსაკუთრებით კი აქ, ზემოთ, სამწინლად ცხელოდა, თუმცა არ ახსოვს კონდენციონერზე ტემპერატურისთვის მოემატებინოს.

სხვევის კარები შეიღო თუ არა, შიგნიდან გამოსულმა სიმყარებზე თავბრუ დაახვია და ძლივს მოასწრო სახელურს ჩასჭიდებოდა, თორემ იქვე გადადენდა ბრაგუნს. ცხვირზე ხელი აიფარა და მიგინთ შევიდა. უკუნ სიბნელეში რაიმეს გარჩევა აშუშლებული იყო. კედელზე ხელების ფაფორები ამომრთველი იპოვა და თითის ოსტატური მოძრაობით ოთახი ერთიანად განათდა... განათდა და სიმყარის წყაროც თვალთახევივის არეში მოექცა - სისხლის გუბებში მოტილტვივ გვამი ცვილის თოჯინას ჩამოგვავდა. მოჭრილი თავიც იქვე ეგდო. ქალში რაღაც ბასრი სავანი გარჭობილიყო...

...მიშამ უკან დაიხიბა. შემინებულს, აზროვნების უნარი ნაერთად და უკანა სვლით თითქმის ინსტინქტურად წავიდა გასასვლელისკენ... ყველაფერი წამებში მოხდა: თავი დაბლა ჭერს აარტყა, იატაკზე ფეხი აუცურდა და საკუჭნაოდან ქვემოთ კიბეებზე, თავდაუოკრა დაეშვა. უკანასკნელ საფეხურს თავი კიდეც ერთხელ ჩამოარტყა, - ამჯერად სისხლმაც კი გამოჟონა.

მწერალი იატაკზე გაიშხლართა და გონება დაკარგა.

7.


რამდენიმე საათის შემდეგ გამოფიზლებულს ეგონა წლები გასულიყო მას შემდეგ, რაც გონება დაკარგა. თავი უსკდებოდა. კუვასთან ჭროლობას ხელი შეეხებო თუ არა ისეც თვალთ დაუბნელდა, თითქოს გონებაში მეხი გავარდა. თავი „კონცლაგერი“ გამოქცეული ებრაელი ეგონა, ბოლოს და ბოლოს რომ დააჭირეს და ჰომიერის ლაბორატორიაში, რკინის მაგიდაზე განთხოშულს, თვალთან გრძელი ზონდის ტვინში შეყვანით ლობოტომიას უკეთებენ. იქნებ ასეც არის? იქნებ ეს მხოლოდ სიზმარია და თავის ტკივილი რეალობაში დარჩნილი სხეულის მიერ ქვეცნობიერებაში მომწერლიდ გამაფრთხილებელი წერილია? თუ ასეა, გავიძებნისთანავე „ბოსხელუდად“ იცევა და F07-ით სიცოცხლის ბოლომდე დაიტანჯება. ერთი კია, - ანი ღლარ მოუწევს შემოქმედებით აქტიურობასა და სპონტანურ ქმედებებზე დარდი. საერთოდაც არაფერზე ფიქრი ღლარ მოუწევს და რეფლექსებსა და ასე თუ ისე შენარჩუნებულ ინსტინქტებზე დაყრდნობლ ზომიდა გადაიქცევა, ხშირად ჩაიფსამს და დორბლის მოწმენდას ვერ შეძლებს.

როგორც კი თავის ტკივილმა გაადაურა, სხვენი ნანახი გაახსენდა. დიდხანს ფიქრობდა აბრუნებულიყო თუ არა ზემოთ და დარწმუნებულიყო, რომ ყველაფერი არ მოელანდა...

...კარები ფრთხილად შეიღო. ამჯერად ამომრთველი ადვილად იპოვა... ნათურა აკაშკაშდა და მკვეთრი ნათება უცნობის გვამს მოჰფინა... არა, არაფერი მოლანდებია!

კიბეებზე დაეშვა, პირველ სართულზე ჩაირბინა და გასასვლელისკენ გაიქცა. დათო უნდა ენახა





და მისთვის ყველაფერი მოეყოლა. ერთად გადაწყვეტდნენ, რა უნდა მოემოქმედებინათ. გარეთ გავარდა თუ არა, მოყინულ კიბეზე ფეხი აუსრიალდა და თოვლის სქელ ფენაზე განვა.

„თოვლი?“

მიშა საკუთარ თვალებს არ უჯერებდა - ირგვლივ ყველაფერი თოვლს დაეფარა. ხეებზე ფენებად იდო თეთრი მასა. ჰაერში მსხვილი ფანტელები დაფრიალებდნენ. ფეხზე წამოდგა და დათოს სახლისკენ შეძლებისდაგვარად გაიქცა. დიდ, კენჭურუსებურ ნაბიჯებს დგამდა. ფეხი ღრმად ჩადიოდა თოვლის ფაფუკ, თუმცა სქელ ფენაში. კიბეებზე ფრთხილად ავიდა და კარებზე დააკაკუნა. პასუხი იგვიანებდა. ხელმოერედ დააკაკუნა. შემდეგ ხელმესამედ. როცა ხელმოეთხედ დააკაკუნებისას კარი არავინ გაუღო, უკან დაიხია და შესამტვრევად მოემზადა, მაგრამ უცერად შიგნიდან სამივე საკეტი გაჩნაკუნდა, სახელური გადატრიალდა და კარებიც გაიღო. წინკარში უთავო სხეული იდგა. მოჭრილი ადგილიდან გამომნადენი სისხლი მთელ სხეულს მანტიასავით გადაჰფაროდა. სხეულს ცალ ხელში თავი ეჭირა. მიშო მიხვდა, რომ მის წინ დათო იდგა. მოჭრილი თავი ცბიერად უღიმოდა და გაუფერულეებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა...

– შემოდი მიშა... - თქვა თავმა. - ოღონდ ფეხზე გახდა არ დაგავიწყდეს...

ყველაფერი განათდა. მიშამ უკან დაიხია. რაიმეს გარჩევა შეუძლებელი გახდა - ზებუნებრივ სითეთრეში მწერალი საკუთარი სხეულის გარდა ვერაფერს ხედავდა. სხეული კი თანდათან პატარავდებოდა და შვიი ხვერლისმაგვარ ღრმულში იკარგებოდა.

ნამიც, და ყველაფერი დასრულდა!

8.

სხეულის კარები ხმაურიანად მიჯახუნდა.

9.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, ტყესთან ახლოს, ყველაზე დიდ სახლთან პოლიციის მანქანა რომ გაჩერდა. გუმბინ ღამით შემოსული ზარის მეშვეობით ადგილმდებარეობის დადგენა მალევე მოხერხდა, თუმცა ღამით აქეთ ამოსვლა შეუძლებელი იყო, ასე, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი გათენებას დაელოდა.

ლექტენანტი ლაფაჩი მანქანიდან გადმოვიდა და სახლისკენ გაემართა. სამჯერ დააკაკუნა, მაგრამ კარები არავინ გაუღო. სახელურს ხელი მოჰკიდა და ოდნავ მიანვა. ღია აღმოჩნდა. მართალია, ორდერის გარეშე შიგნით შესვლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ შესაძლებელი მკვლელობის ფაქტი კანონის დარღვევას მოითხოვდა.

შიგნით საშინელი სუნი იდგა. ცხვირზე ხელი აიფარა და ოთახების თვალიერებას შეუდგა. როგორც კი მეორე სართულზე ავიდა, სუნი უფრო გაძლიერდა... თავმოჭრილი, ბუზებდახვეული, უკვე ლობაშაშპარული გვამის აღმოჩენას დიდი აღზარაფერი დასჭირვებია.

ლექტენანტი ლაფაჩი პირველ სართულზე ჩამოვიდა და სანამ გარეთ გავიდოდა, - რათა მანქანიდან რაციით საპატრულოს დაკავშირებოდა და სახლში ნახაბის შესახებ მოეყოლა, - დივანზე დაგდებულ გადამოღელ ლექტონს მოჰკრა თვალი. დესკტოპის უცნაური სურათიდან ორი მანათობელი ნერტილი პირდაპირ მისკენ იყურებოდა. შეჩერდა და კარგად დააკვირა - თუ ეს რაღაც თვალელები იყო, მაშინ მზერა ამკარად მისკენ იყო მიმართული. თვალელები მოიფშენილა თუ არა ლექტონიც გაქრა. ეტყობა მომეჩვენაო, გაიფიქრა ლექტენანტმა და გარეთ გავიდა...

...გავიდა და სხენის ფანჯრიდან გამომოვდებულ ნაჯახი იმ ნამსვე თავში ჩაესო. ბასრმა პირმა ტინამდე ჩააღწია და ორად გაყო.

ლექტენანტი ლაფაჩი იქვე ჩაიკცა.

იაკოვოს კაბანელისი

# წერილი ორესტეს

ერთმოქმედიანი პიესა

ახალბერძნულიდან თარგმნა სოფიო შამანიძმა

იაკოვოს კაბანელისი (1922-2012) თანამედროვე ბერძნული დრამატურგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მან საკმაოდ რთული ცხოვრების გზა გავლო. სწავლა დამთავრებულიც არ ჰქონდა, როდესაც მათუტაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, სადაც ორი წელი გაატარა. 1945 წელს, განთავისუფლების შემდეგ იგი საბერძნეთში დაბრუნდა. კაბანელისის სამოცზე მეტი პიესა აქვს დაწერილი. არ არსებობს საბერძნეთში თეატრი, რომლის რეპერტუარშიც არ იყოს კაბანელისის რომელიმე ნაწარმოები. იგი ფსიქოლოგიური თეატრის მიმდევარია - მისი პერსონაჟების ხასიათები ყოველთვის ძალიან ღრმაა, ამასთანავე მაყურებლისთვის ძალიან ნაცნობი და ადვილად ამოსაცნობი.

პიესა „წერილი ორესტეს“ კლიტემნესტრას მონოლოგს წარმოადგენს. კლიტემნესტრა თავისი გადმოსახედიდან აღწერს არგოსში მომხდარ ამბებს - როგორ შესწირა მსხვერპლად აგამემნონმა ტროას ომის დროს საკუთარი ქალიშვილი იფიგენია, როგორ ვერ აპატია მან შვილის მსხვერპლშენიშნა აგამემნონს და როგორ გამოასალმა სიცოცხლეს ტროადან დაბრუნებული ქმარი. ყველაფერს ამას კლიტემნესტრა ორესტეს სწერს იმ იმედით, რომ ორესტე მოასწრებს წერილის ნაკითხვას და თავის „მისიაზე“ - შური იძიოს მამის გამო დედაზე - უარს იტყვის, თუმცა წერილი ნაუკითხავი რჩება....

მთარგმნელისგან





ყოველი სპექტაკლი, როგორც ცნობილია, არის ვიუტად დაჩემებული „თქვათ რომ“.

ფიქრობ, ამ მონოლოგის წარმოდგენისას ეს „თქვათ რომ“ განსაკუთრებით გამაძვრებელია და აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ამიტომ, ვთავაზობთ, სცენა სარეჟეტიციოდ იყოს მონყობილი. სცენაზე ცოტადენი ნივთი იქნება, ის, რასაც, ჩვეულებრივ, რეჟეტიციის დროს ვიყენებ ხოლმე. სიღრმეში მხოლოდ ერთი კარი იქნება გამოკვეთილი.

სცენაზე გამოდის მსახიობი, რომელიც კლიტემესტრას ითამაშებს. ხელში ყავა და სიგარეტი უჭირავს, უახლოვდება დიდ ხის სკივრს, რომელსაც მაგიდად იყენებს. მაგიდაზე მხნადლი, საფურფლე, ფანქარები, ბევრი დანერჩილი, ბევრიც სურფთა, დაკუთრული ფურცელი დევს. იღებს ფურცლებს და თითქოს „განგებ“, არეულად განალაგებს ზოგს მაგიდაზე, ზოგსაც იატაკზე, მაგიდის გვერდით. ანთებს საწთელს, ჯდება სკამზე და აქრობს სიგარეტს. იღებს ერთ დაკუთრულ ფურცელს და იწყებს ნულა, გასაგებად კითხვას, თითქოს უნდა, რომ დაწერილის სისწორეში დარწმუნდეს.

ორესტე, ძვირფასო შვილო, ვიცი, რომ ჩემი დღეები დათვლილია. კანკალმა ამიტანა. ვხედავ, რომ არ მოდიხარ.

მარტო შენი ნახვის სურვილმა, თუნდაც სულ ცოტა ხნით, როდი მიმაჯაჭვა ფანჯარას. ეს შიშია, შიში იმისა, რომ მაშინ მოხვალ, როცა უკვე გვიან იქნება, რომ შეიძლება მხოლოდ სხვებისგან გაიგოს ის, რაც მოხდა, და არა ჩემგან. არადა, ვინ შეიძლება ჩემზე უკეთ იცოდეს ჩემს შესახებ? მე ის გავაკეთე, რის წარმოდგენასაც ვერაფერ ვერასდროს შეძლებდა, მე იძულებული ვიყავი მომეკლა...

(კითხვას წყვეტს, იღებს ფანქარს და წერს). რა ადვილია მათთვის... (წყვეტს წერას და აგრძელებს საუბარს, სულ უფრო მგრძობიარედ) დაიჯერო მხოლოდ ის, რასაც თავად გეტყვიან. და რამდენად უფრო ადვილი იქნება, როცა მე ვეღარ შევძლებ ლაპარაკს. ჩემი მდგომარეობა ძალიან რთულია, ორესტე. მე ხომ დედა ვარ თქვენი. არცერთი წამით არ უნდა გაგიუღვოს თავში აზრმა, რომ შენს გადმობრებას ვცდილობ. ორივე ჩემი შვილები ხართ, ჩემი ორესტე ხარ! შენი დაც, რაც არ უნდა ქნას, ჩემი დეიქტრა!

სად ელახიარ, ორესტე, რატომ ივვიანებ...? დროზე რომ მოსულიყავი, მოუსწრებდი, შენ დავიჯერებდა... მოაშორებდი იმ საშინელ ადამიანებს, გარს რომ ეხვევიან და მამამისის სიყვარულს სათავისოდ რომ იყენებენ. იცო, რა უფხარა ერთხელ, ტროაში წასვლის დღეს, ხალხის წინაშე, აბჯარას-მზულმა და ცხენზე ამხვერებულმა: „რა დასანაინაა, კაცი რომ ყოფილიყავი, შენ დაგტოვებდი მიკნის მმართველად...“ იმ წამიდან ვადანწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაემტკიცებინა, რომ ხელთ ენიფება ამის გაკეთება! ეგისტოსიან ჯერ ნახიცი კი არ ჰყავდა და უკვე შეიძულა... შენი თავი გაატყვებინა ფოკიდამ, ამბობ, რომ მე შენ და ეგისტოსს შენი განადგურება გექონდა განზრახული...

ქუჩა-ქუჩა დარბის, შურისძიებაზე ლაპარაკობს, ჩემზე ამბობს, რომ ვახრწნილი ვარ, ძალაუფლებაზე გადარეული, მოძალადე და სისხლისმსმელი...

ჩემი თავი არ მადარდებს, ორესტე. ჩემ გამო არ გთხოვ დროზე ჩამოსვლას. ელექტრაზე ველაე. ვიცი, რას ნიშნავს, ხელები სისხლით გქონდეს გასვრილი, მე ხომ ისეც გამოვცადე ჩემს ცხოვრებაში. თუ საკუთარი დედის სისხლით გაისვრის ხელებს, სამუდამოდ გაინადგურებს სულს (თითქოს რაღაც ხმაური მოესმის. ელვაეც, საწთელს აქრობს, კარისკენ ბრუნდება. არაფერი ისმის. აელეეეებისგან აქომინებული სანთელს ანთებს და აგრძელებს). მხოლოდ ამის გამო მაშინეც ყოველი გაფანტება გართ, ჩემ გამო კი არ ვშობი. სამჯერ ვთხოვ მოსულიყო, გველაპარაკა. არ მოვიდა. მივწერე. გაუსხნელი სურული უკან გამომიგზავნა. ახლა ვთხოვ, ვინმე სხვამ მომკლას, ოღონდ თითონ არა. ამ წერილს ამაღამ დავასრულებ. სამი საათისთვის შენი ძიძა მოვა და ჩუმად ფანჯრიდან მივანოდებ, ან ფეხის საწმენდის ქვეშ დავმალავ, იქ იპოვის...

ჯერ კიდევ სავსე ვარ სიყვარულთ, ორესტე. არ არის სწორი, საკუთარ სიცოცხლეზე არ ველაედე. თქვენ მიყვარხართ, ეგისტოსი მიყვარს, მინდა ვიცოცხლო, რომ მიყვარდეთ, მაგრამ თავს არ მანებებენ. თუმცა როდის ვიყავი ჩემი ცხოვრების ბატონ-პატრონი? ჩემს ცხოვრებას მაშინ გამოვემშვიდობე, როდესაც მიკნეში პირველად დადგი ფეხი, მაგრამ ეს არავინ იცის, არ მინდოდა, ვინმე რაიმე მიმხვდარიყო, ჩემი საბუნდუნო სადღეღამო იყო. ახლა მშვენივრად ვხვდები, რომ დასასრული დადგა. ამას მაშინვე მივხვდი, როდესაც მამაშენი ტროადან დაბრუნდა, უცვლელი, ზუსტად ისეთი, როგორც წავიდა. ადამიანი, რომელმაც ყველაფერი მომპარა, დედამაც კი!

სად ხარ, ორესტე? რატომ უნდა გწერდე, იმის მაგივრად, რომ გელაპარაკებდე? შეიდი კაცი გავზავნე შენს მოსაბეზად. სად ნახვედი? (ცდილობს მონახესრიგოს სივრზე გაფანტული ფურცლები).

მაგრამ უნდა მოგწერო, თანაც უნდა ვიქტარო. ეს კი არც ისე ადვილი ყოფილა... ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ და ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს მათთვის. რაღაცეებს ვბოდავ, იმის მაგივრად, რომ ფაქტებით გელაპარაკო. ახლა ასე ვიზამ, გპირდები. ოღონდ გთხოვ, ჩემო ბიჭო, დავიქრიდ, ვიდრე ნაიკითხავდე - არა იმიტომ, რომ შეგეცოდოდ, არამედ რომ სწორად განსაჯო - დაფიქრად, რომ ამას გწერს ის, ვინც ეგოიზმის, ამაოების მიღმაა. დღეს განსაკუთრებულად შორს ვგრძობო თავს, ვფიქრო ყველაფერზე რაც მოხდა და ვერ ვხვდები, როგორ დაიჭრა ამდენი ერთი ადამიანის სიცოცხლეში...

(ისევ იღებს ფანქარს და წერს, ყველა სიტყვას გასაგებად გამოთქვამს). მამაშენი მე არ ამირჩევია ქმრად, ორესტე (ისევ დებს ფანქარს). ქალებს მხოლოდ საქორწინლო კაბის არჩევის უფლებას გვაძლევენ. ჩემი თავი უზრაოდ უბოძეს ავამებმინის. და რადაც ის ჩემი ქმარი უნდა ყოფილიყო, ჩემი მოკლე ჭკუით ყველაფერი გავაკეთე იმისთ-



ვის, რომ ერთმანეთი გვეყვარებოდა, რომ ჩვენი სახლი ლამაზი და მზიარული ყოფილიყო, მინდოდა მისით მეამაყა. მაგრამ მამაშენი ვერავი კაცი იყო, ეგოიზმში ჩაფლული. რაც არ უნდა ვამეკეთებინა, მისგან ერთ ტუბილ სიტყვას ვერ ველოდებოდი. ისე მიყურებდა, თითქოს მისი ვალი მქონდა და ახლა ვუბრუნებდი. როდესაც რამე არ კეთდებოდა, როგორც თავად ლადავ, სულ რომ შეუძლებელი ყოფილიყო ამის გაკეთება, ჭკუას კარგავდა, გიულდებოდა, ეჭვობდა, რომ ამ გზით მის დამცირებას ცდილობდნენ. როდესაც პირველი გოგო გვეყვოდა და არა ბიჭი, როგორც ამას ეძღოდა, მიკვნიდან წავიდა, რომ ბავშვისთვის არ ეცქირა და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდა. ბავშვი შემთხვევით გადავანყდით ერთმანეთს. ხელში ბავშვი მეჭირა. მოგვიახლოვდა, შეხედა, თითქოს რაღაც უცნაურობასთან ჰქონდა საქმე და თქვა: „იმედები გამიძრუეთ, შენც და ანანაც“...

ასე დავიწყო ელექტრას ცხოვრება. როცა გაიზარდა, ერთადერთი, რაც მისგან ეძღოდა, იყო, რომ „როგორ ეყვარებოდა, ბიჭი რომ ყოფილიყო“. ელექტრა მუდამ ფეხდაფეხ დასდევდა, მუდართ მესცქეროდა, ოცნებობდა, ხელში აეყვანა და გულში ჩაეკრდა. ის კი, ვითომც არაფერი... მას სიახლოვებასაც კი გვრიდა, ჩემი შვილი მის სიყვარულს რომ მათხოვრობდა, ბავშვს რომ ავადებდა და მომტირალს კარს უკან დამაბლუს რომ ხედავდა. ასე, ნელ-ნელა მის ბავშვურ ტვინში მომნიჭდა აზრი, რომ მე ვიყავი დამნაშავე, გოგოდ რომ გაჩნდა. თავს მარიდებდა. მერე თითქოს გამომცდელად მიყურებდა, უნდოდა დაეფინა ვინ ვიყავი, რა ვიყავი. ხელში აყვანას და მოფერებას რომ ვცდილობდი, შემინებული გამირბოდა, თითქოს მის ცემას ვაპირებდი. და როდესაც მე ჩემი სიყვარულის გამო მას დლით დავ ვკარგავდი, ის მისი ზიზლით მის გულს იგებდა. ბოლოს ორივეს ვნებად ექცა, მამას ზიზლი გამოეხატა ქალიშვილის მიმართ, ქალიშვილს კი სიყვარული ეპასუხა. თავს ისე მართოდ ვგრძნობდი, ისე უცხოად...

მამაშენი, და ამაში სულაც არ ვამტყუნებ, ბიჭის ყოლის სურვილით ისევე მოვიდა ჩემთან. ცხრა თვის განმავლობაში, ვიდრე ფეხმძიმედ ვიყავი, ვოცნებობდა, ბიჭი მყოლიდა. როდესაც ისევე გოგო გაჩნდა, დავწყევლე ის ნუთი, როდესაც ჩემში მისი თესლი ჩაისახა. დედა ვარ და ასე არ უნდა ვცოდავდე. მწარედ ვინანუ, ვტიროდი და დღემდე ვტირი. თან დამნაშავედაც ვგრძნობ თავს, ორესტე. შეიძლება იფიგენიას უბედურება ჩემი მამინდელი წყევლის შედეგიც იყო. ვინ იცის...

სახლში ყოფა აუტანელივით გახდა. მამაშენმა საერთოდ მიგვატოვა. მისი ხმა რომ არ გამეგო ხოლმე გარედან, ვერც მიხვებდოდი, იქ რომ იყო. ალბათ ფიქრობდა, თავიდან მოვეცილებინე, სხვა ქალი შეერთო - ნეტა მართლა ასე მოქცეულიყავი. სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერ გაბედა, ალბათ იმიტომ, რომ კარგად იცოდა, ჩემს ოჯახთან კავშირის განწყვეტა მის პოზიციებს შეაუსუსტებდა. ჩემი ორესტე, გოგოვით თხოვრებთან იმიტომ, რომ უყვარდეთ და თავადაც ყვარობდნენ, რომ ერთგული მე-

გობრები და დედები იყვნენ. კაცები ქორწინდებიან იმიტომ, რომ მზრანებლობდნენ... იფიგენია სრულ მარტოობაში გავზარდე. ელექტრა კი, მამამისის მიზაძვით, არ ნახულობდა დას. ერთხელ მარტო მოიგულა ბავშვი ეზოში და პირი ქვიშით გაუფსო. ძიძას ბუნებზე რომ არ მიესწრო, დამხრჩვალს ვიპოვიდით...

ორესტე, ძვირფასო, სწორად გამიგე, რასაც ელექტრაზე გეუბნები. არ იფიქრო, რომ მის ურჩხულად გამოყვანას ვცდილობ. ჩვენი უბედურება ის არის, რომ არცერთი არ დავბადებულვართ ურჩხულად, მაგრამ საშინლად საქმეებს ჩავდევართ. მინდა შეიგნო, რომ მის გამო მარტო იფიგენია არ დამიკარგავს, ელექტრაც დაეკარგე. ისე ვაკაეთა, რომ გოგოს რცხვენოდა გოგო რომ იყო, შეაზიზა საკუთარი თავიც და მეც. იცი, ერთი ტრეპიდაც კი არ გადმოვარდნია იფიგენიას მსხვერპლად შენთვის გამო... ალბათ, იმიტომ, რომ არ ეფიქრათ, მამის ნინაბაღმდეგია... არც ახლა დაისახავდა მიზნად ჩემს მოკვლას, კაცი რომ ყოფილიყო. საკუთარი მდებარეობით სქესის გამო უნდა შურისძიება და არა მამამისის გამო...

(ისე ეჩვენება, რომ კარის მხრიდან რაღაც ხმაური მოგხსნა. კარს უახლოვდება, შეცბუნებულია, მოკუდული ხმით ამბობს).

ორესტე... ორესტე...?  
(რწმუნდება, რომ იქ არაფერია. ტრიალდება და მიდის იქითად, სადაც სავარაუდოდ ფანჯარა. თან ლაპარაკობს).

ლმერთო ჩემო, რა იქნება, კარი გაიღოს და შემოხვიდე, მიუსწრო, არ დაუშვას შეცდომა, უფრო, რომ შენ ამას არასდროს ჩაიღენდი, არასდროს... რა სიღამაზეა გარეთ, რამხელა მთვარეა... გვესოვოსთან ერთად ყურძნის მოსაპარად ნავედი... მარშან იყო?

(სწრაფად ბრუნდება მაგიდასთან და კითხულობს).

მერე შენი დროც მოვიდა, ორესტე. ახ, პატარავ, არ უნდა გიყვებოდე ამას, მაგრამ უნდა იცოდე, უნდა იცოდე, როგორ მოხდა ყველაფერი... მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის... მაგრამ ამჯერად არ ახსოვდა არც ვინ იყო და არც ვისთან იყო. ძილში ვიგრძენი, როგორ ამომბოცოცდა, ვილაც ხარიტულას სახელს მეძახდა და უწმინაურ სიტყვებს მეუბნებოდა. პირი უყარდა ღვიზის, საჭმლის სუნით, კინაღამ გული ამერია. ხელი ვკარი, მინდოდა თავი დამეზინა, მაგრამ დამიჭირა. საშინელ სიბინძურეებს მეუბნებოდა და თან მცემდა. ლოგინზე დამავადო და ზემოდან ლოდივით დამანვა. ფრჩხილებით კისერში ვწვდი, ძალა რომ მოქონოდა, დავაზრჩობდი. გაცოფდა. ისე მაგრად დამარტყა, რომ გონება დავკარგე. როცა გონს მოვიფიქრა, თანული დამხვდა, თუმცა მანამდე გამაუბრებელი, თანაც მე კი არა, ვილაც ხარიტულა. ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ჩემი ქორწინების უკანასკნელ მოკვლევად მისი ოფლის მყრალი სუნით დამარჩა. მთორე დღეს მივიდა და მოვეყვი, რაც მოხდა. უნდა სცოდნობა, რადგან ფეხმძიმედ რომ დავრჩენილიყავი, შეიძლებოდა ეთქვა, რომ მისგან

არ ვიყავი ორსულად. მითხრა, რომ გაითვალისწინებდა.

ასე უცნაურად მოვეცინე ამ სამყაროს, ჩემო შვილო, ჩემო ერთადერთო სიხარულო. რა უცნაურია ცხოვრება. აი, ახლაც, გეუბნები „ჩემო ერთადერთო სიხარულო-მეთქი“ და თან ისეთ რამეს ვაკეთებ, რასაც არცერთი სხვა დედა არ გაუკეთებდა საკუთარ შვილს. ამდენი საშინალებებით, ახლა რომ გითხარი, შეიძლება სამუდამოდ მოვიანალო შენი ბავშვური სული. ყველაფერი სასწორზე დავდე, და შესაძლოა ნავაგო კიდევ, ისიც შეიზოზლო და მეც. მაგრამ სასწორაკვეთილებში ვარ. თავის დასაცავად სხვა გზა აღარ მაქვს, ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ შენც არ დაგკარგო. შენც დაგკარგავ, ჩემო ორესტე, თუ სიმართლე არ გითხარი, თუ არ გეცოდინება, როგორ გაჩნდი, არ გაითმან, რა გავიქი მე. შენ ჩემი სისხლი ხარ, ჩემი რძე, ჩემი ტკივილი, ჩემი სიხარული, ღამისთევა, იანვანა, ზეცის შეხება...

არ უნდა ვამბობდე ყველაფერ ამას, არც ვიტყვოდი, რომ არ წაერთმია ჩემთვის ყველაფერი მის მამაკაცურ ეგოიზმს. და არა მხოლოდ მისას! იცი, რას ამბობდა ხალხი, ეგოსისი რომ მიკენში მოვინვი? „ავამეგრნონის შვილი უშველით, ორესტე წაართვით, ეს მეგერა ბავშვს მოკლავს“.

„ავამეგრნონის შვილს“. და ნამართლეს კიდევ შენი თავი... ელექტრას წინამძღოლობით... რომ არ მომეცინო... მეც მაქვს ჩემი წილი პასუხისმგებლობა, ორესტე, მეც დავუშვი შეცდომები. გვიან მივხვდი, რომ სიმართლის დამალვა სისულელე იყო. ასე არასდროს ქნა. ზოგჯერ ფიქრობთ ხოლმე, თუკი ყურადღებას არ მივაქცევთ, ყველაფერი თავისით გადაივლის... რა შეცდომაა! რომ მცოდნოდა, რომ არ უნდა მეთამაშხ სხვების წინაშე ბედნიერი დედა და ცოლი, რადგან არ მინდოდა მამხინარი ჩემი ქმარი, მმართველი, მთელი ოჯახი მათ თვალში, რომ მყოფნოდა სიმამაცე მიმეტოვებინა, ახლა არ ვიქნებოდი ერთმანეთის სისხლში გასვრილი ოჯახი. ვერ ვხვდებოდი, რა შედეგი ექნებოდა სიმართლის დამალვას. ამიტომაც ახლა ყველაფერს გეუბნები, ჩემო ბიჭო, მწარე სიმართლესაც კი! მამატიე... მაგრამ ისევე თუ გავჩუმდი, მემკვიდრეობდა სიჩუმეს დაგიტოვებ, გველებს რომ კვედვას...

ღამით დაიბადე...! იმ ღამეს წვიმა და ყველა ამბობდა, ილბიანი ბავშვი იქნებოდა... ბიჭის გაჩენით გაბედნიერებული ოდნავ შეიცვალა, მეც უფრო აღამიანურად მექცეოდა. როდესაც შენი ნახვა უნდოდა ხოლმე, ბრძანებდა, მე მიმეყვანე მის ოთახში. როდესაც თავად მოდიოდა ჩვენითან, აკვანთან იხრებოდა და ამბობდა: „ყორალ, მოახვედრე როგორც იქნა“. ჩემთვის ასე ნათქვამი სიტყვებიც საკმარისი იყო, ბედნიერად რომ მეგრძნო თავი. იმიტომაც კი კმაყოფილი ვიყავი, რომ თუნდაც ერთი შვილისთვის იქნებოდა კარგი მამა.

შენს დებს უკვე გაკვეთილები დასწყებოდათ, ელექტრას ხო მასწავლებლები ჭკუიდან გადაჰყავდა. ერთ დღემი სწავლობდა იმას, რასაც სხვა ბავშვები ან დღეს ანდომებდნენ. ახალ კარიბჭებს რომ

დგამდნენ, მიდიოდა ხოლმე, საათობით უყურებდა ხელისნებს, იარაღებს სთხოვდა, რომ თავადაც გამოეჭრა რაიმე ხიდან. ბოლოს მისცეს კიდევ. ერთხელ ლერწმებიდან შვის საათი გააკეთა. ჯერ ათი წლისაც არ იყო. ხო... იფიგენია, მართალია სამი წლით უმცროსი იყო, მაგრამ მხოლოდ მუსიკაში იყო კარგი. ორჯერ სიგეფიმედ უყვარდა, ორესტე. მაგრამ ელექტრას მაინც რაღაც სხვაგვარი გრძნობა აქონდა შენ მიმართ. როგორც კი ოდნავ წამოიზარდე, ხელს ჩაკიდებდა და მამასთან მიჰყავდი, ერთად რომ დავნახვით. თითქოს უნდოდა ეთქვა „აი, ახლა ბიჭიც გყავს, ნუღარ ბრაზობ, მე რომ გოგო ვარ“. ეჭვი მეპარება, მამაშენი როდესმე ამას მიმხვდარიყო... მაშინ რამდენიმე მშვიდი წელი გავატარებთ, ალბათ საუკეთესო, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე.

ხუთი წელი რომ შევისრულდა - გასოსვს? - გადაწყვიტა, თავად ეზრუნა შენს აღზრდაზე. თქვა, რომ თავად უნდა ესწავლებინა საკუთარი ვაჟისთვის. თუმცა ჩემზე კარგად იცი, რომ არც თუ ისე ბევრი დრო დახარჯა შენს აღზრდაზე. მხოლოდ მითითებებს აძლევდა შენს პედაგოგებს. შენ კი მათ ეპარებოდი, ჩემო ბიჭუნა, და ჩემთან მოდიოდი, რომ გეთქვა, რომ მუცელი გტკივა და გაკვეთილები გაგეცდინა, ან ჩამომძვრალი კბილი მოგქონდა, ერთად რომ გადაგვევლო თავისთვის... მართალია, იფიგენიაც ყყავდა... ჩემო ორესტე, ყველა ერთნაირად მიყვარხართ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მხოლოდ იფიგენიასთან ვიგრძენი, რას ნინავდა გყავდა შეილი. იფიგენია! რა ტკბილი იყო, რა ღამაზი და რა მატყუარა, ღმერთო ჩემო... რას არ მოგონებდა ჩემს ვასამიარულეობადა...

მერე ომი დაიწყო. მიზეზი მიეცათ თუ არა, იმ წამსვე ომი წამოიწყეს. ამ ომის უაზრობაზე და უსამართლობაზე ახლა მარტო მე აღარ ვლაპარაკობ, ამაზე პირველ რიგში ის უბედურება მეტყველებს, თავად ომის მსურველებს რომ დაატყდათ თავს... იმედი მქონდა, რომ ომიდან სხვა კაცი დაბრუნდებოდა, რომ მათთვის, ვინც გადაარჩა, ტროა კარგი გაკვეთილი იქნებოდა. სასტიკად მოვტყუედი. ავამეგრნონი გამარჯვებული კაცივით დაბრუნდა შიშით. ათი წლის მანძილზე ვერაფერს მიხვდა.

თავიდან ვიფიქრე „ეგებ თამაშებს გამარჯვებულს? ეგებ დახმარება სჭირდება შეცდომების და ილუზიების გამოქვამბულიდან გამოსასვლელად?“ მაგრამ როდესაც ვაგებდე და მოკრძალებით ვივითებ, თუკი ორედა ამდენ მსხვერპლად ეს ომი, ვაცოფდა, დამიღრიალა, რომ მიკრძალავს ამ თემაზე ლაპარაკს, რომ ასეთ საკითხებში ქალი არ უნდა ერეოდეს“. გესმის, ორესტე? ამიკრძალა მქონდეს ჩემი აზრი ომზე, რომელსაც იფიგენია შეეწინა. თანაც რაც უფრო გიკრძალავენ რაიმეს, მით უფრო მძაფრდება შენი ინტერესიც... ადრე აშკარა რაღაცეებზე არც ვფიქრობდი. თავად მაძიებო. კიდევ ბევრი რამის მოყოლა შემიძლია ამ ომზე. ისეთმა ისტორიამ მოიცვა მაშინ ყველა, რომ არგოსის უკანასკნელი მათხოვარიც კი ყვიროდა „ტროაში, ტროაში“. გეგონება ტროელებს უნდა დაებრუნებინათ მათთვის ის, რაც თავად არგოსელებმა წაართვიან.



ჩემთვის მაინც ყველაზე შემზარავი სპარტელი დედები იყვნენ, შვილებს რომ მოძღვრავდნენ „ან ფართო, ან ფარზე“... რატომ ერჩივნათ საკუთარი შვილები მკვდრები ენახათ, ვიდრე დამარცხებულები? რომელი მტრის გამო? სად ნახეს მტერი?

მაშინ რომ მცოდნოდა ის, რაც დღეს ვიცი, ვეტყვი „ქალეო, ეძებთ მტერი სპარტაში, მე ჩემი მტერი მიკენში ვიპოვე...“ ახლა რაღას იტყვიან? არ გეგონოს, ამას იმიტომ გეუბნებოდე, რომ თითქოს მიიდა სხვებზე უფრო კეთილშობილი წარმოვდე შენ ნინაშე... არა, ორესტე... ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არასოდეს არაფერი დამიყენებია ჩემი შვილების სიცოცხლეზე მალა. რა კავშირი აქვს ჩემს საშვილოსნოს, ჩემს ჭიპლარს მათ ინტერესებთან ტროაში? ამიტომაც ვერ შევეგუები სიცოცხლის უკანასკნელ უფთამდე იფიგენიას მსხვერპლად შეწირვას, არც მას ვაპატივე არასდროს, ათასჯერ მკვდარიც რომ იყო (ფეხზე ნამოხტება, პირზე ხელს იფარებს, თავად შემინებული საკუთარი სიტყვების გამო, ერთი-ორ უბარო ნაბიჯს დგამს, იჩიქებს მიმოფანტულ ფურცლებს შორის, დაბნეული იღებს ერთ ფურცელს და ამბობს...).

ორესტე, გახსოვს რამე? ...დედა ღელავს, როცა სათამაშოდ გასული შვილი სახლში იგვიანებს, ღელავს, როცა შვილს ჯირკვლები უსიგდება, როცა სიცხე აქვს... ასეთი უმნიშვნელო რაღაცეების გამო აიტანს ხოლმე კანკალი. ხვდები, რას ნიშნავს, როდესაც შენი შვილი მიჰყავთ... საკმარისია... იფიგენიას გამო ტკივილი აუტანელია... თუმცა სულ სხვა რამის თქმა მიწოდდა... (მაგიდასთან მიდის, ქალაღებს ქექავს, რაღაც ფურცელს იქებს. პოულობს და კითხულობს). რახან საკუთარი თავის გამო მტკივა, ამიტომ მტკივა სხვების გამოც. მაგრამ კიდევ ერთი მიზეზის გამო, ორესტე, რახან ეგისტოსი გავიცანი... მან მასწავლა, როგორ გავუო სხვებს.

ეგისტოსთან დაკავშირებითაც უნდა ვთქვა რამე... უამრავ ადამიანს ნახავ არგოსში, ვინც დაგიდასტურებს, რომ მე არ ჩამომიყვანია იგი მიკენში. ხალხმა ისურვა ასე, ორესტე, და ხალხმა ჩამოიყვანა. მაგრამ, რომ არ გეგონოს, რომ თავს ვიპართლებ, თავიდანვე გეტყვი, რომ ყველაზე მეტად მე მენდა მისი ჩამოსვლა. მას შემდეგ, რაც მამაშენმა ქალაქიდან გავადო, მოშორებით, პარნონთან განმარტოებით ცხოვრობდა. ვინც კი მას იცნობდა, ყველა ამბობდა, რომ ბრძენი კაცი იყო. როდესაც ჰკითხეს, ამ ომს რა შედეგი ექნებაო, თქვა: „ტროა არგოსის დასასრული იქნება“.

დადგა დრო, ვილაცას ხმა ამოეღო, სიმართლე ეთქვა. დაუსრულებლმა ომმა ქვეყანა სრულიად გამოფიტა. ვისთვის უნდა მიემართათ არგოსელებს ახლა, როდესაც წყევლიდნენ ომსაც და ავამეზონსაც? ხალხი ვაფუგზავნე და ვთხოვე, ჩამოსულიყო. მიატოვა მშვიდი ცხოვრება მთაში და მიკენში ჩამოვიდა. მარტო, უიარაღო, მხოლოდ საკუთარი იდეებით, სიმამაცით და დიდი გულით შეიარაღებული. მისი პირველი გადაწყვეტილება იყო აღარ გავეგევა ხალხი ტროაში. მისი პირველი განცხადება კი იყო, რომ პარნონში დაბრუნდებოდა, როგორც კი არგოსში ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა და ვიდრე შენ, ორესტე, თვრამეტიწელი შეგისრულდებოდა (მაგიდიდან ორივე ხელით იღებს ფურცლებს გროვას, დგება... ნინისკენ მიემართება... გზადავ ზა ხელიდან ფურცლები უცვივია). ჩემო ბიჭო, რთულია ქალისთვის, განსაკუთრებით დედისთვის, ყველაფერი მოუყვეს საკუთარ შვილს, მაგრამ მიინდა რომ ყველაფერი ჩემგან იცოდე. იმ წელს, როდესაც ეგისტოსი მიკენში ჩამოვიდა, ოცდათექვსმეტი წლის ვიყავი. მაშინ რომ ვინმეს ჩემთვის ეკითხა, რა არის სიცოცხლეო, ვეტყვი „სასჯელი, რომელსაც ყველა ატარებს და რომელსაც არავინ ამჟღავნებს, რომ ქვეყ“





ნიერების დასაწყისიდან მშობლები არ უმყლავნებენ შვილებს, შვილები მათ შვილებს, და ეს სასჯელი ფსევდონიმით სიცოცხლე - გრძელდება". ასე ვიცოდი, ასე ვამბობდი. ეგისტოსმა სამყარო შემიცვალა. მასწავლა, რომ მართალია ცხოვრება არ არის მუდამ ვარდებით მოფენილი, მაგრამ არც სამუდამო ტანჯვაა, რომ ყოველთვის ბედი კი არ გვექცევა ცუდად... ჩვენც, ადამიანები, ცუდად ვიყენებთ საკუთარ ბედს...

ელექტრამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აქამდე მოვსულიყავით...! ელექტრა, მამის საუკუნო მსხვერპლი.

ერთად დაგვემეს ის, რაც ავამეგნონის ჩამოსვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ჩვენც არ დავაკელით. ბევრი ამბობდა, რომ ეგისტოსი მამაშენის ჩამოსვლამდე უნდა წასულიყო. მან თქვა: „ქურდით რომ წავიდე, მართლები იქნებიან ისინი, ვინც ქურდს დამიძახებს“. შეუდრეკელი იყო. ისეთი უმანკო სული აქვს, ორესტე. მიუხედავად იმისა, რომ ვხედავდი, შეცდომას უშვებდა, მაინც დავთანხმდი მის გადაწყვეტილებას. კარგად ვიცოდი, როგორი იქნებოდა დასასრული. ის გადარჩებოდა, ვინც პირველი მიიტანდა დარტყმას. გადაწყვეტილებაც მე მივიღე და არა ეგისტოსმა. იძულებული ვიყავი, ეს გამეკეთებინა. სიცოცხლეს დავთმობდი მის გადასარჩენად. მე მოვიხმე იგი მიკენში და მე ვიყავი პასუხისმგებელი მის სიცოცხლეზე. ჩემი გადაწყვეტილების შესახებ მისთვის არაფერი მითქვამს. თავად გაეაკეთე ყველაფერი ჩემს ერთგულ ხალხთან ერთად. ეგისტოსმა რომ გაიგო, უკვე ყველაფერი დასრულებული იყო. დასრულებული ავამეგნონისთვის, მაგრამ არა ჩვენითვის. მიკენში სხვები ყოველთვის უფრო ძლიერები არიან...

(დაბნეული ნელ-ნელა კულისებისკენ მიდის, ფურცლები ხელიდან უცვივა, ძირს იფანტება).

ახლა თავის ითანხმია, იმ ითანხში, ზღვას რომ


უსურებს. შეიძლება ჯერაც არ სძინავს, ზის და კითხულობს გვიანობამდე, ჭამაც კი ავიწყდება ხოლმე. სანამ წერილის წერას დავიწყებდი, ცხელი ღვინო, ყველი და თხილი მივუტანე, ასეთი რაღაცეები უყვარს. წერილისთვის ფურცლებიც მას გამოვართვი... ნეტა თუ მეყოფა? ზედმეტია შენთვის ასეთი რამეების წერა, მაგრამ იყოს, ახლა რომ ნავშალი, მევე იფიქრებ, ნეტა რა ნაშალია. ან რატომ ნავშალი? ხო, ჩემო ბიჭო, მიყვარს ეგისტოსი, რომ გავეცნო, ყველაფერს მიხვდებოდი... მან მაჩუქა ხელახლა სიცოცხლე, მან დამანახა სინათლე, ხელი რომ არ შეეშალათ მისთვის, მთელ არგოსს ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა და ისე გადმოგვცემდა მიკენს. მაგრამ ასე არ მოხდა და აღარც მოხდება. დავიფიცეთ, რომ ნეთი სისხლი აღარ დაიღვრება. მაგრამ ამას მაინც ვერ ავცდით. ახლა ყოველი მხრიდან გარშემორტყმულები ვართ. გამოვემშვიდობეთ ოცნებას, პარნონში მშვიდად გვეცხოვრა. ახლა ველოდებით...

(მაგიდასთან ბრუნდება და წერს. ამასობაში კარი ჩუმად იღება და ელექტრა გამოჩნდება. ელექტრა გზას ორესტეს უთმობს. კლიტემნესტრა ვერაფერს ხედავს. წერას აგრძელებს).

ვამთარებ, ორესტე, რაც სათქმელი მქონდა, ყველაფერი მოგწერე. თუმცა... ღმერთმანი, არ გაჰყვე შენი ბაბუის და მამაშენის კვალს! გათავისუფლდი, ორესტე. და კიდევ, ჩემო ბიჭო, უშველე ელექტრას, ის არაფერში არ არის დამნაშავე. რაც არ უნდა ქნას, აპატიე. ნაუკითხე ჩემი წერილი და აუხსენი, რომ არასდროს, არასდროს...

(ორესტე კლიტემნესტრას უახლოვდა და თითქოს ორივე ხელით დანა უჭირავსო, ჩასარტყმელად ემზადება. მის უკანასკნელ მოძრაობაზე მუქი ქრება).

ფარდა



უმბერტო ეკო

# მარადიული ფაშიზმი<sup>1</sup>

იტალიურიდან თარგმნა ნათია ბერიშვილმა







“მარადიული ფაშიზმის” ინგლისური ვერსია კოლუმბიის უნივერსიტეტის იტალიური და ფრანგული განყოფილების მიერ ორგანიზებულ, ევროპის გათავისუფლებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე ნაიკითხე 1995 წლის 25 აპრილს. ეს ტექსტი 1995 წლის 22 ივნისს დაიბეჭდა The New York Review of Books-ში. შემდეგ კი იტალიურ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა ჟურნალის La Rivista dei Libri 1995 წლის ივლის-აგვისტოს ნომერში სათაურით „FUZZY ტრელოიტარიზმი და ურ-ფაშიზმი“ (ამ ვარიანტისაგან მხოლოდ უმნიშვნელო სტილისტური შესწორებებით განსხვავდება). გასათვალისწინებელია, რომ ეს ტექსტი ამერიკელი სტუდენტებისთვის შეიქმნა და იმ დროს ნაიკითხე, როდესაც ამერიკა ოკლამოში მომხდარი ტერაქტით იყო შეძრული და შეურთებულ შტატებში ულტრამემარჯვენე სამხედრო ორგანიზაციების არსებობა უკვე ცხადყოფილად აღიქმებოდა (თუმცა არც მანამდე ყოფილა საიდუმლო). ასე რომ, იმ ვითარებაში ანტიფაშიზმის თემა დაშტატირებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და მისი ისტორიული ანალიზის მიზანი სხვადასხვა ქვეყანაში აქტუალურ თემებზე დაფიქრება იყო. შემდეგ მასალა ბევრ ენაზე ითარგმნა და სხვადასხვა ვაჟებსა და ყურნაში გამოქვეყნდა. ეს ტექსტი ახალგაზრდა ამერიკელებისთვის დაინერა, ამიტომაც მასში სკოლის პროგრამის დონის გარკვეული ინფორმაცია, რუზველტის გამონათქვამები, ამერიკულ ფაშიზმზე მინიშნებები და იტალიელი მკითხველისთვის კარგად ცნობილი მოვლენების დეტალები. გათავისუფლების დღეებში ევროპელებისა და ამერიკელების შეხვედრაზეც ამიტომაცაა ყურადღება გამახვილებული.

1942 წელს 10 წლის ვიყავი, ჯილდო რომ ავიღო ოლიმპიადაში სახელწოდებით Ludi Juventus (სავალდებულო ღია კონკურსი ახალგაზრდა იტალიელი ფაშისტების – ანუ ყველა იტალიელი ახალგაზრდასათვის). ვირტუოზული რიტორიკით დავწერე თემა: “ვართ ვალდებული, სიცოცხლე გავწიროთ მუსოლინის დიდებისა და იტალიის უკუდავებისათვის?” ჩემი პასუხი დადებითი იყო – ყოჩაღი ბიჭი ვიყავი.

შემდეგ კი, 1943 წელს, მივხვდი, თუ რას ნიშნავდა სიტყვა “თავისუფლება”. ამ ამბავს ჩემი საუბრის ბოლოს მოვყვები. მაშინ “თავისუფლება” ჯერ კიდევ არ ნიშნავდა “გათავისუფლება”.

ორი წელი გვატარებდა SS-ის, ფაშისტებისა და პარტიზანების გარემოცვაში. ისინი ერთმანეთს ესროდნენ, მე კი ტყვეების აცილებას ვცდილობდი და, სხვათა შორის, ეს სულაც არ იყო ურიგო ვარჯიში.

1945 წლის აპრილში პარტიზანებმა მილანი აიღეს. ორი დღის შემდეგ ჩემს პატარა ქალაქშიც შემოვიდნენ. ძალიან სასიხარულო დღე იყო. მთავარი მოედანი ხალხით გაივსო. ყველა მღეროდა, დროშებს აფრიალებდა და მიმოს, რეგიონის პარტიზანთა მეთაურს უხმობდა. მიმო, კარაბინერების ყოფილი სერჟანტი, რომელიც თავის დროზე ბადალივით იბრძოდა და ერთ-ერთი პირველი შეტაკების დროს ფეხი დაეკარგა, ყავარჯენებით, გაფორმებული გამოვიდა მერიის აივანზე. ხელით ანიშნა ხალხს, დამშვიდდითო. იქ მეც ვიყავი და მის სიტყვას ველოდი. მიუღი ბავშვობა ხომ მუსოლინის გამოსვლებს ვისმენდი, მათ ყველაზე

მნიშვნელოვან მონაკვეთებს სკოლაში ზეპირადაც ვსწავლობდი. სიჩუმე ჩამოვარდა. მიმოს ხმა ჩახლევოდა, თითქმის არაფერი ისმოდა: “მოქალაქენო, მეგობრებო. დიდი მსხვერპლის, დიდი ტკივილის შემდეგ... აი, აქ ვართ. დიდება თავისუფლებისთვის დაცემულით, – მხოლოდ ეს თქვა და უკან შებრუნდა. ხალხი ყვიროდა, პარტიზანები ჰაერში ისროდნენ. ჩვენ, ბავშვები, მასრების მოსაკრეფად გავცვივდით, ვაგრძობდით ხოლმე. მაგრამ მაშინ იმასაც მივხვდი, რომ სიტყვის თავისუფლება რიტორიკისაგან თავისუფლებას ნიშნავს.

რამდენიმე დღის შემდეგ პირველი ამერიკელი ჯარისკაცები ვნახე. აფრო-ამერიკელები იყვნენ. პირველი იანკი, რომელსაც შევხვდი, შაკანიანი ჯოზეფი იყო, რომელმაც დიკ ტრეისის და ლი ებნერის საოცრებები მაზიარა. მის ფერად კომიქსებს კარგი სურნელი ჰქონდა.

ერთი-ერთი ოფიცერი (მაიორი თუ კაპიტანი მაღი) ჩემი ორი თანასკოლელის ოჯახში ცხოვრობდა. როგორც საკუთარ სახლში, ისე ვიყავი იმ ბაღში, სადაც რამდენიმე ქალბატონი გარს ეხვეოდა კაპიტან მადის და დამტყრეული ფრანგულით ელაპარაკებოდა. კაპიტანი მადი განათლებული კაცი იყო და ცოტა ფრანგულიც იცოდა. ასე რომ, ჩემთვის შავპერანგიალების ფერმკრთალი სახეების შემდეგ პირველი ამერიკელი გამათავისუფლებელი ყვითელ-მწვანე უნიფორმიანი განათლებული შაკანიანი იყო, რომელიც ამბობდა: “Où, merci beaucoup Madame, moi aussi j'aime le champagne...” (დახე, გმადლობო, მადამ, მეც მიყვარს შამპანური). შამპანური, სამწუხაროდ, არ გვექონდა, სამაგიეროდ, ჩემი პირველი სალექი რეზინი კაპიტანმა მადიმ მაჩუქა და მთელ დღეს მის ღეჭვაში ვატარებდი. მეორე დღისთვის სიბილე რომ შეენარჩუნებინა, ღამით წყლიანი ტიქაში ვვდებო.

მისში გავიგეთ, რომ ომი დამთავრდა. მშვიდობამ ცნობისმოყვარეობა აღმიძრა – ჩვენ ხომ გვეუფლებოდნენ, რომ ახალგაზრდა იტალიელებსათვის მუდმივი ომი უნდა იქონიებოდათ. მომდევნო თვეებში აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ევროპული მოვლენა იყო. ისეთი ახალი და ამა-

1. © უმბერტო ეკო  
 © ესე კრებულიდან „ნუთი ესე ვითიკის საკითხებზე“, Bompiani-RCS Libri S.p.A., მილანი 1997-2013.  
 © Umberto Eco  
 © Saggio tratto da “Cinque scritti morali”, Bompiani-RCS Libri S.p.A., Milano 1997-2013.  
 2. ტერმინი გამოიყენება ლოკიაკში. შეიძლება ითარგმნოს, როგორც გაურკვეველი, მუნდოვანი, არაზუსტი.  
 3. წინსვარი გერმანულ ენაში. აღნიშნავს უძველესს, პირვანდელს, ავთენტურს.





დღევანდელი სიტყვები ვისწავლე, როგორცაა "re-seau", "maquis", "armee secrete", "Rote Kapelle", "ghetto di Varsavia". პოლოკოსტის ამსახველი პორტრეტი ფოტოები ვნახე და ასე მივხვდი, რა იყო, სანამ სიტყვის მნიშვნელობა გავიგებდი. მაშინ გავაცნობიერე, რისგან ვიხსენებ!

დღეს იტალიაში არიან ადამიანები, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობის რეალურ სამხედრო გავლენას ომის მსვლელობაზე ეჭქვეშ აყენებენ. ჩემი თაობისათვის ეს უსაფუძვლო ეჭვია: ჩვენ მაშინვე მივხვდით წინააღმდეგობის მორალურ და ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას. ნამდვილად საამაყო იყო, რომ ჩვენ, ევროპელები, გულხელდაჭერა-ფილი არ ვემდებოდით გათავისუფლებას. ვფიქრობ, ახალგაზრდა ამერიკელებისთვისაც, რომლებიც საკუთარ წილ სისხლს ღვრიდნენ ჩვენი თავისუფლებისთვის, მნიშვნელოვანი იყო, რომ ფრინგის ხაზს იქით ევროპელებიც იხდებოდნენ ვალს.

დღეს იტალიაში არსებობს აზრი, რომ ევროპული წინააღმდეგობის მითი კომუნისტური საყუილია. მართალია, კომუნისტებმა პირადი საკუთრებასათვის გამოიყენეს წინააღმდეგობის მოძრაობა, რადგან მთავარი როლი ჰქონდათ მასში, მაგრამ მე სხვადასხვა ფერის ყელსახვევები მასსოვს პარტიზანთა რიგებში.

ღამეებს რადიოზე აკრულები, ლონდონიდან პარტიზანებისათვის გადმოცემული ინფორმაციის მოსმენაში ვატარებდი - ფანჯრები დახურული გვექცეოდა და რადიომიმღერის გარემოში პატარა სივრცე სინათლის ერთადერთი წყარო იყო ერთი-ანად ჩაბნელებულ ოთახში. ბუნდოვანი და პოეტური ამბების ("მზე კვლავ ამოვა", "ვარდები აყვავდება") უმრავლესობა ფრანკისთვის იყო. ვილა-ცამ ჩამჩურჩულა, ფრანკი ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საიდუმლო ჯგუფის მეთაური, ლეგენდარულად მამაცი კაცია. ის ჩემი გმირი ვედა. ფრანკი (მისი ნამდვილი სახელია ვადარდო სონიო) მონარქისტი და ისეთი ანტიკომუნისტო იყო, რომ ომის შემდეგ მემარჯვენე ექსტრემისტთა ჯგუფს შეუერთდა და რაქტიციონერთა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობისთვის დასდეს ბრალი. მერე რა? სონიო ახლაც ჩემი ბავშვობის ოცნებაა. გათავისუფლება ხომ სხვადასხვა ყაიდის ხალხის საეთრ საქმე იყო.

დღეს იტალიაში ზოგი იმასაც ამბობს, რომ გათავისუფლებისთვის ბრძოლა განხეთქილების ტრავატიული პერიოდი იყო და რომ ახლა ეროვნული შერიგების საჭიროების წინაშე ვდგავართ. იმ წლებში მოგონებები უნდა აღიკვეთოს, მაგრამ აღკვეთა ხომ ნევროზს იწვევს. თუ შერიგება თანავრძნობას და პატივისცემას ნიშნავს ყველასთვის, ვინც ერთგულად იბრძოლა იმ ომში, პატივსაც სულაც არ ნიშნავს დაიწყებას. შეიძლება ვაღიარო კიდევ, რომ ეიხმანს გულწრფელად სწამდა საკუთარი მისისი, მაგრამ ამის გამო ვერ ვტყვი, კარგი, დაბრუნდი და იგივე განიმეორე-მეთქი. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ გვახსოვდეს მომხდარი და ხმაიდალა განვაცხადოთ, რომ "მათ" ეს აღარ უნდა გამოვრთ.

მაგრამ ვინ არიან "ისინი"?

თუ გავიხსენებთ ტოტალიტარულ სახელმწიფოებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომამდე დომინირებდნენ ევროპაში, მკვიდად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი იმავე ფორმით დაბრუნება განსხვავებულ ისტორიულ ვითარებაში რთული წარმოსადგენია. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუსოლისის ფაშიზმი ქარიზმატიული ლიდერის იდეას, კორპორატივიზმს, „რომის ფატალური ბედის“ უტოპიას, ახალი მნიშვნის დაპყრობის იმპერიალისტურ სურვილს, გააფთრებულ ნაციონალიზმს, მთელი ომის მავ პერანგებში გამოწყობის იდეას, საპარლამენტო დემოკრატიის უარყოფას და ანტიემპიტიზმს ეფუძნებოდა, მაშინ არ გამიჭირდება თქმა, რომ ეროვნული აღიანის, რომელიც იტალიური სოციალური მოძრაობის პირმშობა, ნამდვილად მემარჯვენე პარტიაა, მაგრამ ცოტა რამ აქვს საერთო ძველ ფაშიზმთან. და მიუხედავად იმისა, რომ შეუხებელი ვარ ევროპაში, რუსეთის ნაწილში, აქა-იქ გაავტრებული პრონაციისტური მოძრაობით, იმავე მიზეზის გამო ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, ნაციზმი, როგორც იდეოლოგია, თავისი პირველადი ფორმით მოგვევლინოს და მთლიანად მოიცვას რომელიმე ერი.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური რეჟიმები შეიძლება დაემხოს, ოდესღაცეები კრიტიკის ქარცეცხლში მოექცეს და არალეგიტიმურად გამოცხადდეს, რეჟიმისა და იდეოლოგიის მიღმა ყოველთვის არის ფიქრისა და გრძნობის გარკვეული ფორმა, კულტურული ჩვევები, ბუნდოვანი ინსტინქტებისა და გაუაზრებელი იმპულსების ბურუსი. მამასადამე, შესაძლებელია, რაღაც სხვა არადიდი დასტრიალებდეს ევროპას (მსოფლიოს სხვა ნაწილებზე რომ არაფერი ვთქვათ)?

იონესკომ ერთხელ თქვა: "მხოლოდ სიტყვებს აქვს მნიშვნელობა და სხვა დანარჩენი ყნებობა". ენობრივი ჩვევები ხშირად გამოუხატავი განცდების მნიშვნელოვანი სიმპტომებია.

ამიტომ, ნება მომეცით ვიკითხო, რატომ შეფასდა მსოფლიოში არა მხოლოდ იტალიური წინააღმდეგობის მოძრაობა, არამედ მთლიანად - მეორე მსოფლიო ომი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლად? თუ ჰემინგუეის რომანს "ვის უხმობს ზარი" გადავიკითხოთ, აღმოვაჩინოთ, რომ რობერტ ჯორდანი თავის მტრებს ფაშიზმთან აიგივებს, მაშინაც კი, როცა ეს მტრები ესპანელი ფალანგისტები არიან.

ნება მომეცით, სიტყვა ფრანკლინ დელანო რუზველტს დაუთმო: "ამერიკელი ხალხისა და მათი მოკავშირეების გამარჯვება იქნება გამარჯვება ფაშიზმზე და დესპოტიზმის იმ ჩიხზე, რომელსაც ფაშიზმი წარმოადგენს". (23 სექტემბერი, 1944).

მაკარტის დროს ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე ამერიკელებს "უშიფარ ანტიფაშიზმის ტესტ" უწოდებდნენ, რადგან მაჩანდათ, რომ ორმოციან წლებში ჰიტლერზე იერიშის მიტანა ყოველი ნესიერი ამერიკელის მორალური ვალდებულება იყო, ხოლო ოცდაათიან წლებში ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლა - საჭირო და ნაადრევი. რატომ ეახხდნენ ამერიკელი რადიკალები "ფაშისტ ლობებს" იმ პერიოდისთვისაც კი, რომლებსაც უბრა-



ლოდ მათი მოსანევი არ მოსწონდათ? რატომ არ ამბობდნენ „ლორი კავალარი“, „ლორი ფალანგისტი“, „ლორი უსტამი“, „ლორი კვისლინგი“, „ლორი ანტე პაველიჩი“ ან „ლორი ნაცისტი“?

**Mein Kampf** („ჩემი ბრძოლა“) სრული პოლიტიკური პროგრამის მანიფესტია. ნაციაში რასისტული და არიულობის თეორია, *entartete Kunst*-ის „დეგენერაციული ხელოვნების“ მკაფიო ცნება, „გადაგვარებული ხელოვნება“, ძალაუფლების ნების ფილოსოფია და ზეკაცის კულტი ახასიათებდა. ნაციაში ამკარად ანტიქრისტიანული და ნეონარმართული მოვლენა იყო ისევე, როგორც სტალინის დიალექტიკური მატერიალიზმი (საბჭოთა მარქსიზმის ოფიციალური ვერსია) იყო მატერიალისტური და ათეისტური. თუ ტოტალიტარულად ითვლება რეჟიმი, რომელიც ყოველ ინდივიდუალურ ქმედებას სახელმწიფოს და მის იდეოლოგიას უმორ-

ჩილებს, მაშინ ნაციაშიც და სტალინიზმშიც ტოტალიტარული რეჟიმები იყო.

ფაშიზმი ჩამოყალიბებული დიქტატურა იყო, თუმცა არ იყო ბოლომდე ტოტალიტარული: არა იმდენად ლოიალურობის, რამდენადაც იდეოლოგიის ფილოსოფიური სისუსტის გამო. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, იტალიურ ფაშიზმს არ ჰქონდა საკუთარი ფილოსოფია. ტრეკანის ენციკლოპედიაში მუსოლინის ავტორობით შესული სტატია ფაშიზმის შესახებ ჯოვანი ჯენტილეს დანერჩილი თუ არა, მისი ფილოსოფიით მაინც იყო შთაგონებული და „ეთიკური და აბსოლუტური სახელმწიფოს“ ჰეგელისეულ იდეას ეხმარებოდა, რომელიც მუსოლინიმ ბოლომდე ვერაფრით ვერ განახორციელა. მუსოლინის არავითარი ფილოსოფია არ ჰქონია, მას მხოლოდ რიტორიკა ჰქონდა. დაიწყო, როგორც აქტიურმა ათეისტმა, შემდეგ კი





კონკრეტულად მონარქი ხელი და იმ ეპისკოპოსებს მფარველობდა, რომლებიც ფაშისტურ დროშებს აკურთხებდნენ. საკმაოდ სარწმუნო წყაროების თანახმად, თავის ადრეულ, ანტიკლერიკალურ წარსულში მუსოლინის ღმერთისთვის მიუმართავს, ელვით განმეორებ, რათა შენს არსებობაში დამარწმუნოო. როგორც ჩანს, ღმერთს იმ მომენტში არ ეცალა. მომდევნო წლებში კი მუსოლინი ყოველ გამოსვლაში ახსენებდა ღმერთს და წინააღმდეგი არ იყო, როცა მას „ხეივანი მოვლენის“ უნდობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ იტალიური ფაშიზმი პირველი მემარჯვენე დიქტატორა იყო, რომელმაც ერთი ევროპული ქვეყანა მთლიანად მიიქცვა და რომ შემდგომში ყველა ანალოგიურ მოძრაობას გარკვეული საერთო არქეტიპი ჰქონდა მუსოლინის რეჟიმის სახით. იტალიურმა ფაშიზმმა პირველმა შექმნა სამხედრო ლიტურჯია, ფოლკლორი და ჩაბმის სტილიც კი, რომელიც საზღვარგარეთ იმაზე პოპულარული იყო, ვიდრე არმანი, ბენეტო-და ვერსაჩე ყოფილა ოდესმე“. ფაშისტური მოძრაობა ინვალისში (მოსლის მონანილოვობით), ლიტვიაში, ესტონეთში, ლატვიაში, პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში, იუგოსლავიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ნორვეგიასა და საბრეთ ამერიკაშიც, მხოლოდ ოცდაათიან წლებში გამოჩნდა, გერმანიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სწორედ იტალიურმა ფაშიზმმა დაარწმუნა ბევრი ლიბერალი ევროპელი დიდერი, რომ ეს ახალი რეჟიმი განახორცილებდა საინტერესო სოციალურ რეფორმებს, რათა ზომიერი რევოლუციური ალტერნატივა შეექმნა კომუნისტური საფრთხისათვის.

და მაინც, ისტორიული უპირატესობა არ მიმაჩნია საკმარის მიზეზად იმისათვის, რომ აეხსნა, თუ რატომ გახდა ისტყა „ფაშიზმი“ სინეკდოქე, *pars pro toto* (წაწლი, რომელიც წარმოადგენს მთელს) სხვადასხვა ტოტალიტარული მოძრაობებისათვის. „ფუჭია იმაზე ლაპარაკი, რომ ფაშიზმი შემდგომი ტოტალიტარიზმების ყველა ელემენტს შეიცავდა, ერთგვარად „კვინტესენციურად“. ფაშიზმს არც არანაირი კვინტესენცია გააჩნდა და არც რომელიმე სხვა არს“. ფაშიზმი *fuzzy* ტოტალიტარიზმი, სხვადასხვა პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეების კოლაჟი, წინააღმდეგობათა ბუდე უფრო იყო, ვიდრე მონოლოგიური იდეოლოგია. განა შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ ტოტალიტარული მოძრაობა, რომელიც თანაარსებობს მონარქია და რევოლუცია, სამეფო გვარდია და მუსოლინის პირადი მილიცია, ეკლესიისთვის ნაბოძები პრივილეგიები და ძალადობის მქადაგებელი სახელმწიფო პროპაგანდა, აბსოლუტური სახელმწიფო კონტროლი და თავისუფალი ბაზარი? ფაშისტური პარტია ჩასახვიდანვე ახალ რევოლუციურ წყობას ქადაგებდა, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მეტად კონსერვატიულად განწყობილი, კონტრრევოლუციის მოლოდინში მყოფი მიწის მესაკუთრეების მიერ ფინანსდებოდა. დასაწყისში ფაშიზმი რესპუბლიკური იყო, 20 წლის მანძილზე სამეფო ოჯახისადმი ლოიალურობით გაქონდა თავი და დუქს „მეფესთან“ ხელკავით სიარულის უფლებას აძლევდა, რომელსაც „იმპერატო-

რის“ ტიტულიც უ შესთავაზა. მაგრამ 1943 წელს, როცა მეფემ მუსოლინი დაითხოვა, ორიოდე თვეში პარტია კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე გერმანელეების დახმარებით, „სოციალური“ რესპუბლიკის დროშითა და ლამის იაკობინური აქცენტებით ვადახალისებულ-გამდიდრებული ძველი რევოლუციური პარტიტურით.

არსებობდა მხოლოდ ერთი ნაციტური არქიტექტურა და მხოლოდ ერთი ნაციტური ხელოვნება. ნაციზმის არქიტექტორი ალტერტ შპეერი თუ იქნებოდა, ვან დერ როსეთის ადგილი აღარ ჩებოდა. ისევე როგორც სკანდინავიის დროს – სიმარაღე ლამარკის მხარეს რომ ყოფილიყო, დარეინისთვის აღარ დარჩებოდა ადგილი. ცხადია, იყვნენ ფაშისტი არქიტექტორები, მაგრამ მათი ფსევდო-კოლიზურების გვერდით გროპიუსის მოდერნისტული რაციონალიზმით შთაგონებული, ახალი შენობებიც შენდებოდა.

ფაშიზმს უდანოვი არ ჰყოლია. იტალიაში ორი მნიშვნელოვანი პრემია არსებობდა ხელოვნების დარგში: კრემონას პრემიას გაუნათლებელი და ფანატიკოსი ფარინაჩი აკონტროლებდა, რომელიც პროპაგანდისტულ ხელოვნებას უჭერდა მხარს (მახსოვს ნახატები სათაურით „დუქეს გამოსვლის მოსმენისას“ ან „ფაშიზმის მიერ შთაგონებული გონებრივი მდგომარეობა“), ბერგამოს პრემიას კი განათლებული და ზომიერად ტოლერანტი ფაშისტი ბოტიკა აფინანსებდა. ის იზიარებდა იდეას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და ემხრობოდა ავანგარდული ხელოვნების ახალ ცდებს, რომლებიც გერმანიაში უხამსად და ფარულად პროკომუნისტურად ითვლებოდა, რადგან მასკულუტურის ერთადერთ მისაღებ ფორმას, ნიბელუნგურ კიტჩს ეწინააღმდეგებოდა.

როგორღე პოეტი და ანუნიციო იყო. დენდი, რომელსაც გერმანიაში ან რუსეთში დამსჯელი რაზმის წინამძღოლად დააყენებდნენ. რეჟიმმა და ანუნიციო ნაციონალიზმისა და გმირის კულტის აღზევების (ფრანგული დეკადანსის მნიშვნელოვანი დოქტა) გამო ერის მეოსნად შერაცხა.

რაც შეეხება ფუტურიზმს, ნესით, იგი „დეგენერაციული ხელოვნების“ მაგალითად უნდა განვიხილოთ ისევე, როგორც ექსპრესიონიზმი, კუბიზმი და სურერალიზმი. მაგრამ პირველი იტალიელი ფუტურისტები ნაციონალისტები იყვნენ, რომლებიც ესთეტიკური პოზიციიდან გამომდინარე უჭერდნენ მხარს იტალიის მონარქიასთან პირველ მსოფლო ომში, განადიდებდნენ სისწრაფეს, ძალადობას, რისკს და თითქმის ეს ასებტებზე გარკვეულწილად ახლოს იყო ახლავარდობის ფაშისტურ კულტთან. როდესაც ფაშიზმმა სწორება რომის იმპერიასა და ხალხურ ტრადიციებზე აიღო, მარინეტი (რომელიც ამტკიცებდა, რომ ავტომობილი სამოთარაკიულ ნიკეზე მშენიარია და მთავრის ნათელი საკლის სურვილითაც კი იყო შეპყრობილი) იტალიის აკადემიის წევრი გახდა, რომელიც მთავრის შუქს საკმაოდ დიდ პატივს სცემდა.

ბევრი მომავალი პარტიზანი და კომუნისტური პარტიის არაერთი მომავალი ინტელექტუალი აღზარდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ფაშისტურმა



ასოციაციამ, რომელიც ახალი ფაშისტური კულტურის აკენი უნდა გამხდარიყო. ეს ჯგუფები ერთგვარ ინტელექტუალურ სამჭედლოდ იქცა, რომელშიც ახალი იდეები ყოველგვარი იდეოლოგიური კონტროლის გარეშე ტრიალებდა, არა პარტიის წევრების ტოლერანტობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ცოტას ჰქონდა კონტროლისთვის საჭირო ინტელექტუალური შესაძლებლობები.

იმ ოცი წლის განმავლობაში ჰერმეტიკოსთა პოეზია იყო რეაქცია რეჟიმის პომპეზურ სტილზე: ამ პოეტებს ნება დართეს, საკუთარი ლიტერატურული პროტესტი ნაჭუჭში გამოკეტოლებს შეექმნათ. ჰერმეტიკოსთა მსოფლმხედველობა სრულიად უწინააღმდეგებოდა ოპტიმიზმისა და გმრობის ფაშისტურ კულტს. რეჟიმი შეწყნარებულურად იყო განწყობილი ამ სოციალურად შეუმჩნეველი, თუმცა აშკარა ნინააღმდეგობისადმი, რადგან მნიშვნელოვნად არ თვლიდა ამ ბუნდოვან ენას.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იტალიურ ფაშიზმს ტოლერანტულობა ახასიათებდა. გრამში სიკვდილამდე ციხეში გამოაწყვდიეს, მატეოტი და ძმები როსელინი დახიციეს, პრესის თავისუფლება აღკვეთეს, პროფკავშირები დაშალეს, პოლიტიკური დისიდენტები შორეულ კუნძულებზე გადაასახლეს, საკანონმდებლო ხელისუფლება წმინდა ფიქციად იქცა, ხოლო აღმასრულებელი (რომელიც სასამართლოსაც აკონტროლებდა და მასმედიასაც) ახალ კანონებს ქმნიდა, რომელთა შორის რასის სინამდის დაცვის კანონიც იყო (პოლოკოსტის ფორმალური მხარდაჭერა).

ჩემ მიერ აღწერილი ეს არალოგიკური სურათი არა ტოლერანტულობის, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური მოხვდრეულობის შედეგია. მაგრამ ეს "მონესრიგებელი მონჯღრეულობა" და ორგანიზებული არეულობა. ფაშიზმი ფილოსოფიურად არა პოლიტიკური, მაგრამ ემოციური თვალსაზრისით მყარად ორიენტირებული იყო რამდენიმე არქეტიპზე.

ჩემი ნაშრომის მეორე ნაწილზე გადავიდეთ. ნაციზმი ერთადერთი იყო და არ შეიძლება ფრანკოს ჰიქტიკატორალკურ ფალანგისმს "ნაციზმი" ვუნოდეთ, რადგანაც ნაციზმი ან არსებითად ნარმართული, პოლიტიკური და ანტიქრისტიანულია, ან არ არის ნაციზმი. ფაშიზმით კი შეიძლება მრავალწინად ითამაშო, თამაშის სახელი კი არ შეიცვლება. "ფაშიზმის" ცნებას იგივე ახასიათებს, რაც, ვიტგენშტაინის აზრით, "თამაშის" ცნებას. თამაში შეიძლება იყოს ან არ იყოს შეჯიბრი, შეიძლება ერთში ან მეტმა ადამიანმა ითამაშოს, შეიძლება რამე განსაკუთრებულ უნარს მოითხოვდეს ან არა, შეიძლება ფულზე ვითამაშოთ ან არა. თამაშები სხვადასხვა სახის მოქმედებათა რიგია, რომლებსაც მხოლოდ ერთი შორეული "ოჯახური მსგავსება" ახასიათებთ.

1	2	3	4
abc	bcd	cde	def

დავუშვათ, არსებობს პოლიტიკურ ჯგუფთა რიგი. პირველ ჯგუფს ახასიათებს abc თვისებები,

მეორე ჯგუფს - bcd და ა.შ. მეორე ჰგავს პირველს, რადგან ორი საერთო თვისება აქვთ. მესამე ჰგავს მეორეს და მეოთხე ჰგავს მესამეს იმავე მიზეზით. თან მესამე პირველსაც ჰგავს (საერთო C თვისება აქვთ). ყველაზე საინტერესო შემთხვევა მეოთხეა, რომელიც აშკარად ჰგავს მესამეს და მეორეს, მგრამ არაფერი აქვს საერთო პირველთან. და მაინც, პირველსა და მეოთხეს შორის მსგავსებების უწყვეტი კლებადი რიგიდან გამომდინარე, მეოთხესა და პირველს შორის გარკვეული მოჩვენებითი გარდაბანულობის შედეგად მეოთხესა და პირველის ნათესაობა შენარჩუნებულია.

ტერმინი "ფაშიზმი" ყველაფერს ერგება, იმიტომ, რომ ფაშისტურ რეჟიმს ერთი ან მეტი ასპექტი რომ ჩამოართვა, ის მაინც ფაშისტური იქნება. მოაშორეთ ფაშიზმს იმპერიალიზმი და ფრანკოს ან სალაზარს მიიღებთ. ჩამოაშორეთ კოლონიალიზმიც და ბალკანურ ფაშიზმს მიიღებთ. დამატებით იტალიური ფაშიზმის რადიკალური ანტიკაპიტალიზმი (რომელიც მუსოლინის არასოდეს ხიბლავდა) და უზრა პაუნდს მიიღებთ. დაუმატეთ კელტური მითოლოგიის კულტი და გრანალის მისტრიზმი (სრულად უცხო ოფიციალური ფაშიზმისთვის) და ფაშიზმის ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ გურუს, იულიუს ევოლას მიიღებთ.

ამ არეულობის მიუხედავად, ვთვლი, რომ შესაძლებელია იმის დამახასიათებელი ნიშანთა ჩამოთვლა, რასაც "ურ-ფაშიზმი" ან "მარადიული ფაშიზმი" უნდა ვუნდეთ. ამ ნიშნების ერთიანი სისტემის ფარგლებში მოქცევა არ შეიძლება; ბევრი მათგანი ურთიერთსაინხადაღმდეგა და დესპოტიზმისა და ფანატიზმის სხვა ფორმებისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ერთ-ერთი მათგანის არსებობაც საკმარისია ფაშისტური ხელის კონდენსირებისათვის.

1. ურ-ფაშიზმის პირველი დამახასიათებელი ნიშანი ტრადიციის კულტია. ტრადიციონალიზმი ფაშიზმზე ძველია. ის მხოლოდ საფრანკეთის რევოლუციის შემდგომ აღმოცენებულ კონტრარევიციურ კათოლიკურ იდეოლოგიას როდი ახასიათებდა: იგი ჯერ კიდევ გვიან ელინისტურ ხანაში გაჩნდა, როგორც რეაქცია ბერძნულ კლასიკურ რაციონალიზმზე.

ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვადასხვა რელიგიის ხალხებმა (რომლებიც თანაბარი შემწყნარებლობით დაიშვებოდნენ რომის პანთეონში) კაცობრიობის განითავებულ მიღებულ გამოცხადებაზე დამწყეს ოცნება. ეს გამოცხადება დიდხანს იყო დაინაწილ დღესათვის დავიწყებული ნების საფარქვეშ. ის გეგმატურ იეროგლიფებში, კელტურ რუნებში, აზოური რელიგიების ჯერ კიდევ უცნობ ნიშნად ტექსტებში ინახებოდა.

ეს ახალი კულტურა სინკრეტული უნდა ყოფილიყო. "სინკრეტიზმი" არა მხოლოდ რწმენათა და პრაქტიკათა განსხვავებული ფორმების კომბინაცია, როგორც ლექსიკონები განმარტავს. ასეთი კომბინაცია შემწყნარებელი უნდა იყოს ნინააღმდეგობების მიმართ. ყოველი ორიგინალური გზავნილი სიბრძნის მარცვალს შეიცავს და თუ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულად და ურთიერთ-

შეუთავსებლად გვეჩვენება, მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეული მათგანი აღეგორიულად მიანიშნებს რაღაც საწყის ქვემარტივებაზე.

ამის შედეგად კი ცოდნის განვითარება არ ხდება. ქვემარტივება ერთხელ და სამუდამოდ უკვე გაცხადდა და არაფერი დაგვრჩენია, გარდა მისი უზნდლონი გაზავილის ინტერპრეტებისა. მთავარი ტრადიციონალისტი მოაზროვნების გამოსავლენად ფაშისტური მოძრაობის სიების გადახედვაც საკმარისია. ნაციისტური გნოზის ტრადიციონალისტიური, სინკრეტული და ოკულტური ელემენტები საზნდობდა. ახალი იტალიელი მემარჯვენების ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული წყარო, იულიუს ევოლა, გრალს სიონის მტკბინა ოქმიებით და აღქმისას - რომის წმინდა იმპერიით აზავებდა. თავად ის ფაქტი, რომ საკუთარი გონებრივი გახსნილობის დემონსტრირებისთვის იტალიელ მემარჯვენეთა ნაწილმა საკუთარი სიები დემეტრის, გენოზისა და გრამოსის დამატებით განაგრყო, სინკრეტიზმის ნათელი მაგალითია.

ამერიკაში წიგნის მაღაზიების იმ თაროებით თუ დაინტერესდებით, რომლებსაც აწერია **New Age**, წმინდა ავეუსტინესაც აღმოაჩენთ, რომელიც, რამდენადაც ვიცი, ფაშისტი არ ყოფილა. მაგრამ წმინდა ავეუსტინესა და სთოუნპენჯის ერთად დადნ - სწორედ ესაა ურ-ფაშიზმის სიმპტომი.

2. ტრადიციონალიზმი მოდერნიზმის უარყოფას გულისხმობს. გინდ ფაშისტები და გინდ ნაციისტები ამერთებდნ ტექნოლოგიებს, ხოლო ტრადიციონალისტი მოაზროვნები, როგორც ნენს, გმობენ მათ, როგორც ტრადიციული სულიერი ღირებულებების უარყოფას. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ნაციზმი ამაყოფა საკუთარი სამრწენელი წარმატებით, ეს მხოლოდ "სისხლსა" და "მიწაზე" (**Blut und Boden**) დაფუძნებული იდეოლოგიის ზედაპირული ნიშანი იყო. თანამედროვე საზოგადოების უარყოფა ცხოვრების კაპიტალისტური სტილის კრიტიკით იყო შენობული, მაგრამ ძირითადად ეხებოდა 1789 (და, რა თქმა უნდა, 1776) წლის სულისკვეთების უარყოფას. განმანათლებლობა, გონის ხანა, განხილვობა, როგორც თანამედროვე ხრწნის დასაწყისი. აქედან გამომდინარე, ურ-ფაშიზმი შეიძლება განიმარტოს, როგორც "ირაციონალიზმი".

3. ირაციონალიზმი მჭიდროდა დაკავშირებული კულტურა და მოქმედება მოქმედებისთვის. მოქმედება თავისთავადაა მშენიერი და, მაშასადამე, ყოველგვარ განსჯამდე და მის გარეშე უნდა მოხდეს. აზროვნება კასტრაციის ერთგვარი ფორმაა. ამიტომ ოკულტურას ეჭვის თვლით უყურებენ იმდენად, რამდენადაც ის კრიტიკულ ხედვასთან არის გაიგივებული. ამაზე მეტყველებს გებელსის ცნობილი გამოთქმაც, "როცა კულტურაზე ლაპარაკობენ, რევოლუერს ვიმარჯვენებ" და ისეთი ეპითეტების ხშირი გამოყენებაც, როგორებიცაა, "ლორინტელექტუალები", "რადიკალი სნობები", "უნივერსიტეტების კომუნისტების ზუდა". ინტელექტუალური სამყაროს ეჭვის თვლით ყურება ყოველთვის ურ-ფაშიზმის სიმპტომია. ფაშისტური ოფიციალის წარმომადგენელი ინტელექტუალე-

ბის ძირითადი საქმიანობა ის იყო, რომ თანამედროვე კულტურასა და ლიბერალ ინტელიგენციას ტრადიციული ღირებულებების დაიწყებაში ადანაშაულებდნენ.

4. სინკრეტიზმის არავითარ ფორმას არ შეუძლია კრიტიკის მიღება. კრიტიკული სული განსხვავებულობას ეფუძნება, განსხვავებულობა კი თანამედროვეობის ნიშანია. თანამედროვე კულტურაში სამეცნიერო საზოგადოება არდათანხმებებს ცოდნის გაღრმავების ინსტრუმენტად მიიჩნევს. ურ-ფაშიზმისათვის არდათანხმება ლალატს წმინავეს.

5. არდათანხმება, გარდა ამისა, განსხვავებულობის ნიშანია. ურ-ფაშიზმი იზრდება და მოხერხების მოკვებას ცდილობს განსხვავებულობის რეუბრივი შიშის გამოყენებით და გამხვავებით. ფაშიზმის ან ადრეული ფაშიზმის პირველი წინოდება "უცხოების" წინააღმდეგ არის მიმართული. ამგვარად, ურ-ფაშიზმი საფუძველშივე რასისტულია.

6. ურ-ფაშიზმის სათავე ინდივიდუალური და სოციალური ფრუსტრაციაა, რაც ხსნის, თუ რატომ იყო ისტორიული ფაშიზმის ერთ-ერთი ტიპური ნიშანი ეკონომიკური კრიზისით შეჭირვებულ თუ პოლიტიკურად შევინრობულ, ქვედა სოციალური ჯგუფების მხრიდან შესაძლო მოტივით შემინებულ, ფრუსტრირებულ საშუალო სოციალურ კლასებზე აპელურება. ჩვენს დროში, როდესაც ძველი "პროლეტარები" მცირე ბურჟუაზიად იქცნენ (და ლუმენპროლეტარიატი პოლიტიკური სცენიდან გადის), ეს ახალი უმრავლესობა გახდება ფაშიზმის აუდიტორია.

7. ვისაც არავითარი სოციალური იდენტობა არ გააჩნია, ფაშიზმი ეუბნება, რომ მათი ერთადერთი და სხვა პრივილეგიებზე მეტად გერაცულეული პრივილეგია ის ფაქტია, რომ საკუთარ ქვეყანაში არიან დაბადებულები. ეს ნაციონალიზმის სათავეა. თან ერთადერთი, რამაც შეიძლება, ეს საკუთარი იდენტობის აღქმა გაუძლიეროს, მტერია. ასე რომ, შეთქმულების და თან, შეძლებისდაგვარად, საერთაშორისო შეთქმულების აკავატება ურ-ფაშიზმის ფსიქოლოგიის საფუძველშივე დევს. მიმდევრებმა თავი ალყაში უნდა იგრძნონ. შეთქმულებაზე ყურადღების გამახვილების საუკეთესო ხერხი ქსენოფობიაზე აპელურებაა. თემცა შეთქმულება შეიგრძენადაც უნდა მოდიოდეს: ებრაელები, ჩვეულებრივ, ამის საუკეთესო ობიექტია იმდენად, რამდენადაც ერთდროულად არიან გართავც და შიგნითაც. ამერიკაში შეთქმულების მართის საუკეთესო მაგალითი მეტ რობერტსის წიგნია - **The New World Order**. ახალი მსოფლიო წესრიგი.

8. იდეოლოგიის მიმდევრებმა მტრის აურაცხელი სიმდიდრითა და ძალაუფლებით თავი დამცირებულად უნდა იგრძნონ. მტრის უტიფრად გამოშურებულ სიმდიდრითა და ძალაუფლებით დამცირებულად უნდა იგრძნონ თავი. ბავშვობაში შეუზნებლობდნენ, რომ ინგლისელები დაეშო ხუთჯერ ჭამდნენ. ანუ ღარიბ და მოკრძალებულ იტლიელებზე ხშირად. ებრაელები მდიდრებიც არიან ერთმანეთსაც ეხმარებიან ურთიერთთანადგომის



საიდუმლო ქსელის მეშვეობით. მაგრამ მიმდევრები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მტრის დამარცხება მაინც ძალუბი. აი ასე - რიტორიკული რევისტორის გამოუმუშავებელი ცვლის წყალობით, მტერი, ერთდროულად, ძალიან ძლიერიცაა და ძალიან სუსტიც. ასე რომ, ნებისმიერი ფაშიზმი განწირულია ომის ნაგებისთვის, რადგან ფიზიკურად არ შეუძლია, ობიექტურად შეადგინოს მტრის ძალა.

9. ურ-ფაშიზმისათვის არსებობს არა ბრძოლა სიცოცხლისათვის, არამედ "სიცოცხლე ბრძოლისათვის". აქედან გამომდინარე პაციფიზმი მტერთან გარიგებას ნიშნავს. პაციფიზმი ცუდია იმიტომ, რომ სიცოცხლე გამოუმუშავი ომია. მაგრამ ეს არმაგედონის კომპლექსის ინვეს: რადგანაც მტერი უნდა დამარცხდეს (და იგი დამარცხდება), დგება საბოლოო ბრძოლის აუცილებლობა, რომლის შედეგადაც ეს მოძრაობა გაბატონდება სამყაროში. ასეთი ფინალი მომდევნო მშვიდობის ხანას გულისხმობს, ოქროს ხანას, რომელიც გამოუმუშავებული ომის პრინციპს ეწინააღმდეგება. ჯერჯერობით ამ წინააღმდეგობის გადალახვა ვერცერთმა ფაშიზმმა ლიდერმა ვერ მოახერხა.

10. ელიტიზმი, რადგან ის არსებითად არისტოკრატიულია, ყველა რეაქციული იდეოლოგიის ტიპური ნიშანია. ისტორიულად ყველა არისტოკრატიული და სამხედრო ელიტიზმი სუსტების სიძულვილს შეიცავდა. ურ-ფაშიზმს არ შეუძლია, "ხალხური ელიტიზმი" არ იქადაგოს. მისთვის ყოველი მოქალაქე მსოფლიოში საუკეთესო ხალხს, ხოლო პარტიის წევრები - საუკეთესო მოქალაქეთა რიგს ეკუთვნიან. ყოველ მოქალაქეს შეუძლია (ან ვალდებულია) გახდეს პარტიის წევრი. მაგრამ დიდგვაროვანი ხომ ვერ იარსებებს მდიდრის გარეშე. ლიდერმა, რომელმაც იცის, რომ მისი ძალა უფლებია არა მანდატით, არამედ ძალით არის მოპოვებული, ისიც უწყის, რომ მისი ძალა მასების სისუსტეს ეყრდნობა. ეს მასა იმდენად სუსტია, რომ სჭირდება და იძულებულია, "მბრძანებელი" დაიმსაუროს. ამიტომ, როდესაც ჯგუფი იერარქიულად ორგანიზებული ხდება (სამხედრო მოდელის მიხედვით), თითოეულ ლიდერს, რომელმაც შემდგომში უყავს, საკუთარი ქვეშევრდომები სძულს. თავის მხრივ, ამ ქვეშევრდომებსაც სძულთ მათ ქვევით მდგომნი და ასე. ყოველივე ეს მასებში ელიტიზმის გამძობას აღვივებს.

11. ამ თვალსაზრისით, თითოეული უნდა აღიზარდოს მომავალ გმირად. ნებისმიერ მითოლოგიაში გმირი განსაკუთრებული არსებაა, მაგრამ ურ-ფაშიზმის იდეოლოგიაში გმირობა ნორმაა. გმირობის კულტი მჭიდრო კავშირშია სიკვდილის კულტთან. შემთხვევით კი არ იყო ფანაზისტების დევიზი: *Viva la muerte!*. რიგით ადამიანებს უბნებია, რომ სიკვდილი საშუალო ფაქტია, მაგრამ ადამიანი მას ღირსებით უნდა შეხედოს. მორწმუნეებს კი ასწავლიან, რომ ის ზებუნებრივი ბედნიერების მიღწევის მტკიცეული ხერხია. ურ-ფაშიზმი გმირი კი მიიღებს სიკვდილისკენ, რომელსაც მას გმირული სიცოცხლის საუკეთესო კომპენსაციადა სთავაზობენ. ურ-ფაშიზტი გმირს ერთი სული აქვს, მოკვდეს და აღსანიშნა-

ვია, რომ ამ მოუთმენლობის გადასაჭრელ ხშირად სხვებს ხოცავს.

12. გამომდინარე იქიდან, რომ მარადიული ომიც და გმირობაც რთული თამაშია, ურ-ფაშიზმს ძალა უფროდის სურვილი სექსუალურ საკითხებზე გადასვლა. ეს მართობის კულტის სადავე ხდება (რომელიც გულისხმობს ქალების არად ჩადგებას და ყველა არაკონფორმისტული სექსუალური ჩვევის შეუბრალებლად დევნას - უმნიკესობიდან ჰომოსექსუალობამდე). ვინაიდან სექსი რთული თამაშია, ურ-ფაშიზტი იწყებს თამაშს იარაღით, რაც მისი უფროსი ერზაცია, სუროვაცი. მისი ომობა ხომ გამოუმუშავი *ენის-შურის* შედეგია.

13. ურ-ფაშიზმის საყრდენი "თვისობრივი პოპულიზმი". დემოკრატიულ წყობაში მოქალაქეები ინდივიდუალური უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ მოქალაქეთა ერთობლიობას პოლიტიკური ბიძგის ძალა მხოლოდ რადიკალიზირებული მონაცემის საფუძველზე აქვს (ყურადსაღებია მხოლოდ უმრავლესობის გადაწყვეტილებები). ურ-ფაშიზმისთვის ინდივიდებს უფლებები არ აქვთ და "ხალხი" განიხილება, როგორც მონოლითური ორგანიზმი, რომელიც "საერთო ნებას" გამოხატავს. რადგანც ადამიანების არანაირ რაოდენობას არ შეიძლება გააჩნდეს საერთო ნება, ლიდერს მათი ნების გამოხატვის პრეტენზია აქვს. ვინაიდან მოქალაქეები კარგავენ უფლებამოსილებას, აღარ მოქმედებენ და მხოლოდ *pars pro toto* ასრულებენ ხალხის როლს. და ხალხი თეატრალურ ფიქციად იქცევა. თვისობრივი პოპულიზმის თვალსაზრისით ვენეციის მოედანი და ნიურნბერგის სტადიონი აღარ გვეჩრდება. ჩვენს მომავალში სატელევიზიო და ინტერნეტის თვისობრივი პოპულიზმი იმჩნის, რომელშიც მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის ემოციური რეაქცია შეიძლება "ხალხის ხმად" მიიწოდოს. საკუთარი თვისობრივი პოპულიზმიდან გამომდინარე, ურ-ფაშიზმი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს "გაზრდილ საპარლამენტო მთავრობებს". პარლამენტში მუსოლინის ერთ-ერთი პირველი წინადადება ეს იყო: "ამ ყრუ და ნაცრისფერ დარბაზს ჩემი ჯარისკაცების ყაზარმად გადავაკეთებდი". მერე კი იძუდა უკეთესი თავშესაფარი თავისი ჯარისკაცებისთვის, მაგრამ მოვინაშებით პარლამენტი მაინც დაშალა. ყოველივე ეს, როცა პოლიტიკოსი პარლამენტის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს, აქაოდა, ეს უკანასკნელი ხალხის ხმას აღარ წარმოადგენს, ურ-ფაშიზმის სული დგება.

14. ურ-ფაშიზმი "ნეოენაზე" ლაპარაკობს. ნეოენა ორუფლად შექმნა რომანში "1984", როგორც ინგლისის (ინგლისური სოციალიზმის) ოფიციალური ენა, მაგრამ ურ-ფაშიზმის ელემენტები დიტატორის სხვადასხვა ფორმისთვის საერთოა. ყველა ნაცისტებისთვის თუ ფაშიზტური ტექსტი ღირსი ლექსიკითა და ელემენტარული სინტაქსით გამოირჩეოდა ღრმა და კრიტიკული მსჯელობისთვის საჭირო ინსტრუმენტების შეზღუდვის მიზნით. მაგრამ ნეოენის სხვა ფორმების გამოსაცნობად მზად უნდა ვიყოთ, მაშინაც, როცა ის პოპულარული ტექსტის უმანკო ფორმას ღებულობს.



ვინაიდან ურ-ფაშიზმის შესაძლებელი არქეტიპი უკვე აღვწერე, ნება მიბოძეთ, დასკვნა გავაკეთო. 1943 წლის 27 ივლისის დილას მითხრეს, რომ რადიოთი გადმოცემული ინფორმაციის თანახმად, ფაშიზმი დაეცა და მუსოლინი დააპატიმრეს. დედაჩემმა გაზეთის საყიდლად გამოშვა. უახლოეს ჯიხურთან მივედი. გაზეთები კი იყო, მაგრამ განსხვავებული სათაურებით. როცა სათაურებს თვალი გადავაყვლე და მივხვდი, რომ ყველა გაზეთი სხვადასხვა რამეს ამბობდა, ერთ-ერთი ვიყიდე და პირველ გვერდზე დაბეჭდილი, ხუთი თუ ექვსი პარტიის მიერ ხელმოწერილი ინფორმაცია წავიკითხე. ეს პარტიები იყო: ქრისტიან-დემოკრატიული, კომუნისტური პარტია, სოციალისტური პარტია, მოქმედების პარტია და ლიბერალთა პარტია. იმ წუთამდე მეგონა, რომ ყველა ქვეყანაში მხოლოდ ერთი პარტია, იტალიაში კი მხოლოდ ნაციონალური ფაშისტური პარტია იყო. თურმე ჩემს ქვეყანაში ერთდროულად რამდენიმე პარტია არსებობდა. გარდა ამისა, რადგან საკმაოდ გონიერი ყმანვილი ვიყავი, იმასაც მივხვდი, რომ ეს პარტიები ერთ ლამეში ვერ შეიქმნებოდა და მანამდეც არსებობდნენ, როგორც იაბაქვეშა ორგანიზაციები.

სტატია დიქტატურის დასასრულს და თავისუფლების აღდგენას გვამცნობდა - სიტყვის, პრესისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლების. ღმერთო ჩემო - ცხოვრებაში პირველად ვკითხულობდი სიტყვებს „დიქტატურა“ და „თავისუფლება“. ამ ახალი სიტყვების წყალობით იმ დღეს

ხელმოვრედ დავიბადე. დავიბადე, როგორც დასავლელი თავისუფალი ადამიანი.

ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობა აღარ დაგვავინწყდეს. ურ-ფაშიზმი ჩვენს გარშემოა და ხანდახან სამოქალაქო ფორმაც აცვია. რა თქმა უნდა, ჩვენივეს უფრო ადვილი იქნებოდა, ვინმე რომ დადგებოდეს მსოფლიოს სცენზე და იტყოდეს: „კვლავ მინდა გავხსნა ოსვენციმი და მინდა, რომ შავი პერანგები კვლავ მარშირებდნენ იტალიის მოედნებზე გამართულ აღლუმებზე!“. ცხოვრება ასე მარტივი როდია. ურ-ფაშიზმი უმანკო თუ საფარველით შენიღბული შეიძლება დაბრუნდეს. ჩვენი ვალაია, ნიდაბი ჩამოვხსნათ და მისი ყოველი ახალი ფორმა გამოვაშაქარაოთ - ყოველდღე და მსოფლიოს ყველა ნერტილში. ისევ რუხველტს დავუთმობ სიტყვას: „ამერიკულმა დემოკრატია რომ განვითარება შეწყვიტოს და დღე და ღამე, როგორც ცოცხალმა ძალამ, არ ეცადოს მშვიდობიანი საშუალებებით გააუმჯობესოს ჩვენი მოქალაქეების პირობები, ჩვენს ქვეყანაში ფაშიზმი მოძლიერდება“ (4 ნოემბერი, 1938 წელი). თავისუფლება და გათავისუფლება მუდმივი ვალდებულებაა. „არ დაივიწყო!“ - ეს უნდა იყოს ჩვენი დევიზი.

„გაგებდავ და ვიტყვი, რომ თუ ამერიკული დემოკრატია შეწყვეტს განვითარებას, როგორც ცოცხალი ძალა და დღედაღამ არ ეცდება, მშვიდობიანი მეთოდებით გააუმჯობესოს ჩვენი მოქალაქეების ცხოვრება, ჩვენს ქვეყანაში ფაშიზმი მოძლიერდება“.







მიხეილ ციხელაშვილი

# თანამედროვე ქართველი ავტორები უცხო ენებზე

არგენტინა, ლიტვა, ისლანდია, ახალი ზელანდია - ეს იმ ქვეყნების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც ბოლო წლებში ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, სტუმარი ქვეყნის სტატუსით, საკუთარი კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურა წარადგინეს, ძალიან მალე კი მათ რიცხვში საქართველოც ჩაენერება.

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ფრანკფურტის ბაზრობა ძირითადად მაინც გამომცემელთა და აგენტთა ბაზრობაა და აქ სხვადასხვა ქვეყნიდან უმეტესად იმისთვის ჩამოდიან, რომ უფრო კარგად გაეცნონ იმას, თუ რა ინერება და რა იყიდება ბაზრობიდან ბაზრობამდე, რა სიახლეებია და ვისი სახელები ჩნდება მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, მაგრამ, ფაქტია, რომ თავად ბაზრობაც ახდენს გავლენას ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურაზე და ვინც კარგად იყენებს ფრანკფურტში სტუმრობის შანსს, მსოფლიოში თავის ლიტერატურულ ნიშნულსაც ამყარებს, აღადგენს ან სულაც აჩენს. ეს კი თავისთავად ზრდის ქვეყანაში მოღვაწე ავტორთა ცნობადობასა და წარმატებას. ჩვენც ყველას გვსურს, რომ ქართველი მწერლები უცხოელ მკითხველთა ხელში აღმოჩნდნენ, თუმცა ამისათვის მინიმუმ ერთი მთავარი მოთხოვნა მაინც უნდა იქნას დაკმაყოფილებული - ისინი სხვადასხვა ენებზე უნდა ითარგმნონ.

ამ პროცესის მხარდასაჭერად, 2013 წელს განხორციელებული ორი პროექტია აღსანიშნავი: ერთი მხრივ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სამჯერ უფრო მეტი ბიუჯეტი გამოყო სხვადასხვა ქართული წიგნის უცხოური თარგმანებისთვის (როგორც სამინისტროში ამბობენ, 2014 წელს ბიუჯეტი მილიონ ლარამდე გაიზრდება), მეორე მხრივ კი პროცესი ნახალისა TBC ბანკმაც, რომელმაც ლიტერატურულ პრემიაზე „საბა“ ახალი ნომინაცია დაამატა - „ქართული ნაწარმოების





A MAN WAS GOING  
DOWN THE ROAD



Otar Chiladze



საუკეთესო უცხოური თარგმანი". მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული შედეგი არცთუ ისე სახარბილოა, თუნდაც იმ ფონზე, რომ 300 000-იანი ისლანდია ასობით ნათარგმნი წიგნით წარდგა ფრანკფურტში, მაშინ როცა ჩვენ, ოთხმილიონიანი და უძველესი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანა, ჯერ ამ შედეგის ნახევარსაც არ მივახლოვებულვართ.

რა ითარგმნა და გამოიცა ბოლო წლებში და რამდენი წიგნია საჭირო, რომ ფრანკფურტში სტუმრობა წარმატებული გამოდგეს? ამ კითხვაზე რთულია პასუხის გაცემა, თუმცა ბოლო სამი წლის მონაგარის გადასახედად დიდი დრო ნამდვილად არ დაგვეჭირდება; პირველ რიგში **ლაშა ბუღაძის „ნავიგატორის“** წარმატება უნდა გავგვახსენდეს BBC-ს რადიოპიესების კონკურსში. ტექსტი **მაია ყიასპეილიმა** თარგმნა და მისი წყალობით ქართველმა ავტორმა პირველად მოახერხა კონკურსის მთავარი ჯილდოს მოპოვება.




„ნავიგატორს“ ფეხდაფეხ მიჰყვა **თამთა მელაშვილის „გათვლა“**, რომელიც, საბედნიეროდ, სრულიად ახალი ხილი გამოდგა ევროპისათვის. წიგნმა გარკვეულწილად მოახერხა და ქართული ლიტერატურული ბაზრისადმი ინტერესი ისევ შემოატრიალა. ყველაზე დიდ წარმატებას კი ფრანკფურტის წლებზედღეუბნებზე მიაღწია, სადაც **Abzählen** - როგორც მას გერმანულ თარგმანში ჰქვია - 2013 წლის საუკეთესო ახალგაზრდულ წიგნად დაასახელეს. „გათვლა“ Unionsverlag-მა გა-

მოსცა, **ნათია მიქელაძე-ბახსოლიანის** თარგმანში. სხვათა შორის, ეს ის ქალბატონია, რომელმაც 2006 წელს გამოქვეყნებულია **Pendo**-სთვის გერმანულად **აკა მორჩილაძის „სანატა-ესპერანსა“** თარგმნა და ამ შრომებისათვის „საბას“ ახალი ნომინაციის პირველი გამარჯვებულები სრულიად დასახურებულად გახდა.

„გათვლას“ შემდეგ, 2012 წლიდან ქართული ნაწარმოებების უცხო ენებზე თარგმნა ახალ ტემპს კრეფს; თუკი ანთოლოგიებიდან აქამდე მხოლოდ **მანანა თანდაშვილის** მიერ გერმანულად თარგმნილი **Georgische Gegenwartsliteratur 2011** გვექნა, ჯერ 2012 წლის მისის ამერიკულმა **Dalkey Archive Press**-მა განახორციელა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოცემა (**Contemporary Georgian Fiction 2012**), მოგვიანებით, 2013 წლის თებერვალში კი, ლაიპციგის წიგნის ბაზრობისთვის გერმანულად ქართველ პროზაიკოს ქალთა ანთოლოგიაც **„იაგუარების ტექნი“** ითარგმნა. 2013 წლის მიწურულს მნიშვნელოვანი კრებული შეადგინეს შევედითქი. ქართული მოთხრობების ანთოლოგია **„Goris Fastning“** **Tranan**-მა გამოსცა. მოთხრობები გამოცემელმა **ბაკურ სულაკაურმა** შეარჩია, თარგმანი კი თავის თავზე **თამარ მისისურაძემ** აიღო.

2012 წლის ავგუსტში გერმანიაში გამოიცა და **თო ბარბაქაძის** ერთ დროს გახმაურებული ტექსტი **„ტრფობა ნამებულთა“**. წიგნი შტეფი და არჩილ ხოტივაშვილებმა თარგმნეს.

არაერთ ენაზე ითარგმნა **N1** ქართული ბესტ-





სელერიც - დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“. ნიგინ ჯერ საქართველოშივე გამოიკა ინგლისურ და რუსულ ენებზე „ბაკურ სულავას გამომცემლობის“ მიერ, მოგვიანებით კი თვითმფრინავის ბიჭების საქველმოქმედო, ჰოლანდიასა და ხორვატიასი დასტამბა. სულ ბოლოს კი, 2013 წლის მინურულს, ნიგინ იტალიურმა Palombi Editori-მაც გამოცხად. „ჯინსების თაობის“ გამომცემზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს გერმანულ მხარესთანაც.

2011 წლის პოლონური და რუსული გამომცემების შემდეგ, ზაზა ბურჭულაძის adibas-ს ამჯერად უკვე აშშ-შიც ნაიკითხავენ. გურამ სანიკიძის ნათარგმნ რომანს 2014 წლის იანვარში Dalkey Archive Press გამოსცემს. აღნიშნული გამომცემლობა ზაზა ბურჭულაძესთან ერთად მკითხველს კიდევ სამ ქართველ ავტორს წარუდგენს: ზურაბ ქარუმიძეს - ინგლისურენოვანი რომანით Dagny or a Love Feast, აკა მორჩილაძეს - ნიგინით „მოგზაურობა ყარაბაღში“ და ლაშა ბუღაძეს - „ლიტერატურული ექსპრესიით“. „ლიტერატურული ექსპრესი“ ინგლისურ ენაზე უკვე გამოიცა საქართველოშიც, მაია ყიასაშვილის თარგმანით.

თანამედროვე ავტორებთან ერთად, საზღვრებს გარეთ მე-20 საუკუნის ორი კლასიკოსი ავტორიც გავიდა. ქართველოლოგ დონალდ რეიფილდის მიერ ნათარგმნი ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ჯერ კიდევ 2012 წელს გამოსცა ბრიტანულმა Garnett Press-მა. 2013 წლის ივნისში კი იმავე გამომცემლობაში რეიფილდის მორიგი თარგმანი - ჭილაძის „აველუმი“ - გამოიცა. ამავე თაობის წარმომადგენლებიდან, რამდენიმე კვირის წინ, დეკემბრის დასაწყისში, ჯეშაღ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითის“ ნაკითხვაც გახდა შესაძლებელი - ამჯერად უკვე შეედურ ენაზე.

აღნიშნული ნივნების უმეტესობა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის საშუალებით ითარგმნა. ჯამში 21 თარგმანი დაფინანსდა, რომელთა შორისაც 15 უკვე ნივნადაც გამოიცა. ზაზა ბურჭულაძის „გასაბერი ანგულოზი“ ფრანგულმა გამომცემლობამ L'Age d'Homme-მ დასტამბა, გერმანიაში ანა კორძაია-სამადაშვილის „მე მარგარიტა“ და ბესო ხვედელიძის „ფერფლის გემო“ ითარგმნა, შეედეთის




უდიდესი გამომცემლობა BONNIER-ის შეილობილ-მა 2244-მა კი, რომელიც შვეიცოლენისპირა ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი გამავერცხლებელია სკანდინავიაში, მკითხველს აკა მორჩილაძის „ძველი გულებისა და ხმლისა“ წარუდგინა. ნიგინ თარგმანში Spiegelrikt, ანუ „სარკის სამეფო“ ჰქვია. გამოიცა მავარო ყდამი, სუპერით. ნაბეჭდი ვერსიის გარდა, ნიგინს ელექტრონულ ფორმატში შექმნაც არის შესაძლებელი.

2013 წელი წარმატებული გამოდგა დავით დეფისთისაც, რომლის ორი მოთხრობა („სკამი“ და „იასამნისფერი ლეკვი თეთრ ტილოზე“) და სამი რომანი („ბალები და ეშმაკთა სამკვიდრო“, „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“ და „დღა სასწაულების წინ“) ბრაზილიაში გამომცემლობა Lumme-მ პორტუგალიურად გამოსცა. 2014 წელს ბრაზილიაშივე გამოიცა კიდევ ორი ძალიან კარგი ქართული ნიგინი: ახალგაზრდა ილუსტრატორების სოფო კირთაძისა და ეკა ტაბლიაშვილის მიერ შექმნილი „ზოლეშია“ და „პატარა ობობას საათი“.

2014-ში საზღვარს გადაკვეთს აკა მორჩილაძის კიდევ ერთი რომანი; აზერბაიჯანში მადათოვის ტრილოგიის პირველი ნიგინი „გადაფრენა მადათოზე და უკან“ გამოვა. ასევე ცნობილია, რომ იტალიურად Delvecio-მ 2013 წელს obOle-ს გამოცემის უფლებები შეიძინა, აი, თავად ნიგინი როდის გამოიცემა, ეს მხოლოდ ამ გამომცემლობაში იციან.

სამინისტროს მომავალი წლის პროექტების წარნილიდან უკვე გამოხატა ეროლომ ახვლედიანის ნიგინის „კოლო ქალაქში“ ფრანგული თარგმანი და ზაზა ბურჭულაძის „გასაბერი ანგულოზის“ გერმანული თარგმანი. ტექსტების გამოცემებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს რამდენიმე ევროპულ გამომცემლობასთან.

მოკლედ, როგორც იცყვიან, „ყინული დაძრა“, ან უკვე სამინისტროზე, მწერლებსა და გამომცემლობებზეა ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენს სტუმრობამდე რომ დიდი დრო აღარ დარჩა, ესეც არაა რთული მისახვედრი, ამიტომაც ისლად გავრჩენია თვალის დაგვიწერო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს და იმედი ვიქონიოთ, რომ ეს პროცესი ტემპს გაათამაგებს და ფრანკფურტში ბევრი ახალი თარგმანით გავემგზავრებთ.



**2011**

ანთოლოგია, Georgische Gegenwartsliteratur, გერმანია, მანანა თანდაშვილი, Reichert Verlag, 2011.

ზაზა ბურჭულაძე, adibas, პოლონეთი, მაგდალენა ნოვაკოვსკა, Claroscuro, 2011.

ზაზა ბურჭულაძე, adibas, რუსეთი, გურამ სანიკიძე, Ад Маргинем Пресс, 2011.

გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული პოემები, დიდი ბრიტანეთი, ინესა მერედაშვილი, Nottingham: Critical, Cultural and Communications Press, 2011.

ლაშა ბულაძე, ნავიგატორი, დიდი ბრიტანეთი, მია ყიასაშვილი, ნანარმოები არ გამოცემულა, ითარგმნა მხოლოდ კონკურსისათვის, 2011.

ხალხური, ქართული ზღაპრები, საფრანგეთი, მია ვარსიმაშვილი, Paris: l'Harmattan, 2011.

**2012**

ოთარ ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, დიდი ბრიტანეთი, დონალდ რეიფილდი, Garnett Press, 2012.

ანთოლოგია, Contemporary Georgian Fiction, აშშ, ელიზაბეთ ჰეივეი, Dalkey Archive Press, 2012.

ზურაბ ქიქოძე & გაბა ნახუცრიშვილი, მუუ, საფრანგეთი, ნათია ფარცხალაძე, L'espace d'un instant, 2012.

დათო ტურაშვილი, ჯინსების თაობა, თურქეთი, ფაჰრედინ ჩილოღლუ, EZGI kitabevi, 2012.

თამთა მელაშვილი, გათვლა, გერმანია, ნათია მიქელაძე-ზახსოლიანი, Unionsverlag, 2012.

დათო ბარბაქაძე, ტრფობა წამებულთა, გერმანია, შტეფი და არჩილ ხოტივარები, SuKuLTuR-Verlag, 2012.

ირმა შილაშვილი, ლექსების კრებული „ფოთლებს ხიდი“, გერმანია, ირმა ქიმერიძე, იოაჰიმ ბრიცე, POP-Verlag, 2012.

**2013**

ანა კორძაია სამადაშვილი, მე მარგარიტა, გერმანია, სიბილა ჰეინცე, Verlag Hans Schiler, 2013.

ზაზა ბურჭულაძე, გასაბერი ანგელოზი, საფრანგეთი, თამარა ყუბანეიშვილი, L'Age d'Homme, 2013.

ბესო ხვედელიძე, მოთხრობების კრებული „ფერფლის გემო“, გერმანია, მანანა თანდაშვილი, Erata, 2013.

დათო ტურაშვილი, ჯინსების თაობა, ჰოლანდია, ინგრიდ დეგრავე, Cossee, 2013.

დათო ტურაშვილი, ჯინსების თაობა, ხორვატია, ლაურა შაკაია, Sandorf, 2013.

დათო ტურაშვილი, ჯინსების თაობა, იტალია, ქეთევან ჩარკვიანი, Palombi Editori, 2014.

ანთოლოგია, „იაგუარების ტექნო“, გერმანია, მანანა თანდაშვილი, იოსტ ვიგნერტი, Frankfurter Verlagsanstalt, 2013.

ვაჟა-ფშაველა, პოემები, დიდი ბრიტანეთი,

დონალდ რეიფილდი, საქართველო, 2013.

ვაჟა-ფშაველა, პოემები, გერმანია, პ. გიუნტერი, რუთ ნოიკომი, საქართველო, 2013.

ვაჟა-ფშაველა, პოემები, საფრანგეთი, გასტონ ზუაჩიძე, საქართველო, 2013.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, საფრანგეთი, სერგი ნულაძე, საქართველო, 2013.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დიდი ბრიტანეთი, მარჯორი უორდროზი, საქართველო, 2013.

ანთოლოგია, „გორის ციხე“, შვედეთი, თამარ მაისურაძე, Tranan, 2013.

ოთარ ჭილაძე, აველუმი, დიდი ბრიტანეთი, დონალდ რეიფილდი, Garnett Press, 2013.

აკა მორჩილაძე, ძველი გულგებისა და ხმლისა, შვედეთი, თამარ მაისურაძე, 2244 (Bonnier), 2013.

პინალკა ზაბირაკი, კავკასიური საქართველო, უნგრეთი, ავტორმა ტექსტი უნგრულ ენაზე დაწერა, L'Harmattan Kiad, 2013.

დავით დფეი, სკამი, ბრაზილია, ფაბიო ბენსუსენი, Lumme, 2013.

დავით დფეი, დილა სასწაულების წინ, ბრაზილია, ფაბიო ბენსუსენი, Lumme, 2013.

დავით დფეი, იასამისფერი ლეკვი თეთრ ტილოზე, ბრაზილია, ფაბიო ბენსუსენი, Lumme, 2013.

დავით დფეი, სიტყვები სიტყვები სიტყვები, ბრაზილია, ამარილის ანჩიეტა, ლუჩია ჰუგუენეი, ეკლარი ანტონიო ალმეიდა ფილო, Lumme, 2013.

დავით დფეი, ბაღები და ეშმაკთა სამკვიდრო, ბრაზილია, ამარილის ანჩიეტა, ლუჩია ჰუგუენეი, ეკლარი ანტონიო ალმეიდა ფილო, Lumme, 2013.

ჯემალ ქარჩხაძე, ანტონიო და დავითი, შვედეთი, ნილს ჰოკანსონი, Ruin, 2013.

**2014**

ზაზა ბურჭულაძე, adibas, აშშ, გურამ სანიკიძე, Dalkey Archive Press, 2014.

ზურაბ ქარუმიძე, Dagny or a Love Feast, აშშ, ავტორმა ტექსტი ინგლისურ ენაზე დაწერა, Dalkey Archive Press, 2014.

ლაშა ბულაძე, ლიტერატურული ექსპრესი, აშშ, მია ყიასაშვილი, Dalkey Archive Press, 2014.

აკა მორჩილაძე, მოგზაურობა ყარაბაღში, აშშ, ელიზაბეთ ჰეივეი, Dalkey Archive Press, 2014.

აკა მორჩილაძე, გადაფრენა მადათოვზე და უკან, აზერბაიჯანი, მთარგმნელი არ არის ცნობილი, ელატორნო, 2014.

სოფო კირთაძე, ზოღემია, ბრაზილია, Herta educacao LTDA, 2014.

ეკა ტაბლიაშვილი, შატარა ობობას საათი, ბრაზილია, Herta educacao LTDA, 2014.

აკა მორჩილაძე, obOle, იტალია, Delveico.

ერლომ ახვლედიანი, კოლო ქალაქში, საფრანგეთი.

ზაზა ბურჭულაძე, გასაბერი ანგელოზი, გერმანია.

ზაზა კვერცხიშვილი

# ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები იმღერებოდა...





### „გიმღერებს და ამღერდება...“

ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ილი-  
ას ლექსი დაწერილია 1860 წელს. მის პირველსავე  
სტროფს რომ წაიკითხავ, მიხვდები - იმ დროს პოე-  
ტის ლექსები ხშირად იმღერებოდა სამეფლისო დარ-  
ბაზეში:

მისი ლექსი შვებით, ლხენით,  
ხან მეფლისში შეპფორნდება,  
გულს ჩაეკერის, პლალოსს, ჰხარობს,  
გიმღერებს და ამღერდება...

მერე, თუ ამავე თვალით დააკვირდები იმდრო-  
ინდელ და უფრო ადრინდელ მწერლობას, დაასკენი  
- პოეტის ლექსები იმღერებოდა ყველგან...

### „ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები...“

ქართველი მკითხველისთვის ბავშობიდანვე ნაც-  
ნობია ეს სტრიქონები ბარათაშვილის ლექსიდან  
„ღამე ყაბახზედ“:

„თქვი რამ“ ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,  
„თუნდ თავსა უფლად, ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები!“  
ყაფლანც სულდგმული აშკობით დალილინებს  
გულის საკვდავად და თანდთან ყვლს მოიღერებს.  
ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები  
არა აპშლოდეს ჩვენსა ქალსა - ტრფობის ჭირები.

ლექსში ლამის დოკუმენტური გულმოდგინებით  
არის აღწერილი პოეტის შთაბეჭდილებები გარე-  
თუბანში გატარებული ერთი თბილისური ახალშე-  
ღამებისას. ზუსტად არის ცნობილი დრო და ადგი-  
ლი, სადაც „გულის საკვდავად“ მღეროდა ყაფლან  
ორბელიანი: 1836 წლის ზაფხული, მაშინდელი ყა-  
ბახი, შემდეგდერიონდელი ალექსანდრეს ბალის ქვე-  
მო ნახევარი.

ზემოთ მოყვანილია ნაწყვეტი ლექსის საბოლოო  
ვარიანტიდან (ბარათაშვილი 1972: 28). პირველ ვა-  
რიანტში (იქვე, 98) ყაფლანის სიმღერას ცოტა მეტი  
ადგილი ეთმობა და აღწერაც უფრო გულმოდგი-  
ნეა:

„თქვი რამ“, იტყვიან, „ყაფლან, ყაფლან“, ზოგნი ქალები,  
„თუნდ თავსა უფლად! ახლა პრანჭვას კი ნუ მოჰყვები“.  
ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დალილინებს  
გულის საკვდავად და თან და თან ყვლს მოიღერებს.  
ვის არ გსმენია მის ლობით თქმა, რომ მყის სევდები,  
კეკლუნო ქაღირი არ აგშლითა გულად მკვიდრები!  
იქლოს და იქლოს ხორხში ამოდ დაარაკაკებს  
და მას ნიაყი არე-მარე შეამუსიკებს.

თვით ალ. ჭავჭავაძის ლექსზე, რომელიც მაშინ  
ასეთი ძალით უშლიდა კეკლუნ ქალებს გულში  
მკვიდრ ტრფობის ჭირებს, არაფერია ნათქვამი. შე-  
საძლოა იმიტომაც, რომ თანამედროვეთათვის იგი  
კარგად იყო ცნობილი. დღეს, როცა ლექსს ვეცნობ-  
თი ეპოქისთვის კონტექსტების (მათ შორის, ყაფ-  
ლანის „ამოდ რაკარაკა“ ხმის) გარეშე, ძნელი გასა-  
გებია, რის წყალობით იწვევდა იგი ასეთ „გულის  
საკვდავ“ და „ტრფობის ჭირთა ამშლილ“ ზემოქმე-  
დებას. ლექსი ასე იწყება:

თავსა უფლად ლურვინ ჰგონებინი...  
ერთგზის თქვენცა ტრფიალბა  
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.

ერთგზის თქვენცა ტრფიალბა  
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.

მეცა ვიყავ მოქადაული,  
ვიდრე ჩემად მქონდა გული,  
ფიქრთა ვერად შემირყევდა  
ამიყთ მტანჯი სიყვარული.  
და ასე მთავრდება:  
<მას შემდეგ, რაც სატრფო ვიხილე>

მომესია სევდათ გუნდი,  
შემომტყა ბნელი ბუნდი,  
ჯაჭვი დამდვა მონებისა,  
კისრად ვილე და დავეუმდი.

### „მახსოვს სიამით, ოდეს ტკბილის ხმით...“

სხვა შემთხვევაში, როდესაც ფორტეპიანოზე  
მომღერალ ეკატერინას ასხამდა ხობტას, ბარათაშ-  
ვილს საჭიროდ მიუჩნევია მცირე კომენტარი: სტრი-  
ქონებს -

მახსოვს სიამით,  
ოდეს ტკბილის ხმით  
ვარდასა და ბულბულს მოელხინარე... -

ახლავს განმარტება: „ბულბული და ვარდი  
ლექსისა სამღერალო, ნათარგმნი რუსულიდამ  
თავადის ჭავჭავაძისასაგან“.

საკითხი შეისწავლა იოსებ გრიშაშვილმა და გა-  
არკვია, რომ თავად ჭავჭავაძეს უთარგმნია ლექსი  
თეოდოს ნაცნობისა, იმხანად საქართველოში მყოფი  
ა. ი. ოდოევსკისა, რომელიც „ძალიან მოკმადალბული  
ადამიანი იყო, იგი მართალია ლექსებს წერდა,  
მაგრამ თავის თავს პოეტს არ უწოდებდა“ (გრიშაშ-  
ვილი 1957: 100).

ამ ლექსის ოთხი სტროფიდან პირველი ორი ასე-  
თია:

- ვარდო რად ხარ თავდახრილი?  
რად მარდებ პირსა შენსა,  
არ მომხედავ შენსა მღერალს,  
მარად შენთვის აღნაგზენსა?

- რად მოგხედო მალად მომთქმელს,  
მე გლახ თავსა ჩემსა ვბრალობ;  
ვიცი, არც ნამდვილად მეტრფი,  
არც საკუთრად ჩემთვის გალობ!

ბარათაშვილი ამ ლექსს „სამღერალოს“ უწო-  
დებს, ე. ი. იგი თავიდანვე იმ მიზნით უნდა ყოფი-  
ლიყო ნათარგმნი, რომ სიმღერად შეესრულებინათ.

აქვე, ამ ერთი ლექსის მაგალითზე, შეგვიძლია  
ვუპასუხოთ კითხვას: რა მელოდიაზე იმღერებოდა  
ა. ჭავჭავაძის ლექსები? პასუხი ასეთი იქნება: სრუ-  
ლიად სხვადასხვაგვარ მელოდიებზე, იმის მიხედ-  
ვით, თუ ვინ მღეროდა და რა ინსტრუმენტის თანხ-  
ლებით.

ეკატერინას ნამღერთან დაკავშირებით ი. გრი-  
შაშვილს მოჰყავს ი. მუხნარგიას სიტყვები: „ეს  
[ვარდი და ბულბული] მაზურკათ ვადაკეთებული  
იყო და მაზურკის ხმით მღეროდნენ“, და იქვე ურ-  
თავს შენიშნავს: „ეს ხმა ვაგერცელებული ყოფილა“

საქართველოში. აკაცისაც აქვს ლექსი ამ სათაურით: „მაზურკის ხმაზედ“ (იქვე, 100).

ცხადია, სრულიად სხვა მელოდიაზე იმღერებდა ამ ლექსი გათბობისელებული აზერბაიჯანელი ვირტუოზი, რომელიც თავის დასტის თანხლებით გამოდიოდა: „ცნობილი მომღერალი სათარა „ვარდსა და ბულბულს“ განსაკუთრებული უნხით მღეროდა თურმე. გზებით „კაკეაზი“ აღტაცებულია მომღერლის მიერ ამ ლექსის შესრულებით“ [1853 წელს -ზ. კ.] (იქვე, 104).

„ეს ლექსი თავისი ჰანგით ისე ყოფილა გავრცელებული, ჩვენს მუზეუმებში დაცულ ხელნაწერთა შორის, ასეთი სათაურიანი ლექსებიც გვხვდება: „იმღერება ვარდო რად ხარ თავდახრილის ხმაზედ“... (იქვე, 104) უეჭველია, აქ სწორედ სათარას მიერ შესრულებული ჰანგი იგულისხმება და არა მაზურკის „ხმა“. ამ მელოდიის შესახებ ი. გრიშაშვილი წერს: „სამწუხაროდ, ძნელია აღდგენა იმ ჰანგისა, რა ჰანგზედაც მღეროდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ მშვენიერ თარგმანს“ (იქვე, 104).

უცნაურია, მაგრამ იგი ყურადღების გარეშე ტოვებს თავისივე სტატიის დასაწყისში მოყვანილ ცნობას: ორ კვებულის (სალხინო საზანდარი“, 1870 წ. და ალ. ჭავჭავაძის ლექსების 1881 წლის გამოცემა) ეს ლექსი შესული ყოფილა სათაურით: „საპარის ხმაზედ“. ამგვარი უყურადღებობის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ მითითება - „იმღერება ვარდო რად ხარ თავდახრილის ხმაზედ“ - რაღაც სხვა მელოდიას უნდა გულისხმობდეს, და არა მსმენელ-მკითხველთათვის კარგად ნაცნობ „საპარის ხმას“.

მაგრამ აქ ცნობიდან ის ხომ მაინც ნათლად ჩანს, რომ ლექსი ან (1) საარის ხმაზეც იმღერებოდა და, აგრეთვე, ჩვენთვის უცნობ ადლოსავლურ მელოდიაზეც, მისი სახელი რომ შეუძენია; ან კიდევ (2) „ვარდო რად ხარ თავდახრილის ხმა“ ძალიან ჰკავდა საარის ჰანგს.

### „დღეს მოგვეცა შვება, ღხენა...“

ზურაბ ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“ (დაიდგა 1853 წ.). მეორე მოქმედება თამაშდება დიდუბის მინდორში, სადაც ხალხი საგანგებოდ არის გასული, მზის დაბნელების სანახა-ვად.

აქ, მეოთხე სცენაში, შემოდიან „შარლატანები შარლატანურათ ჩაცმულნი, თეთრის ქუდეებითა“. ჩანს, ეს იმ დროისთვის ახალშემოსული სიტყვა გარკვეულ სოციალურ ტიპს აღნიშნავდა, მას ჩაცმის თავისი სტილიც კი ჰქონია, რომლის ერთი შემადგენელია თეთრი ქუდი. ამაზე უნდა მიუთითებდეს რეპლიკა: „შარლატანურათ ჩაცმულნი, თეთრის ქუდეებითა“. პიესის შარლატანები ერთი უსაქმური ლობთაზარა ხალხია, ხმაურიანი და უხეში გართობით:

„შარლატანები შემოდიან შარლატანურათ ჩაცმულნი, თეთრის ქუდეებითა, ცალ-ცალს ხელში უჭირავთ თითო საღვინე ჩაფი ღვინითა, და ცალ-ცალში ჩინურის ჯამები და ერთთა მღერობენ

(მღერობენ ერთად.)

ლოთებო ნეტავი ჩვენა, არიალალი, (ასამბენ ღვინოს ჯამზედ.) დღეს მოგვეცა შვება, ღხენა თარილალი! ივანე. ვიპიმ შტოლი?

სამნი ერთად. რაზუმეიცა ვიპიმ. დოღვენ ერთად და მოჰყვებოამ სიმღერას. ნათე რომ ერთხელ იმება, არიალალი, ყურძნის წვერის გემოვნება, თარილალი! (დაიყვირებენ.)

ივანე. ჰაზარუ! სამნი ერთად მღერობენ. ჰაზანდარუ! თითონ ნუნუსა მიუჯდა, არიალალი! წყალი პირუტყვთ დაანება, თარილალი!

(დაიყვირებენ.) ივანე. იმო ვიპიმ შტოლი?! სამნი ერთად. რაზუმეიცა ვიპიმ. ივანე. ჩვენც ნოხსავით ნუნუსა მიუჯდეთ და წყალი ნავს კაცებს დაეანებოთ. (...ანთოლოგია 1991: 65)

ავტორმა ალბათ იცოდა, მაგრამ პერსონაჟებს ნამდვილად არ აინტერესებთ, რომ „შარლატანების“ ჰიმნიად ქცეული ამ სიმღერის ტექსტი არის მცირე ფრაგმენტები - პირველი სტროფის ნახევარი და მთელი მესამე სტროფი - ალ. ჭავჭავაძის 15-სტროფიანი ლექსისა, რომელიც ხელნაწერთა უმეტესობაში უსათაურაო, ერთ მათგანში კი „ლოთური სიმღერა“ ჰქვია.

სხვათა შორის, სიმღერისეულ „არიალალი, თარილალი“-საც კი მოეძებნება წყაროებში საფუძველი: „ხელნაწერებში ამ ყოველ ტაქტზე ემატება მისამღერი „იალაი, იალაი“ ან „ალილალი“ (ჭავჭავაძე 1986: 281). იქვე ნათქვამია, რომ მისამღერი, ი. გრიშაშვილის აზრით, „მომღერლებს მიერ უნდა იყოს ჩამატებული“, მაგრამ ჩვენი თემისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია „ალილალი“-ს ავტორისეულობის საკითხი, მთავარია, რომ მისამღერი ყოფილა ამ სიმღერის შესრულების მყარად დამკვიდრებული ტრადიციის ნაწილი.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ ყაფლანის და ეკატერინას სიმღერა და დავასკვნათ, რომ ანტონოვის პიესაში ასახულია უეჭველად ყველაზე არამელოდიური და უსიამოვნო მცდელობა ალ. ჭავჭავაძის ტექსტის ამღერებისა.

### „კახურმა ღვინომ და ცხონებულ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებმა...“

„სურამის ციხე“ (დაიბეჭდა 1859-60 წწ.) ასე იწყება:

ზაფხულის ხვატში დროს სატაროდლად მტკერის პირას ყოველ საღამოს იკრიბება რამდენიმე ჭაბუკი: „იყო ერთი იმ მშვენიერთა საღამოთავანი, რომლითაც, სიცხის გარდა, ისე მდიდარია ჩვენი საქართველო. ყმაწვილებმა ის იყო იბანეს და ზოგი ჩაის მიირთმევდა, ზოგი ცომდა, ზოგიც შემომსხდარიყვნენ და ყურს უგდებდნენ დ. ბ., რომელსაც მუხლზედ ედო თარი, უკრავდა და დაბალი ხმით დადილინებდა“.



ამის შემდეგ ბიჭები ვახშამს ამზადებენ და რიგობით იწყებენ სურამის ცხის ტრაგიკული ამბის თხრობას. იმ დღეს ამბის კონტურები უკვე გამოიკვეთება, მთავარი პერსონაჟები გამოჩნდებიან. ბიჭები გადანწყებენ, ერთი მათგანის, სატროფოსგან ვერაგულად მიტოვებული ვარდოს შესანდობარი დალიონ, მაგრამ, როდესაც სმას დაიწყებენ, „რამტენიმე წუთის შემდეგ კახურმა ლეინომ და ცხონებულ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებმა დაავიწყეს ყმაწვილებს ვარდოც და ისიც, რო უნდა დაელოათ იმის შესანდობარი“ (...პროზა 7 1984: 253).

აქ უკვე პოეტის რომელიმე ლექსის სიმღერად თქმაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ნახსენებია, საერთოდ, ალ. ჭავჭავაძის ლექსები, როგორც იმდროინდელი ლხინის ყველაზე ბუნებრივი მუსიკალურ-ემოციური აკომპანემენტი.

**„ეგ სიტყვებიც კარგია და სიმღერის კილოც, ეგ სწორედ ნამდვილი ქართულია...“**

1862 წელს აკაკი წერეთელი სახლში ეწვია „ცისკრის“ რედაქტორ ივანე კერესელიძეს. ივანემ სუფრა გაშალა და მიიპატიჟა ჟურნალის რამდენიმე თანამშრომელი. ვიდრე სუფრას მიუსხდებოდნენ, ერთი მათგანი, ალექსანდრე ორბელიანი, ჩიოდა: „სიმღერასაც ვეღარ ვახერხებთ ქართულად... ბაიათებსა და შიქსატებს გავჰკივით. ზურნა-დაფის ხმაზე ჩვენი საქრისტიანო ამოვარდა; მეფეები და ერი ეწამა და ჩვენ დღეს კიდე მოგვექონს და გვენატრება ის ხმა“ (წერეთელი 1961: 22).

სუფრას რომ მიუსხდნენ, „კედელზე ჩამოკიდებული იყო თარი, ჩონგური დაირა, დაილიბიტო, სალამური, ჭიანჭური და სხვანი. მასწინძვლმა ჩამოიღო თარი, დაუკრა და დაამღერა:

ამა სოფლისა ცხოვრება  
ვერცხლით არ მოიპოვება,  
მდიდარიც ბევრი ნახულა -  
ობრად რჩენოდეს ქონება...  
...

შემოსძახა და მოუბრუნდა ალექსანდრეს:  
- ბატონო, მართალია ვჟღეს ეს სიმღერა, მაგრამ, რა ექნათ, რომ მაინც კარგია.

- ეინ მოგახსენათ? ეგ სიტყვებიც კარგია და სიმღერის კილოც, უპასუხა ორბელიანმა. - ეგ სწორედ ნამდვილი ქართულია. მე ვამბობ თათრულ კილოზე და ბაიათებზე“ (იქვე, 22-23).

სიმღერას, რომლის სიტყვებმაც და მელოდიამაც ისე მოხიზლა ყველაფერ ქართულის ტრფიალი და ყველაფერ აღმოსავლურის მოძულე აღ. ორბელიანი, რომ თარის აკომპანემენტთანაც კი შერიგა, აღ. ჭავჭავაძის ლექსი ედო საფუძვლად.

და მაინც, ზენიტი უკვე გავლილი იყო: ახლა ვიცით, რომ ჭაბუკი აკაკის უკვე მხოლოდ გამოჩენაც კი მიუთითებს: ახლის არის ჟამი „სამღერალო ლექსების“ სიგრეცები ალექსანდრე ჭავჭავაძის განუყოფელი ბატონობის დასასრულისა.  
ქართულ ლირიკაში აკაკის ეპოქა იწყებოდა...

**ლიტერატურა:**

**ანთოლოგია 1991:** ქართული კლასიკური დრამატურგიის ანთოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „ქართული თეატრი“, 1991.  
**ბარათაშვილი 1972:** ბარათაშვილი ნიკოლოზ. თხზულებანი. აკაკი ვანერელისა და ივანე ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972.  
**გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი იოსებ. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: სახელგამი, 1957.  
**პროზა 7 1984:** ქართული პროზა, წიგნი VII. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984  
**ჭავჭავაძე 1986:** ჭავჭავაძე ალექსანდრე. თხზულებები. შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.  
**წერეთელი 1961:** წერეთელი აკაკი. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.





# სანობელე საუბარი ელის მანროსთან

ლაურეატს ესაუბრება სტეფან ესბერგი, საუბარი ჩანერილია  
ტელეკომპანია SVT-ს მიერ, 2013 წლის 12-13 ნოემბერს.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

- კითხვა ადრე შემიყვარდა. ზღაპარი, რომელიც წამაკითხეს - ჰანს ქრისტიან ანდერსენის „პატარა ქალთევზა“ (გახსოვთ ეს ზღაპარი?) - მეტისმეტად ნაღვლიანია. პატარა ქალთევზას შეუყვარდება უფლისწული, მაგრამ არ შეუძლია უფლისწულზე გათხოვება - ის ხომ ქალთევზაა. ზღაპარი იმდენად სევდიანია, რომ დეტალების მოყოლა არ შემიძლია. როგორც კი წავიკითხე, შინიდან გავვედი და დიდხანს დავდიოდი ჩვენი აგურის სახლის გარშემო. შემდეგ მოვიგონე ზღაპარი ბედნიერი დასასრულით, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს სჭირდებოდა პატარა ქალთევზას. არ ვფიქრობდი იმის შესახებ, რომ ეს იყო სრულიად სხვა ზღაპარი, რომელიც ამქვეყნად არავისთვის იყო ცნობილი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყველაფერი, რაც შემეძლო, გავაკეთე - ამერიიდან პატარა ქალთევზა ცოლად უნდა გაჰყოლოდა უფლისწულს და ბედნიერად ეცხოვრა, რასაც ის, უეჭველად, იმსახურებდა - ბევრი იტანჯა, რათა უზრუნველყო უფლისწულის ბედნიერი ცხოვრება. მან მიაღწია იმას, რომ კულის ნაცვლად ფე-

რულით, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს სჭირდებოდა პატარა ქალთევზას. არ ვფიქრობდი იმის შესახებ, რომ ეს იყო სრულიად სხვა ზღაპარი, რომელიც ამქვეყნად არავისთვის იყო ცნობილი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყველაფერი, რაც შემეძლო, გავაკეთე - ამერიიდან პატარა ქალთევზა ცოლად უნდა გაჰყოლოდა უფლისწულს და ბედნიერად ეცხოვრა, რასაც ის, უეჭველად, იმსახურებდა - ბევრი იტანჯა, რათა უზრუნველყო უფლისწულის ბედნიერი ცხოვრება. მან მიაღწია იმას, რომ კულის ნაცვლად ფე-



ხები გაუჩნდა, მაგრამ ყოველი ნაბიჯი აუტანელ ტკივილს აყენებდა! სწორედ ეს სურდა - სიარული შესძლებოდა და უფლისწულის გულში სიყვარული გაელევიძებინა. ამიტომ ვფიქრობდი, რომ პატარა ქალთვეზა არ იმსახურებდა სიკვდილს. და არ მანუხებდა ის ფაქტი, რომ ჩემ გარდა, არავინ არ იცნობდა ამ ახალ ზღაპარს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მაშინვე გამოქვეყნდა, როგორც ეს გავიფიქრე ამის შესახებ. სწორედ ასე იყო. ეს იყო ჩემი ლიტერატურული შემოქმედების დასაწყისი.

**- როგორ დაეუფლეთ თხრობისა და წერის ხელოვნებას?**

- ზღაპრებს განუწყვეტილივ ვიკონებდი. სკოლაში დიდხანს უნდა მევლო და ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ზღაპრებს ვთხზავდი. როდესაც ცოტათი ნაშრომად დავიწყებინე, მაშინვე მკერსონაჟად მე ვიქცევი და არ ვფიქრობდი იმაზე, რომ ისინი დაუყოვნებლივ გამეცნო სხვებისთვის. საერთოდ, არ ვიცო, ვფიქრობდი თუ არა სხვა ადამიანების შესახებ, რომლებიც გაეცნობოდნენ ან ნაიკითხავდნენ მათ. ჩემთვის, ძირითადად, მთავარი იყო თვით ზღაპარი, ჩემი თვალსაზრისით - ძალზე ლამაზი ზღაპარი პატარა, ჭკვიანი, მამაცი ქალთვეზას შესახებ, რომელსაც შეეძლო, შეექმნა უკეთესი სამყარო, შეეძლო ზღვის ქაფად ქვეულიყო, ჯადოსნური შესაძლებლობები მქონდა და ასე შემდეგ.

**- არსებითი იყო თუ არა, რომ ამბავი ქალის თვალსაზრისით იყო მოთხრობილი?**

- ამისთვის არსებითი მნიშვნელობა არასოდეს მიმიჩიქებია, მაგრამ მე ხომ ქალი ვიყავი! გარდა ამისა, არსებობდა უამრავი კარგი მოთხრობა პატარა გოგონებისა და ქალების შესახებ. შესაძლოა მოზარდობის ასაკში გრძნობ, რომ შენი ძირითადი ფუნქციონირება გაუწიო მამაკაცს მისი მიზნების მიღწევაში, მაგრამ ბავშვობისას სულაც არ მეგონა, რომ ქალი არასრულფასოვანი არსებობდა. ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ ცხოვრობდი ონტარიოს იმ ნაწილში, სადაც უმეტესად ქალები კითხუ-

ლობენ, ჰყვებიან ნაკითხულის შინაარსს და ა.შ., მამაკაცები კი უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით არიან გართულნი. მათ არ აინტერესებთ ლიტერატურა. ამიტომ საკმაოდ ლაღი ვიყავი.

**- ეს გარემო თქვენზე შთაგონების წყარო იყო?**




- არა მგონია, რომ რაიმენაირი შთაგონება მჭირდებოდა. ვფიქრობდი, რომ მოთხრობების თხზვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რამაა ამქვეყნად. მინდოდა, ეს პროცესი დიდხანს გაგრძელებულიყო და სულაც არ მაინტერესებდა სხვა ადამიანები. მათთვის ჩემი მოთხრობების გაცნობის მოთხოვნილება არ მქონდა და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ისინი საინტერესო უნდა ყოფილიყო ფართო საზოგადოებისთვისაც.

**- რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი ამბის გადმოცემისას?**

- რა თქმა უნდა, იმ შორეულ დროში ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ბედნიერი დასასრული. ტრაგიკული დასასრული, ყოველ შემთხვევაში, ჩემი პერსონაჟი ქალებისთვის, მიუღებლად მიმაჩნდა. მოვინებო, „ქარიშხლიანი უღელტეხილის“ ნაკითხვის შემდეგ, რომელსაც ძალიან, ძალიან ტრაგიკული დასასრული აქვს, წარმოდგენები შემეცვალა და ტრაგიკულის კვადავინაცვლე, რითაც კმაყოფილი დავრჩი.

**- რატომ დავანტერესებთ კანადის პატარა ქალის ცხოვრების აღწერამ?**

- კარგი იქნებოდა, უბრალოდ, გენახათ ეს ქალაქი. ჩემი აზრით, ცხოვრება ყველგან საინტერესოა. საინტერესოა ნებისმიერი გარემო. გამბედაობა არ მეყოფოდა, მეცხოვრა უფრო მაღალი კულტურული დონის მქონე ქალაქში. ამას ვერ ავიტანდი. ჩემ გარდა, იქ მოთხრობებს არავინ წერდა, თუმცა მათ არავის ვუყუებოდი, და რამდენადაც ვიცო (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროის განმავლობაში), ამქვეყნად ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვისაც შეეძლო ეწერა და დაწერილი არავისთვის გაეწიდა.





**- ყოველთვის გვერდობა თუ არა, რომ თქვენი მონოპოლიტიკურაა?**

- დიდი ხნის განმავლობაში ასე ვფიქრობდი, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც სხვა მწერლები გავიცანი, საკუთარი თავის რწმენა შეერყა. მიხვდი, რომ ეს პროფესია უფრო რთული იყო, ვიდრე მეგონა. მაგრამ ფარ-ხმალი არასოდეს დამიყრია, მუშაობას ვაგრძელებდი.

**- მოთხრობა მუშაობის დანებისას სიუჟეტი ყოველთვის მოფიქრებული გაქვთ?**

- დიახ, მაგრამ შემდეგ ის ხშირად იცვლება. თავდაპირველად მიყვები სიუჟეტს, შემდეგ კი ვამჩნევ, რომ ის სრულიად სხვა მიმართულებით ვითარდება და თვისებრივად იცვლება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად სრულიად მკაფიო წარმოდგენა უნდა შექონდეს ნაწარმოების შესახებ.

**- რამდენად გატაცებული ხართ მოთხრობით, როდესაც წერას იწყებ?**

- ოჰ, უზომოდ. მაგრამ სადილიც უნდა დავამზადო ჩემი შვილებისთვის, ხომ ასეა? დიასახლისი ვიყავი. ამიტომ თავისუფალ დროს ვწერდი და ეს საქმიანობა არასოდეს შემინყვეტია, თუმცა იყო პერიოდები, როდესაც ძალზე იმედგაცრუებული გახლდით - ვხვდებოდი, რომ ჩემი მოთხრობები არც ისე კარგი იყო, კიდევ ბევრ რამეში უნდა დავოსტატებულიყავი და ეს იყო გაცილებით, გაცილებით უფრო მძიმე სამუშაო, ვიდრე ოდესმე წარმომედგინა. მაგრამ ლიტერატურულ საქმიანობას მაინც ვაგრძელებდი.

**- ნაწარმოებზე მუშაობის რომელი ეტაპია ყველაზე რთული?**

- ვფიქრობ, ის ეტაპი, როდესაც გადაიკითხავ მოთხრობას და ხედავი, რომ უხეირო რამ დაგინერია. პირველი ეტაპზე ალტაცებული ხარ, მეორეზე ფიქრობ, რომ ნაწარმოები საკმაოდ კარგია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გაიფიქრებ, რა სისულელე დამინერიაო, და სწორედ ამ დროს უნდა მოაკიდო ხელი მასზე მუშაობას. ყოველთვის საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ მოთხრობა არ ვარგა, და არა - თვით მოთხრობას.

**- როგორ მიმდინარეობს ნაწარმოების გადაკეთების პროცესი?**

- ძალიან მძიმე სამუშაოა. ახლავე აგისნით. შესაძლოა თქვენს პერსონაჟებს არ მიეცით სრული თვითგამოვლენის შესაძლებლობა. ეს ხარვეზი უნდა გამოასწოროთ ან ახალი პერსონაჟები შემოიყვანოთ (ისიც უნდა თქვია, რომ თავდაპირველად ფერადოვანი და მაღალფარდოვანი ენით ვწერდი, მაგრამ შემდეგ უფრო სადა სტილი ვარჩიე); უბრალოდ, ბევრი უნდა იფიქროთ და ჩასწვდეთ მოთხრობის ფარულ დედაზრს, რომელიც, როგორც ჩანს, თავდაპირველად სრულად არ გქონდათ გაცნობიერებული. ამგვარი მუშაობის პროცესში ძალზე ბევრ რამეში სწავლობთ.

**- რამდენი მოთხრობა გადაყარეთ სანავევში?**

- 3მ, ახალგაზრდობისას ყველას ვყრიდი, ბოლო წლებში კი ამას უფრო იშვიათად ვაკეთებ. ძირითადად, ვიცი, როგორ უნდა „გავაცავო“ პერსონაჟები. ხოლო როდესაც საკუთარ ნაწერებში მივსვამ უფრო ხარვეზებს, უბრალოდ, ვივინყებ მათ შესახებ.

**- გინანიათ, რომ მოთხრობა გადაავდეთ?**

- არა, რადგან ამ ეტაპზე უარდესად ვაბეზრებული ვარ ხოლმე მასზე მუშაობით, მით უმეტეს, თუ თავიდანვე ვიცოდი, რომ არ ვარგოდა. მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ხშირად როდი ხდება.

**- როგორ აიხსნა თქვენი პიროვნული განვითარება თქვენსავე შემოქმედებაზე?**

- ოჰ, უჩვეულო მრავლერი მომხდარა. თავდაპირველად ვწერდი მშვენიერ ახალგაზრდა პრინცესებზე, შემდეგ - დიასახლისებსა და ბავშვებზე, მოგვიანებით კი - ხანდაზმულ ქალებზე. და ეს პროცესი გრძელდება, ჩემი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. უბრალოდ, იცვლება სამყაროს ჩემი უფლი ალქმა.

**- ალბათ, სანიშნო პიროვნება ბრძანდებით სხვა ქალი-მწერლებისთვის იმით, რომ თქვენ - დიასახლისი - ერთმანეთს უთავსებთ საოჯახო საქმეებსა და შემოქმედებას.**

- ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ, თუმცა, ვიმედოვნებ, რომ ასეა. ახალგაზრდობისას სხვა ქალი-მწერლების არსებობა ჩემთვის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა, მაგრამ სანიშნო ვარ თუ არა სხვებისთვის, არ ვიცი. ვფიქრობ, ქალებს ბევრი თავისუფალი დრო აქვთ და სჯობს მნიშვნელოვან საქმიანობაში ჩაერთონ, ვიდრე, უბრალოდ, თავი შეიქციონ სხვადასხვაგვარი თამაშებით, როდესაც შინ მარტონი რჩებიან. კერძოდ, სერიოზულად მოეციონ შემოქმედებით მუშაობას, ისე, როგორც ამას მამაკაცები სწავლიან.

**- თქვენი აზრით, რა ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე, განსაკუთრებით კი - ქალებზე, თქვენი მოთხრობების კითხვა?**

- მინდა, რომ ჩემმა მოთხრობებმა ააღელვოს ნებისმიერი მკითხველი, სულ ერთია, ქალი იქნება ის, მამაკაცი თუ ბავშვი. რომ ჩემი მოთხრობები იყოს ცხოვრებისეული, დამაჯერებელი. რომ მკითხველებს სისარული მივანიჭო. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებებს ბედნიერი დასასრული უნდა ჰქონდეს. უბრალოდ, მათ სულიერად უნდა გაამდიდრონ და გადაახალხოსნ ადამიანები.

**- რას ფიქრობთ საკუთარი თავის შესახებ? რას ნიშნავს თქვენთვის ეს თვითგამოხატვა?**

- სოფლად ვავიზარდ, ძირითადად, შოტლანდიელთა და ირლანდიელთა გარემოცვაში. მათი შეხედულებით, სხვებისგან არ უნდა გამოირჩეოდე, არ უნდა გგოიხოს, რომ სხვებზე ჭკვიანი ხარ. იქ ხშირად გაიკონებდი: „შენ ხა, გგონია, სხვებზე ჭკვიანი ხარ?“ ლიტერატურული საქმიანობა კი სწორედ იმას ნიშნავდა, რომ საკუთარი თავი ჭკვიანი გგონა. მაგრამ მე, უბრალოდ, ექსცენტრიკულ ადამიანად მივიჩნეოდი მათ.

**- უნინ ფემინისტი ხომ არ იყავით?**

- ვერაფერს ვიტყვი „ფემინიზმის“ შესახებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფემინისტი ვიყავი, იმ გაგებით, რადგან იქ, სადაც ვავიზარდ, ქალებს უფრო ადვილად პატიობდნენ ლიტერატურულ საქმიანობას, ვიდრე - მამაკაცებს. მამაკაცები მხოლოდ გამოჩენილი მწერლები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ზოგადად კი, ლიტერატურული საქმიანობა მამაკაცისთვის შეუფერებელ პროფესიად მიჩნდათ. დიახ, ასე



იყო შეცვლა ახალგაზრდობაში, მაგრამ ახლა ვითარება მივიცალა.

**- სხვაგვარი ხომ არ იქნებოდა თქვენი შემოქმედება, უნივერსიტეტში სწავლა რომ დაგასრულებინათ?**

- შესაძლოა, მართლაც ასე ყოფილიყო. შესაძლოა, გაცილებით უფრო გაუბედავი ვყოფილიყავი და გაცილებით უფრო მშინებოდა სამხერლო მოღვაწეობისა, რადგან უფრო მეტი ცოდნა მექნებოდა ადამიანების შესახებ. შესაძლოა, მეფიქრა, რომ თავს ვერ გავართმევდი ამ საქმეს, თუმცა, არა მგონია, ასე მომხდარიყო. შესაძლოა, ხანმოკლე სულიერი კრიზისი განმეცოდა, მაგრამ იმხანად იგი მოწყურებული ვიყავი წერას, რომ მაინც გავაგრძელებდი ჩემს ლიტერატურულ შემოქმედებას ან, ყოველ შემთხვევაში, ვეცდებოდი მაინც.

**- ეჭვი შეგაპარვიათ თუ არა საკუთარ შემოქმედებებში შესაძლებლობებში?**

- გამუდმებით, გამუდმებით! გაცილებით მეტი ხელნაწერი მაქვს გადაყრილი, ვიდრე გამოგზავნილი ან დაიბნელებულია. ასე გრძელდებოდა, სანამ ოცდაათისა არ შევსრულდი. მაგრამ ამის შემდეგაც დიდხანს ვცდილობდი საკუთარი შემოქმედებით ხელნაწერს გამოშუაგებას. ასე რომ, ნურავის ეგონება, რომ ეს ორი საქმეა.

**- რა როლი შეასრულა თქვენს ცხოვრებაში დედათქვენმა?**

- რთული დამოკიდებულება მქონდა დედის მიმართ, რადგან მას პარკინსონის დაავადება აწუხებდა, მოვლა სჭირდებოდა, მეტყველება უჭირდა, და, ამასთან, ვაღლიდა და ადამიანების მოყვარული პიროვნება იყო. სურდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო, ეს კი, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახლდათ. ამდენად, მის გამო შებოქლი ვიყავი. მიყვარდა დედა, მაგრამ მისი ზეგავლენიდან გათავისუფლებასაც ვცდილობდი. არ მსურდა, ისეთი ურთიერთობა მქონოდა ადამიანებთან, როგორსაც დედაჩემი მკარნახობდა. ასეთთავე გრძნობებს განიცდიხს ნებისმიერი ახალგაზრდა მშობლის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი ხეიბარია. საჭიროა დრო, რათა ადამიანი მთლიანად გათავისუფლდეს ამგვარი ზეგავლენიდან.

**- იყო თუ არა დედათქვენი თქვენი შთაგონების წყარო?**

- ვფიქრობ, რომ იყო, მაგრამ ეს არ შემიმჩნევია და არ გამოცნობიერებია. რაც მახსოვს, მოთხრობებს ყოველთვის ვთხზავდი. არ ვინერდი, მაგრამ არც ვუყვებოდი მათ არავის, მათ შორის - დედაჩემს. დედაც და მამაც ნიგნის მოყვარული ადამიანები გახლდნენ... დედაჩემისთვის, ალბათ, სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ მწერლობა მიხლოდა, მაგრამ, ზოგადად, ჩემს გარემომცველ ადამიანებს ვუმალავდი საკუთარ მიზნებს: მათ შესაძლოა, ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნოდათ, არც არავინც კითხულობდნენ და უკიდურესი პრაქტიციზმით გამოირჩეოდნენ. ამიტომ ჩემი წარმოდგენა ცხოვრების შესახებ არ უნდა გამემტლავებინა ახლობლებისთვის.

**- ძნელია თუ არა ამის გადმოცემა ქალის თვალსაზრისით?**

- არა, სულაც არა, რადგან ქალი ვარ და ისე ვაზროვნებ, როგორც ქალს შეეფერება. იქ, სადაც ვავიზარდებ, წიგნებს მხოლოდ ქალები კითხულობდნენ; განათლებულ ადამიანთა უმრავლესობას ქალები - მაგალითად, მასწავლებლები - შეადგენდნენ. და ლიტერატურა გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი იყო ქალებისათვის, ვიდრე მამაკაცებისთვის, რომლებიც ფერმერები გახლდნენ ან ამ ტიპის სხვა სამუშაოებით იყვნენ დაკავებულნი.

**- თქვენი ოჯახი მუშათა კლასს მიეკუთვნებოდა?**

- დიახ.

**- და შემოქმედებითი საქმიანობა იქ დაიწყო?**

- დიახ. ვერ ვხვდებოდი, რომ ჩემი ოჯახი მუშათა კლასს მიეკუთვნებოდა. ვაკვირდებოდი გარემოს, სადაც ვცხოვრობდი და ვწერდი მის შესახებ.

**- მისაღება თუ არა თქვენთვის ის ფაქტი, რომ ლიტერატურულ შემოქმედებას მხოლოდ განსაზღვრული დრო უნდა დაუთმობოთ, დღის სხვა მონაკვეთებში კი ბავშვებზე უნდა იზრუნოთ და სადილები ამზადებოთ?**

- ვწერდი ყოველთვის, როდესაც ამის საშუალება მქონდა. ჩემი პირველი მწუფლე ძალიან მიწყობდა ხელს. შემოქმედებით საქმიანობას დიდ პატივს სცემდა. არ ფიქრობდა, რომ ეს ქალის საქმე არ იყო, თუმცა ასე ფიქრობს მრავალი მამაკაცი, რომლებიც შემდგომ გავიცანი. მას სურდა, რომ მენერა და არასოდეს ღიზიანდებოდა ამის გამო.

### ნიგნის მალაზიაში



- როდესაც ნიგნის მალაზიის გახსნა გადაწყვიტეთ, ყველა ფიქრობდა, რომ ჭკუიდან შევიშალეთ და გავკოტრდებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ძალიან ბევრს ვმუშაობდით.

**- რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნიგნის მალაზიაში თქვენთვის?**

- ეს იყო ჩემი საარსებო წყარო. ეს იყო ყველაფერი, რაც გავცაჩნდა. არავითარი სხვა შემოსავალი არ გექონია. პირველ დღეს, როდესაც მალაზია გაიხსნა, გამოვიმუშავეთ 175 დოლარი - რაც, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანი თანხა იყო. - დიახ, რადგან მან დიდხანს გავაძლებინა.

დახლს უკან ვიჯექი ხოლმე, კლიენტებს ნიგნის ვთავაზობდი და, საერთოდ, ყველა აუცილებელ მოვალეობას ვასრულებდი. უამრავი ადამიანი შემოდოდა მალაზიაში და მესაუბრებოდა ნიგნის შესახებ. აუცილებელი არ იყო, რაიმე ყვირდა, ეს იყო, უბრალოდ, ადგილი, სადაც ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს. ყოველ საღამოს მოდიოდნენ და მესაუბრებოდნენ სხვადასხვა თემაზე. ეს შესანიშნავი იყო, ძალიან მსიამოვნებდა. მანამდე დიასახლისი ვიყავი, მთელ დროს შინ ვატარებდი, ვწერდი კიდეც, მაგრამ ახლა შესაძლებლობა მომიცა, გავსულიყავი სამყაროში. ვფიქრობ, არც ისე ბევრი ფული ვიმოვიცი, ალბათ, უფრო იმის გამო, რომ დროს ადამიანებთან საუბრებში ვატარებდი, ნაცვლად იმისა, რომ ნიგნებით მევაჭრა. მაგრამ ეს იყო არარეალური, საუკეთესო დრო ჩემს ცხოვრებაში.

**- გსურთ თუ არა, რომ თქვენმა ნიგნებმა**



**ნახალისონ ახალგაზრდა ქალბი და უბიძვონ შემოქმედებითი მუშაობისკენ?**

- ჩემთვის ეს არაა მთავარი. უფრო არსებითია, ჩემმა წიგნებმა მათ სიამოვნება მიანიჭონ, მკითხველების ნახალისება კი ჩემი მიზანი სულაც არაა. მსურს, ჩემმა ნაწარმოებებმა დააფიქრონ ისინი საკუთარ ცხოვრებაზე. მაგრამ ესეც არაა მთავარი. ყველაზე არსებითია, რომ პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა მაქვს.

**- სამაგიეროდ, კულტურასთან გაქვს.**

- ალბათ. დარწმუნებული არა ვარ, რას ნიშნავს ეს, მაგრამ, ალბათ, მაქვს.

**- მგონი, იოლად უყურებთ ყველაფერს?**

- მე? დიახ, ასეა.

**- სადღაც წავიკითხე, რომ მოვლენების მარტივად ახსნას ცდილობთ.**

- ასეა, მაგრამ არასოდეს მომიხდომებია მოვლენების მარტივად ახსნა. უბრალოდ, ასე ვწერ. ჩემთვის ეს წერის ბუნებრივი მანერაა, მაგრამ წინასწარ განზრახულ ხერხს სულაც არ წარმოადგენს.

**- იყო თუ არა თქვენს ცხოვრებაში პერიოდები, როდესაც წერა არ შეგეძლოთ?**

- რა თქმა უნდა. დაახლოებით ერთი წლის წინ შეწყვიტე წერა. ეს შეგნებული გადაწყვეტილების შედეგად მოხდა. მსურდა ისე მეცხოვრა, როგორც სხვა ადამიანები ცხოვრობენ, რადგან ლიტერატურულმა შემოქმედებამ - ლიტერატურის იღუმალ სამყაროში საკუთარი მხატვრული გზებისა და თემების ძიებამ, ერთგვარად, გამმიჯნა სხვა ადამიანებისგან, რომელთაც ვერ ვუსხნიდი ჩემს პრობლემებს, და, ამასთან, რეალურ სამყაროშიც უნდა მეცხოვრა და ჩემი მოვალეობები შემესრულებინა. ყოველივე ამან ძალზე დაძალა, რადგან ასე ვიქცეოდი მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში. გარდა ამისა, როდესაც გავიცანი უფრო აკადემიური ტიპის მწერლები, რამდენადმე შეგშფოთდი - ვიცოდი, რომ მათნაირად წერა არ შემიძლო, ამის უნარი არ მაქვს.

**- ალბათ, თხრობის განსხვავებულ ხერხს ვულისხმობთ?**

- დიახ. თხრობის ჩემეული სტილი შეგნებულად როდი გამოიმიშუავევია. თუმცა, არა, ვცდები. რა თქმა უნდა, შეგნებულად ვწერდი იმ მანერით, რომელიც უფრო იოლი და სასიამოვნო იყო ჩემთვის, ვიდრე - გარკვეული იდეით ნაკარნახევი სტილი.

**- ოდესმე გიფიქრიათ, რომ ნობელის პრემიას მიიღებდით?**

- ო, არა, არასოდეს! მე ხომ ქალი ვიყავი! თუმცა, რამდენადაც ვიცი, ნობელის პრემიით რამდენიმე ქალიც დაჯილდოვდა. მსიამოვნებს, როდესაც მაფასებენ, მაგრამ ნობელის პრემიაზე არასოდეს მიფიქრია, რადგან მწერალთა უმრავლესობა ვერ ამჩნევს საკუთარი თხზულებების ღირსებებს, განსაკუთრებით - მათზე მუშაობის დამთავრების შემდეგ. მეგობრებსაც ვერ გავანდობდი, რომ ნობელის პრემიის მიღებაზე ვოცნებობდი.

**- იხსენებთ თუ არა წარსულს? კითხულობთ თქვენს ძველ წიგნებს?**

- არა! არა! ამის არავითარი სურვილი არა მაქვს. აუცილებლად მოვიხდომებდი, გადამეკეთებინა ბევრი რამ. უწინ კარადიდან ვიღებდი ჩემს წიგნებს და რაღაცებს ვასწორებდი მათში, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ამ ცვლილებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს - უკვე ველარაფერს გამოვასწორებ.

**- რას ეცოდით სტოკჰოლმელებს?**

- მინდა ვუთხრა, რომ მადლობელი ვარ ამ უდიდესი პატივისთვის, რომ არაფერი, არაფერი მომანიჭებდა ამქვეყნად უფრო დიდ ბედნიერებას! გმადლობთ!






ლუკა ნახუცრიშვილი

# ნოდარ ანდლულაძის „ადამიანი მომღერალი“

ერთი მსმენელის გამოსმაურება





### პრელუდია მიწორში

საოპერო მომღერალი, რომელიც ამავე დროს ინტელექტუალია, ისეთი იშვიათობაა, რომ ალბათ ხუთი თითიც კი საქმარისია ბოლო ორი საუკუნის მანძილზე არსებული ასეთი ერთეული შემთხვევების ჩამოსათვლელად. ამ იშვიათ ჯიშს მიეკუთვნებიან ტურანენების ცხოვრების (სავარაუდოდ) პლატონური სიყვარული და მთელი ევროპის ლიტერატურულ-მუსიკალური ელიტის სათაყვანებელი კონსტანტო პოლინა ვიარდო-გარსია, ჯაკომო ლაური-ვოლპი, მარია კალასი ანდაც 1970-90-იან წლებში როსინისა და ზოგადად ბელკანტოს რეპერტუარის აღორძინების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, ტენორი როკველ ბლეიკი, რომელიც არა მარტო ფენომენალური მუსიკოსი იყო, არამედ დღეს სასიმღერო პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი, მაგრამ უსამართლოდ მარცხინალიზებული წარმომადგენელია. მარცხინალიზებული, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა, თანამედროვეობისთვის ნაკლებად დამახასიათებელი ხმა, რომელიც სიმღერითა თუ სიტყვით აპროტესტებს დღევანდელი პედაგოგიური და საოპერო სისტემის სრულ სიყრუეს ხმების რეალური მოთხოვნილებების, მათი განვითარების ბუნებრივი რიტმისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების მიმართ. ინტელექტუალი მომღერლების კატეგორიას შეეფიცოდა მიჯაჭვებთან ნოდარ ანდელუაძეც, რომელმაც ენათმეცნიერების სფეროში აკადემიური მოღვაწეობის მანძილზე დაგროვილი ჰუმანიტარული ცოდნა სრულიად თავისებური ფორმით ჩააყენა სიმღერის შესახებ სისტემური განხარების სამსახურში.

„ბელკანტო“ დღეს თითქმის ყველა პედაგოგს აკერია პირზე; ინერტა უამრავი პედაგოგიური ნაშრომი, სადაც მეცნიერულად, ფიზიოლოგიის და ფონიატრიის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით საბუთდება ძველი იტალიური სასიმღერო სკოლის პრინციპების სისწორედ და გადასახულად ცხადდება ძველი ყადიბი მასწავლებლების „სუბიექტური“, მეცნიერული კრიტიკიუმების არაგაზომვადი მეთოდები; ყველა იყენებს ბელკანტოსთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას თუ უარგონს - სიმღერა „ნილაბში“ (canto in maschera), „შუქ-ჩრდილოვანი“ ბეგრა (chiaroscuro) და ა.შ. არასოდეს იმდენი მეცნიერული, ობიექტური ცოდნა არ არსებულა, რამდენიც დღესა დაგროვილი ხმისა და სიმღერის მექანიზმებთან დაკავშირებით. თუმცა, ამავე დროს, არასოდეს ყოფილა სიმღერის დონე ისეთი დაბალი, როგორც დღეს. უზომოა უფსკრული თეორიულ ცოდნასა და რეალურ, პრაქტიკულ სწავლებას შორის. კითხვობობ რომელიმე გამორჩენილი მეცნიერ-პედაგოგის სრულიად მართებული ზოგად მსჯელობებს, შემდეგ კი ისმენ ამავე პედაგოგის მიერ მომზადებულ კომპილენტებს ან მისსავე სიმღერას და ხვდები, რომ მის მიერ გამოქვეყნებული წერილობითი მსჯელობა ხმის მაქსიმალურ უღერადობაზე, რეგისტრების დაბალანსებულობასა თუ ტემპრის კეთილშობილებაზე სინამდვილეში მყვარი ასოა.

### სმენის ხმა

ნოდარ ანდელუაძის მიერ სხვადასხვა წლებში დანერგილი ნარკვევებისა თუ მოხსენებების კრებული სახელწოდებით *Homo cantor* (ადაშიანი მომღერალი, 1997) სწორედ იმ საფუძველმდებარე იდეებს გარშემო ერთიანდება, რომ ვოკალის არც სწავლება და არც გაგება არ შეიძლება დაყვანილ იქნას ვიწროდ ფსიქოლოგიის ან ფიზიოლოგიურ მექანიზმებზე. ანდელუაძისთვის წარმართული აუცილებლად ესთეტიკური პრინციპი, ხმის, ბგერისა და სიმღერის ერთგვარი პოეტოკა, ფილოსოფია, ვენებათ ანთროპოლოგია უნდა იყოს, რათა ხმის ფიზიოლოგიური მექანიზმის შესახებ მე-19 საუკუნეში და მოყვანილი მეცნიერული მენციერული აღმოჩენებიც ქვემარტივად ჩადგეს კლასიკური სასიმღერო ხელოვნების სწავლების სამსახურში.

მანუელ გარსია უმცროსი (1805-1906) პირველი იყო, ვინც იტალიური სასიმღერო სკოლის პრინციპები, რომლებიც თაობიდან თაობამდე ან ზეპირსიტყვიერად ან ზოგადესთეტიკური ხასიათის ტრაქტატებით გადაიცემოდა, მეცნიერულად გამოიკვლია და დააფუძნა. ანდელუაძესაც გარსიაში სწორედ ესთეტიკისა და მეცნიერების შერწყმა ხიბლავდა. გარსია პირველ რიგში სწორედ იმიტომაც ბელკანტოს პედაგოგიკისათვის საკვანძო ფიგურა, რომ მას მკაფიო ესთეტიკური იდეალი ჰქონდა - ნათელი, ბრწყინვალე, ჯანმრთელი, მსუბუქი, სივრცეში გამომხივლი ბგერა მომღერლის მთელ დიაპაზონში - და მისი მეცნიერული კვლევებიც სწორედ ამ იდეალის შუქზე იქნდა აზრს. ცნობილია, რომ თვითონ გაკვეთილის დროს გარსია უიშვიათესად მიმართავდა სამეცნიერო ტერმინოლოგიასა თუ აღწერებს და ისევე და ისევე ყურით, სმენით აფასებდა შერგდის ბგერის აკარგიანობას. მისი სკოლის წარმატების ნათელი მტკიცებულებაა მე-20 საუკუნის დასაწყისში იმ მომღერლების მიერ გაკეთებული ჩანაწერები, რომლებიც გარსიას მიერ აღზრდილი მომღერლების ან პედაგოგების მოსწავლეები იყვნენ.

დღევანდელი დასავლური პედაგოგიკის საეკლალო ტენდენცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერული, ფიზიოლოგიურ-ფონიატრიული აღწერები და ცნებები, რომლებიც საშუალება უნდა ყოფილიყო ესთეტიკური მიზნის მისაღწევად, თანდათანობით თვითმიზნად იქცა, რადგან გაქარის სმენა, რომლის გარეშეც, როგორც ანდელუაძე სრულიად მართებულად აღნიშნავს, ვერც ხმა იარსებებს. მეცნიერულ მეთოდებზე დაყრდნობით სტუდენტებს თანამედროვე პედაგოგები გამოუდგებიან ჰპირდებიან უფრო „სერიოზულ“ სწავლებასა და უფრო სტაბილური შედეგების მიღწევას. ერთგვარ სტაბილურობას სტუდენტი აუცილებლად შეიძენს, თუ იგი დისციპლინირებულად იმუშავებს თავის ხმაზე. მაგრამ საკითხავია, როგორი სტაბილურობა იქნება ეს და რა ხარისხი ექნება ამ ხმას, თუ ბგერის ძიებას არანაირი რეალური ესთეტიკური იდეალი არ ამოძრავებს და არეგულირებს. ამიტომაცაა, რომ დღევანდელი პედაგოგიკის შედეგად

უმეტესწილად ვიღებთ ხმებს, რომლებსაც აკლიათ სწორედ ის ბრწყინვალეობა და სივრცეში თავისუფალი გამოფენილობა, რაც იტალიური სკოლის მიზანი იყო.

ბერგის ეს სრული სივრცეულობა და ვარჯიშობა ერთი ადამიანის - შეგერის - ხმასა და მეორე ადამიანის - მასწავლებლის - ყურის შორის გამოიშლება. ზემოხსენებულ იდეალს სწორედ ყურის მიერ ხმის დაგობაში ეხმობა ხორცი. ამ სივრცეში აქვს ადგილი იმ პირველყოფილ ბგერათ კომპლექსებს, რომელიც ანდელუაძისთვის სულის, შინაგანობის გამოიჭლავნებაა. ნიგნის პირველი ორმოცდაათივე გვერდი, ანუ ნარკვევი სახელწოდებით „Homo cantor“, ფილოსოფიური, ანთროპოლოგიური, მითოლოგიის ისტორიული, პოეტური, რელიგიური, ვოკალის პედაგოგიური თუ სხვა სახის ლიტერატურიდან ბგერის, ხმის, სუნთქვის, სიმღერის შესახებ ციტატების ნაკადია, რომელიც დაახლოებით ისეთივე შთამბეჭდავითაა ერუდიციის სივრცეულობითა და ხედვის მონუმენტურობით, როგორც მელოდის „მოზი დიკის“ დასაწყისში ვეშაპის, როგორც ასეთის, შესახებ იმ დროისთვის მოციხეხედი ციტატების არხა. *Homo cantor*-ის ავტორი თავისი ამ ენციკლოპედიური პერფორმანსით თითქმისდა ცდომლობს დაგვარწმუნოს, რომ სიმღერა არა მარტო პირველყოფილი, ადამიანის ისტორიულად მუდამ თანმდევი გამოვლინებაა, არამედ, ადამიანი თავისი არსით პირველ რიგში სწორედ რომ მომღერალია. ამიტომ იქცევა ბგერა, როგორც ასეთი, თავისთავად ღირებულ მოვლენად და, შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ ის მუსიკალური მიმდინარება, რომელიც ბგერის კეთილმოხილვისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას ემსახურება. იგულისხმება იტალიური ბელკანტო, ბაროკოდან დაწყებული და როსინით დამთავრებული, რომელსაც სხვა მუსიკალური სკოლები მუდმივად აკრიტიკებდნენ ზედმეტი ორნამენტულობისა და მუსიკალური ჰედონიზმის გამო. როსინის თავყანისცემულ ჰეველზე დაყრდნობით, ანდელუაძე სწორად აღნიშნავს, რომ ბელკანტოს მუსიკა სწორედ ის სივრცეა, რომელშიც ბგერა, როგორც ასეთი, აბსოლუტურად ღირებულა და, შესაბამისად, ბელკანტოს თვატრივი მთლიანად ბგერის სამუშაოზე გადაის, გასხვავებით შემდგომი საოპერო სკოლებისაგან, სადაც უფრო და უფრო დიდი როლი ენიჭება საორკესტრო თუ სცენურ გამომსახველობას.

**ხმის ღიმილი**

იტალიური ბელკანტო ანდელუაძისთვის ადამიანის სულიერი და სივრცეული გამოვლინების არსის უმაღლეს რანგში აყვანილი ბგერადობაა. ქართველ ტენორს ბედნიერება ჰქონდა, ბელკანტოს ფაქტობრივად უკანასკნელ უშუალო მემკვიდრეებთან გაველო ერთი წლის მანძილზე მილანში სტაჟი. მისი ერთ-ერთი მასწავლებელი თავად იყო ტენორ ფერნანდო დე ლუჩისა მოსწავლე, დე ლუჩია კი ჩანანერებში შემორჩენილი, მე-19 საუკუნის ბელკანტოს იმ ტრადიციის განმასახიერებელი ერთ-

ერთი ბოლო ტენორია, რომელიც მუდმივად მუქი, მკვრივი, შესქელებული ბგერითა და უფრო რეალისტური, „ვერისტული“ სტილით მომღერალმა კარუზომ დაასამარა. სტატიის დასაწყისში ტყუილად არ გვიხსენებია ვაიკომა ლაური-ვოლი, ანდაც როკველ ბლეიკი, რადგამ მე-20 საუკუნის განმავლობაში ისინი ის იშვიათი ტენორები იყვნენ, ვინც საკუთარი ვოკალის ამოსავალ წერტილად ნათელ, მსუბუქ ბგერას იღებდნენ და მხოლოდ ამ ბუნებრივ სინათლეზე დაყრდნობით მიმართავდნენ ხოლმე გამომსახველობითი საჭიროებისამებრ უკვე მუქ ტემბრს. ტრადიციული ბელკანტოსთვის, სუნთქვის ფუნდამენტური როლის გარდა, პირველად ნათელი და დაუმთიმებელი, ლიმინიანი, ფართო პირის ღრუთი და არა თანამედროვე მსმენელ-მაცურებელთა წარმოდგენაში გააჭვდარი სტერეოტიპული პირის ოვალური, მოკუმშული ფორმით მიღებული ბგერის მნიშვნელობას ხმის გამოფენილობისა და მოქნილობისათვის ანდელუაძეც აღნიშნავს. ამით უპირისპირდება იგი დღეს ფეხმოკიდებულ სკოლებს, რომლებიც ბელკანტოდ ასაღებებ ბგერის გამოქეცის პირველადობას, რაც ხმის თავდაპირველი შემსუბუქებისა და ნათლად გამოფენის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ხმის მოქნილობის შეზღუდვას და ინდივიდუალური ტემპრის ფალსიფიცირებას იწვევს. ქართველი ტენორის თქმისა არ იყოს, ბევრ მსმენელს რჩება ვანცად, რომ ნამდვილი იტალიური წესით დაყენებული ხმები ერთნაირია, მაგრამ ისინი ერთნაირი მხოლოდ მათი მექანიზმის მხრივ; ხმის თავისუფალი გამოფენილობა და ნათელი ბრწყინვალეობა ის საერთო პრინციპული მდგომარეობა, რომელშიც თითოეული მომღერლის განუმეორებელი ტემპრი ახერხებს იელვაროს და მართლაც ერთი სულის ინდივიდუალობის გამოხატულებად იქცეს. დღეს გავრცელებული პედაგოგიური მექანიზმი კი განურჩევლად ყველა ხმის თავდაპირველი გამოქეცით, მათი ხელოვნურად დამძიმებით, სწორედ ამ ინდივიდუალობის ნაშლას უწყობს ხელს. მოსწავლის მომზადების ხანგრძლივობის მკვეთრი შეკვეცა, რაზეც არა მარტო ანდელუაძე მიუთითებს, იმაშიც მდგომარეობს, რომ მასწავლებელი მოსწავლის ხმას მზა პედაგოგიურ შაბლონში აქცევს და უმწირეს დროს უთმობს იმას, რაც ადრე იტალიური ვოკალის ამოსავალი ესთეტიკური და ეთიკური წერტილი იყო - მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივი ძალისხმევა, მოქმედება, გამოეხმობი, თუნდაც თვეებისა და წლების ძიების ფასად, ყოველდღიური ექსპერიმენტებისა და ყურადღების შედეგად, ის განუმეორებელი ტემპრი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში იმალეობდა.

როდესაც ანდელუაძის სიმღერის ჩანანერებს ვისმენთ (და ამასთან ერთად ვკითხულობთ მისსაკვე თვითკრიტიკულ და საოცრად გამჭრიახ კომენტარებს თავის შესრულებებზე), ვხვდებით, რომ ვოკალური იდეალის ძიება მისთვის მუდმივი ინტელექტუალური და მუსიკალური პროცესი იყო. მთლად უსამართლო არ იქნებოდა ალბათ მისი აღნიშვნა, რომ ანდელუაძესთან რეალურ მუსიკალურ შედეგზე უფრო საინტერესო ხშირად სწო-





რედ ძიების და მუშაობის ეს პროცესია. იმის მაგივრად, რომ ჩანაწერებში მოცემული ბუნებრივად მიმე, რთულად დასამორჩილებელი დრამატული ხმის ხელოვნურ შესქელებას მიმართოს, როგორც ამას მარია დელ მონაკო და სხვა მრავალი დრამატული ტენორი აკეთებდა, მომდერალი მუდმივად ცდილობს მასში სიმსუბუქისა და ბგერის სინათლის შენარჩუნებას, რაც, განსაკუთრებით დრამატულ ტენორებს შორის, სრული იშვიათობაა. როდესაც ვისმენთ მოხუცი ფრანჩესკო ტამანიოს, ვერდის ოტელოს პირველი შემსრულებლის, ჩანაწერებს, მისი სრულიად ნათელი და გამჭვირვალე ბგერა თითქოს სხვა სამყაროდან გვიმღერის, რადგან დღეს ლამის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება დრამატულ ტენორს ასეთი ბგერა ჰქონდეს.

### ხელო(ვნე)ბა

რამდენადაც უფრო მაღალია ხმის იდეალი, მით უფრო ხანგრძლივია ამ იდეალის მიღწევის პროცესი და მუშაობის სირთულე. ნოდარ ანდლულაძე ამ იდეალს ეძებდა საკუთარ ხმაში, თავის მოსწავლეებში, ვოკალურ ტრაქტატებსა და სამეცნიერო ნაშრომებში, ფილოსოფიაში, ანთროპოლოგიაში, და ამ ძიების თემატური ცენტრი იყო იტალიური სასიმღერო სკოლის ტექნიკა. ანდლულაძისთვის, რამდენადაც ესთეტიური ხასიათისაა ეს სამუშაო, ანუ იდეალის სამსახურშია, იმდენად შეუძლებელია იგი მხოლოდ „ტექნიკური“ იყოს, მექანიკურობისა და უსიცოცხლობის იმ უარყოფითი კონო-

ტაციით, რომელიც ტექნიკის ცნებას ახლავს ხოლმე თან. ტექნიკა მისთვის სრულიად მართებულად იქცევა ესთეტიკისა და ეთიკის საგნად. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხშირად ტექნიკური მომზადების საკითხებს ქედმაღლურად გადმოსცქერიან შთაგონებული არტისტების სიმალლიდან, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ამ არტისტიზმისაკენ გზა სწორედ ტექნიკაზე გადის და ტექნიკის გარეშე ეს არტისტიზმი სინამდვილეში მხოლოდ ბანალური, ვულგარული „მგრძობიარობა“ იქნება, რომელშიც ჩაიხრჩობა სიმღერის ხელობით გაუმყარებელი ნებისმიერი ნამღერის და რომელიც უბრალოდ საბაბია იმისათვის, რომ დრო არ დაეთმოს ხელობაზე სრულიად რუტინულ, მატერიალურ მუშაობას.

როდესაც ანდლულაძე თანამედროვეობაში ოპერის დევიკალიზაციაზე საუბრობს, ამაში, ერთი მხრივ, ტექნიკის იდეოლოგიურ დისკრედიტაციას გულისხმობს „გრძნობის“ პირველადობის მიერ, მეორე მხრივ კი - ხმისთვის სპეციფიკური გამომსახველობის ჩანაცვლებას ვულგარული ემოციური რეალიზმით, სცენური ტალანტის მეშვეობით სასიმღერო ხელობის არასრულყოფილების კომპენსაციასა და, საბოლოოდ, რეჟისურის მიერ მთელ საოპერო სისტემასა და მის შემადგენელ კომპონენტებზე გაბატონებას. თავისთავად დასაძრავი, რა თქმა უნდა, არაფერია კარგად, ორიგინალურად დადგმულ ოპერაში, მაგრამ როდესაც ამავე დადგმაში დუმს ადამიანის „იტალიურად“ აღზრდილი ხმა, კონკრეტულად საოპერო დარგის სპეციფიკური თეატრალობა იკარგება, ის თეატრა-



ლობა, რომელიც ბრწყინვალე, თავისუფალი ბგერის განვრცობით გამოიშლება, სცენის ბარიერს ლახავს და დარბაზში ბოლო იარუსის ბოლო რიგში მჯდომი მსმენელის ყურსაც კი ელამუნება.

ხელოვნებაში ხელობის როლის დაკნინებამ კონკრეტულად კლასიკური ვოკალის დარგი სერიოზულად დააზიანა, რადგან საფუძველი გამოეცაღა იმ სამუშაო ეთიკას, რომელიც ნღების მანძილზე მოთმინებითა და თანმიმდევრულობით, მომღერალს ეხმარებოდა აენყო თავისი ინსტრუმენტი. დაიკარგა სწორედ ხმის ინსტრუმენტალობის გაგება და მას იოლად ჩაენაცვლა სცენურობისა და არტისტიზმის ბუნდოვანი იდეოლოგია, რომელმაც საბოლოოდ გააუცხოვა მსმენელი იტალიური ბელკანტოს მიერ შემოთავაზებული სასიმღერო ენის არარეალისტური, ამაღლებული ესთეტიური კოდების მიმართ.


ისევე როგორც ბგერის პირველადობის შესახებ ანთროპოლოგიური და პოეტური განაზრებები, ანდლულაძის ნიგნში ტექნიკის ესთეტიური და ეთიკური ხასიათის გარშემო აგებული მსჯელობაც კრებულის ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ნაწილია, რადგან იგი გამაგრებულია არამარტო საოცარი ერუდიციით, არამედ არაჩვეულებრივი ენობრივი ფილოსოფიური გამომხატველობითა და, რაც მთავარია, საკითხის ხედვის სიცხადით. რაც შეეხება კონკრეტულად ტექნიკურ საკითხებს, სამეცნიერო კვლევებისა და ძველი ვოკალური ტრექტატების მიმოხილვა შედარებით ზოგადი რჩება. თუმცა გასაგებია ისიც, რომ თითოეულ ასპექტში ჩაღრმავება ნიგნის მოცულობას გაათამაგებდა და გაართულებდა გზას იმ ფუნდამენტური დასკვნებისაკენ, რომლებიც ასეთი ძვირფასია განსაკუთრებით ბგერის დღევანდელი ესთეტიური კრიზისის პირობებში.

საკითხავი რჩება, რამდენად შეუძლია ნიგნს, ისევ და ისევ ზემოთ ნახსენებ მკედარ, მდუმარე ასოს, გახსნას სმენა, აღზარდოს ყური, რადგან, როგორ ნათლად და შთამაგონებლადაც არ უნდა აღწერდეს ნაწერი იმას, თუ რა არის სასურველი, იდეალური ბგერა, იგი მაინც ვერაფრით შეედრება საკუთარი ყურით ნამდვილი იტალიური ბგერის აკუსტიკური სპეციფიკის აღქმას; საკითხავი რჩება ისიც, რამდენადაა შესაძლებელი, დღევანდელი ცხოვრების აჩქარებული რიტმის პირობებში იმ ხუთ და შვიდ წელზე გადაჭიმულ სამუშაო ეთიკასთან დაბრუნება, რომელიც, ყოველგვარი მათემატკურად გამოთვლადი მიზნებისა და დროითი ჩარჩოების გარეშე, ხმას ესაჭიროება, რათა იპოვოს საკუთარი თავი - საკუთარი ტემბრი, სიმყარე, რეალური ნონა. როგორც ადრე, დღესაც უამრავ ყელში ბუდობს ბუნებისგან მომადლებული ლამაზი და ძლიერი ხმა, მაგრამ იშვიათია ის ყური, რომელიც ბუნების ამ ძღვევს სრულფასოვნად გაფურჩქვნაში დაეხმარებოდა, და კიდევ უფრო იშვიათია ხმის, ყურისა და ინტელექტის ის ერთიანობა, რომელიც, როგორც საკუთარი, ისე სხვისი ხმის გამომხმობს სულიერ ძალად იქცევა.



ანდრო ბუაჩიძე

# უცვლელი მეტაფორები



ჯემალ აჯიაშვილი, 100 ლექსი, თბ. „ინტელექტი“, 2013.

ჯემალ აჯიაშვილი სულ სხვადასხვა ვითარებაში მახსოვს. მის არაერთ საღამოს დაგხსნარებოვარ, ლხინის სუფრასთანაც არაერთხელ გვისაუბრია, კოლეგებიც ვიყავით და თანამშრომლებიც, ბიჭვინთის მწერალთა სახლში მთარგმნელთა სემინარსაც ერთად ვესწრებოდით. ფოტოც მახსენდება, სადაც ასევე ერთად ვართ აღბეჭდილნი - მე, ჩემი მეგობარი თამაზ ბაძაღუა და უფროსები - ჯემალ აჯიაშვილი და თამაზ ჩხენკელი. სამწუხაროდ, დღეს არცერთი მათგანი ჩვენთან აღარ არის.

ჯემალის საინტერესო მოსაუბრე იყო. არ უყვარდა მენტორული ტონი და პათეტიკური, თავანუელი საუბარი. თავმდაბლობა და იუმორი სხვათაგან გამოარჩევდა. თუ კარგად დააკვირდებოდი, მის არსებაში აღძრულ ნაღველსაც შეატყობდი და ამოუგებთა ამოუგების შერგონებასაც. სიტყვაუხვი არ ყოფილა, თითქოს ბოლომდე ყველაფრის თქმას ერიდებოდა და დუმილს ამჯობინებდა. არადა, ისიც ეტყობოდა, რომ ბევრს ფიქრობდა და უკვე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი. მისი ყოველი შენიშვნა ან ხანგრძლივი ფიქრის ნაყოფი იყო.

მახსოვს ერთხელ ლიტერატურაზე საუბრისას ერთმა ლიტერატორმა უთხრა: ხოდასეიჩი მაინც ვერ შესწვდება მანდელშტამსო. ამაზე ჯემალმა მოკლედ უპასუხა: „ნუ ვიტყვით ასე“. ეს წყნარი პასუხი ძალიან მომეწონა, არამხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ უკვე ვთარგმნიდი ხოდასეიჩის, არამედ იმიტომაც, რომ ყოველ ნიჭიერ პოეტს თავისი უნიკალური ნიშანი აქვს და ეს სძენს მას მნიშვნელობას. ასეა ხოდასეიჩიც.


ჯემალი ოდნავი წამლერებით წარმოთქვამდა თავის თარგმანებს. მახსოვს მოშე იბნ ეზრას ლექსი: „სებიანო, სებიანო, გალმა ბნელი გუზბიანო!.. მოგირთვია სხვათა მდელი, მოგინარგუზბიანო“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთარგმნელისთვის ბგერწერული ჟღერადობა, ბგერწერულ-რიტმული რხევა, ჟღერადი რითმა ანიჭებდა პოეზიას აზრს. ასეც იყო. ებრაული პოეზიის მისტიკური მუსიკალობა ჯემალის სულის მოძრაობას ემთხვეოდა. ეს მისი გულისცემის, მისი სუნთქვის რიტმი იყო, ამიტომ მისეული დეკლამაცია შთამბეჭდავად გადმოსცემდა ავტორის ღაღადისს.

ჯემალმა ბევრი რამ თარგმნა. ცხადია, ის სრულიად გამორჩეულ პოეტებს თარგმნიდა. მრავალფეროვანია ის სამყარო, რომელიც მისი მეშვეობით ქართულ ენაზე ამეტყველდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დიაპეტრულად განსხვავებული პოეტების თარგმნა თავისებურ სიძნელეს ქმნის. ვთქვათ, ებრაული პოეზიისგან სავესებით განსხვავებულია ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზია. ჯემალ აჯიაშვილის თარგმანი ლექსისა „საიუბილეო“ მართლაც რომ სანიშნუშოა სისადავით და სიმკაცრით, მაიაკოვსკისეული ვირტოზული რითმით, რაც ქართულში ოსტატურად არის გაშლილი და გადმოტანილი.

ჯემალ აჯიაშვილის 100 ორიგინალური ლექსი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სალექსო ფორმის ავტორისეულ ფლობას. ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ ხოლმე იმის თაობაზე, თუ რა ხარისხით ფლობს პოეტს ლექსის ფაქტურას, მის მხატვრულ ინვენტარს. ამგვარი ფლობა პროფესიული დონის მაჩვენებელია. და თუმცა ჯემალი თავის თარგმანებში პროფესიულ ოსტატობას მოჭარბებულადაც ამჟღავნებდა, მკითხველს მაინც გაუჩნდება სურვილი მისი ორიგინალური შემოქმედების იმავე ნიშნით მოისინჯვას.

ჩემი აზრით, ჯემალის ლექსებში მისივე თარგმანებიდან ბუნებრივად გადავიდა ფრაზეოლოგია, მეტყველი რითმა, ღაღადისის ინტონაცია. „100 ლექსში“ თავმოყრილი სონეტები თითქმის იმავე ამოუგებთა ამოუგების განწყობით არის შემფერილი, რითაც ებრაული პოეზია გამოირჩეოდა. მე ისეთი შთაბეჭდილება მარგება, რომ ჯემალი ბოლომდე არ გამოსულა თარგმნილი ავტორების თვალსაწიერიდან, ის თითქოს მიჰყვება იმ ინერციას, რომელ-





საც შუა საუკუნეების და აღორძინების ხანის პოეტები ქმნიან. ასე ვზადავზა იქმნება მისი საკუთარი ლირიკა, სადაც ავტორი ძალდაუტანებლად თამაშობს უკვე თარგმნილი პოეტების ალუზიებით და რემინისცენციებით. ოღონდ ეს მისი განწყობაა, მისი რეალობაა, რომელშიც გარესინამდვილეც ირეკლება და ნიგინიერი სამყაროც. აი, ვთქვათ, პოეტი წერს სონეტს შიშზე. და მაშინვე თავს იჩენს ბიბლიური მოტივები ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიგნობრულ რეალიებს ემპირიული რეალობა გადაენასკვება:

*„შიშით ჩამკვიდრდა კიდურებში ზამთრის სიზანტე,  
შიშმა აოტა კაენიდან მოდგმა აბელთა,  
შიში ჩავითრევს, უმსავსეობას ვიდრე იზამდე,  
და ჯამბაზივით ჩავაოთებს ჩამწყდარ საბელთან“.*

სონეტის ეს სტროფი თავისთავად მეტყველებს იმ სიმბიოზზე, რომელიც ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად არის დამახასიათებელი პოეტი - მთარგმნელებისთვის.

ბორის პასტერნაკი ამბობდა, რომ ორიგინალის მსგავსად, თარგმანი სიტყვიერების ნიმუშის კი არა, ცხოვრების ცხოველყოფილობის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს. ამის მიღწევა ძნელია. ვთქვათ, პასტერნაკის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის ლექსებიდან, ამ ნიშნით ყველაზე გამორჩეულია თარგმანი ლექსისა «ცისა ფერს».

ჯემალ აჯიაშვილის თარგმნილი ებრაული პოეზია, პეტრარკას და მიქელანჯელოს სონეტები ისეთივე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორც მისი ორიგინალური ლექსები. ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით განსხვავება აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. და თუ არსებობს განსხვავება, ალბათ იმ ნიშნით, რომ ებრაული პოეზიის მეტრულ-რითმული სტრუქტურა უფრო მრავალფეროვანი, უფრო ფერადი და პათეტიკურ-ზეანეულია, ვიდრე ორიგინალური ლექსებისა. ეს განაპირობებს არქაული სიტყვების მძაფრ შეგრძნებას და მუსიკალობის უფრო მრავალფეროვან სპექტრსაც. ეს მუსიკალობა, რომელიც საუკუნეების წიაღიდან მოედინება, მთარგმნელმა თითქოს სხვა ინსტრუმენტზე, სხვა, «ქართული ენის ქნარზე» გადაიტანა თუ გადააწყო. რთული ოპერაცია კი მან თავისი პიროვნულ-ინდივიდუალური სულიერი ძალების დაძაბვით შეძლო. ძალისხმევა უპირველეს ყოვლისა ქართული ენის ფლობაში მფლავნდება. მახსენდება პოლ ვალერის ნათქვამი: «მწერლობა სიტყვიერი ხელოვნებაა. უკეთესია ის, ვინც უკეთ ფლობს თავის ენას».

ამ ფლობამ გადამონა ყოველივე, როგორც უკვე ვთქვი, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ჯემალმა უკვე საკუთარ ლექსებში გვერდით გადადო დედენები. მხოლოდ «დედანი» მაინც დაიტოვა - რეალობა, თავისი პიროვნული სამყარო, ბედისწერა და შემოქმედებითი თხზვა განაგრძო. უცნაური ის არის, რომ ფიქრის ინტონაციის აღმქმნელ მჭიდრო ფრაზეოლოგიასთან ერთად ორიგინალურ შემოქმედებაში ამოუბის განწყობაც გადმოვიდა. მინდა მოვიყვანო ერთი ძალზე შთამბეჭდავი სონეტი: «მზის მიწურვისას ეგეოსთან იჯდა

ფილონი, / ცხრებოდა ზღვა და მებლავურებს ტკიბილი და ნავსი/ ხმით იზიდადენენ ჯადოსნური სანაპირონი/ და ანგელოსი ნანაობდა ზურმუხტის ნავში/ სადაფის მთებზე იღვრებოდა უცხო მირონი/ და მგელს, რომელიც სატრაპეზოდ პატარა ფარეში დაესვი, / ცხოვროთან სამმოდ განანყობდა ცა - საფირონი/ და ტყისპირ თიკნებს აძოვებდა პატარა ბავშვი, / მასსოვს სხვა ხილვაც, - აქერონი, კუმტი ქარონი, ქარონის იქით - ნყარონი და სხვა სამყარონი, / ქარი, რომელიც ლევანდებში დღემდე ხორხოცებს, / ოდესმე ამ ზღვას სხვანაირი ჯადოთი კრავდა, / გაუძლო სულმა გამუდმებულ მეტამორფოზებს, - / უცვლელად დარჩა მეტაფორა მგელთა და კრავთა".

ამ სონეტში ავტორი მარადისობას უსწორებს თვალს. მარადისობაში უცვლელია ბუნების მოვლენები - ქარის ქროლვა და ზღვის ლევა, ამ მოვლენათა ხმიერება, ცხადია, ლევანდებშიც არის გადასული და მითებშიც. ბუნება მარადიულია და უცვლელი, კულტურას კი ადამიანი ქმნის და ამიტომაც ცვალებადია. ცვალებადია თვითონ ადამიანიც, რომელიც კულტურის ნიაღში ცხოვრობს. განსხვავებულია, ვთქვათ რენესანსის ადამიანი შუა საუკუნეების ადამიანისგან და ა.შ. მაშასადამე, არსებობს მეტამორფოზები („გაუძლო სულმა გამუდმებულ მეტამორფოზებს“), მაგრამ პარადოქსთა სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ის, რომ ამავე დროს არსებობს კულტურის უცვლელი გამოხატულებები. ასეთია, ვთქვათ, მეტაფორა „მგელთა და კრავთა“. მართალია, ეს მეტაფორა სხვადასხვა დროშია გამოყენებული და ცვალებადია კონტექსტი, მაგრამ თვითონ მეტაფორის შინაარსი უცვლელია. ჯემალ აჯიაშვილის სონეტიც ამ პარადოქსულ ვითა-

რებაზეა აგებული: კულტურის ნიაღში კონკრეტული მეტაფორის უცვლელიაზე.

100 ლექსად გამოცემული სონეტები ერთ რომელიმე ისტორიულ ეპოქაზე, ძეგლზე ან წერილობით პირველწარზე არ არის მიჯაჭვული. არც შეიძლება რომ იყოს, რადგან ასეთი გარშემოწერილობა ორიგინალური შემოქმედების გახსნილობას შეაფერხებდა. როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ჯემალმა ებრაული პოეზიაც კი თავის „ხმის ტემბრს“, თავის ქართულ ფრანკოლოგიას, ქართულ ენას, „ქართულად სტრუქტურირებულ“ სამყაროს შეუთანადა და, მითუმეტეს, შეუძლებელი იქნებოდა ორიგინალურ შემოქმედებაში ისეთი საზღვრები დაენუსებინა, რომელიც ლირიკულ გზნებას და საძირაობას შეზღუდვდა. იქნებ ეს ზოგადი განსაზღვრება იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: სონეტების ციკლში პოეტი ფიქრობს მარადიულობაზე და იმ წარმატებით დროის მონაცვეთზე, რომელიც განგებას განუნუნესა ადამიანს.

ჯემალ აჯიაშვილის სონეტებში ბიბლიურ-ფილოსოფიურ რეალიებს ორგანულად ეთავსება საქართველოს ისტორიის რეალიები. ამ ციკლში რუსთაველის და გურამიშვილის პერსონაჟებიც წარმოჩნდებიან. მრავლისმეტყველია ტოპონიმიკაც - ქალდეა, ითაკა, ფაზისი, მარტვილი, ქუთაისი, კარაღეთი და ა.შ. მაგრამ მთავარი მაინც პოეზია - ისტორიის გადასახეზე მდგარი ადამიანის დამნახველი თვლი და მისი ღრმა განცდა.


საბოლოოდ შემიძლია ერთი რამ ვთქვა: ჯემალ აჯიაშვილის მოგვიანო პერიოდში შექმნილი ორიგინალური შემოქმედება მისივე უაღრესად საინტერესო მთარგმნელობითი შემოქმედების უშუალო პირმოთა, მის ქურაშია გამოწონობილი.





## ზურაბ კალანდაძე

# პოეტის ავტობიოგრაფიები



გაგა ნახუცრიშვილი, სტროფი, თბ. „სიესტა“, 2013.

პირადად ჩემთვის, ე. ი. ადამიანისთვის, ვინც საკმაოდ კარგად იცნობს გაგა ნახუცრიშვილის შემოქმედებას, გარკვეული სიახლე იყო მისი ციკლი „სტროფი“. ლექსების ეს კრებული დიდი სისადავით, პოეტური აზრის ორიგინალობით და ხშირ შემთხვევაში პარადოქსული ფინალებით არის გამორჩეული. „მეუბნები,/ რომ შევიცვალე,/ ალბათ ასეა,/ მე უსასრულო/ ლამეებმა/ ნელში გამტეხა,/ მზის მცხუნვარებამ/ გამომფიტა/ და გამომაშრო,/ წვიმამ დამაზრო,/ დამაჭაბო,/ თოვლმა და ქარმა, / ამომიგოს სული სიცივით/ და შევიცვალე,/ რომ მეცხოვრა/ უფრო სხვაგვარად,/ რომ ყველაფერი/ თავიდან და ახლად დამწყო,/ ამ ქვეყანაზე ცვლილება/ მხოლოდ უცვლელი.“

ცვლილება რომ უცვლელია, ეს უკვე პარადოქსული სენტენციაა და ამავე დროს ფინალური აკორდი. ადამიანი მართლაც ცვალებადია, მაგრამ აქ საუბარია იმ ცვლილებაზე, რომელიც გადარჩენის საშუალებას აძლევს დასალუჟად განწირულ მსხვერპლს. ლირიკული პერსონაჟი გვეუბნება იმას, რომ ყოველი ჩვევანი (თუმცა ის ლექსში თავის თავს გულის-

ხმობს) ერთგვარ ჩაკეტილ წრეში ტრიალებს - კრიზისიდან კრიზისამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრიზისი აღწევს უკიდურესობას, იბადება სურვილი ახალი ცხოვრების დაწყებისა და იწყება ახალი ცხოვრება, რომელიც „ბოლოს“ ახალ კრიზისს აღწევს. მერე ხელახლა დგება უკიდურესობისა და ა.შ. და ა.შ. ასე რომ, როგორც ერთმა მოაზროვნემ თქვა, ადამიანის ცხოვრება ერთი გაბმული კრიზისია.

არსებობს გამოთქმა - ისტორია მუდამ თავიდან იწერება. ასეა ადამიანის ცხოვრებაც. თავისი სიცოცხლის რომელიღაც ეტაპზე ადამიანი გადახედავს უკვე განვლილ უამრავ ყველაფერს განსხვავებულად აფასებს და, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის მუდმივი კრიზისის არსებობის შესახებ, მაინც სურს უკან დაბრუნება რაღაცის შეცვლის გამო. „და მინდა მხოლოდ,/ რომ შევქმდეს უკან დავბრუნდე,/ ვცაღო მაინც/ რამის შეცვლა,/ სხვა გზის მიგება,/ რომ თუნდაც ერთხელ,/ ვინმე მაინც გადავარჩინო./ მხოლოდ ყრუდ მტკივა/ და დაბრუნება/ არის უკვე/ შეუძლებელი“.

მიუხედავად მუდმივი კრიზისულობისა, როგორც უკვე ვთქვით, პოეტს მაინც აქვს სურვილი „ახლიდან დაწეროს თავისი ცხოვრების ისტორია“. მას სურს უფრო ღრმა შინაარსი შესძინოს თავის ცხოვრებას, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია. ამიტომაც ამბობს პოეტი: „მალე ორმოცის შეესრულდება... უკაცრავად, თუ დაუდევრად გავფლანგე წლები“.

პოეტი ის ადამიანია, ვინც თავის ბედისწერას „იკვლევს“. გაგა ნახუცრიშვილი წარსულზე ფიქრობს, ცდილობს ისეთი ნაკვალევის შემჩნევას, რომელიც უცხო თვალისთვის დაფარულია და მხოლოდ მისთვისაა მისაწვდომი და დასაწახი. იქ, სადაც წარსულის ძიებაში ანალიტიკური საწყისი ჭარბობს, თავისუფალი ლექსის ფორმას ანიჭებს უპირატესობას, სადაც განწყობა დომინირებს, კანონიკურ, ტრადიციულ ლექსს იძველიებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სპონტანურად ხდება, სათქმელის „მოჩხრეკას“ და აღძვრას ფორმის ძიების პროცესიც ახლავს. ეს ორი მომენტი ერთმანეთისგან განუყოფელია.

შთაბეჭდები გამოდგა მცირე ზომის ლექსები, რომელთაც პოეტმა პირობითად „სიზმრის ვერლობები“ უწოდა. „იესო ვანახე, თოდნ სიზმრად,/ ვეტოსტოპზე.../ და მას არავინ უჩერებდა, სულ არავინ, არც სიზმარში“. ეს მცირე „პოეტური განჭყერტები“, როგორც ყოველთვის, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ამბობს. აქ ფორმამ განწყობა და მდიდრტაცია ერთ ფოკუსში უნდა მოაქციოს. ამის მოხერხება უბრალო საქმე არ არის. სიტყვების მინიმალური რაოდენობა დაუშთავრებლობის შთაბეჭდილებას ქმნის, დაუშთავრებლობა რაღაცის უთქმელობაა და სწორედ ეს უთქმელობაა ამ შთავარი, რადგან, რაც არ ითქმება, ის იგულისხმება. „სიზმარში თოვდა/ თეთრად კი არა,/ უფეროდ თოვდა,/ დედა-

მინაზე სურდა მოსვლა/ ვერ ასწრებდა,/ ცაში დნე-  
ბოდა./ ამ ლექსში მართლაც ყველაფერი ითქვა. «ყვე-  
ლაფერი» ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რასაც ლექს-  
ისი დანერამდე გრძნობდა და განიცდიდა პოეტი.  
ჩემთვის განსაკუთრებით შთაბეჭქდავია სიტყვები:  
„თერადა კი არა, უფეროდ თოვდა“. მიჭირს იმის  
თქმა, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები, მაგრამ ეს  
„უფერობა“ აღქმული მაქვს და დამახსოვრებული.  
ეს მომენტი ჩემი მეხსიერებიდან ჩემს წარმოსახვა-  
შია გადმოსული და აღბეჭდილი. ამიტომაც ლექსის  
ნაკითხვისთანავე ცოცხლდება და ვიზუალურ ელ-  
ფერს იძენს. ამის შემდეგ კი მოდის უალრესად სვე-  
დიანი სტრიქონები: „დედამინაზე სურდა მოსვლა,  
ვერ ასწრებდა,/ ცაში დნებოდა“. ეს არის ყოველივე  
იმის წაადრევი კვდობა, რამაც სიცოცხლის ნაპერ-  
კლად გაიღვლა და იმწამსვე გაქრა. არსებობს ასეთი  
სიცოცხლეც და პოეტს იმის თქმა სურს, რომ ასეთ  
გაელვებასაც სიცოცხლე ჰქვია.

მე მჯერა გავა ნახუცრიშვილის, როდესაც ის  
ამბობს: „არ მეშინია,/ არც სიბერის/ და არც სიკე-  
დილის,/ ალბათ, ცოტა მეშინია/ მე მარტოობის“.  
მარტოობა მძაფრად არის გამოხატული წიგნში  
„სტროფი“, ოღონდ ეს მარტოობაც თავისებურია.  
ეს იმ კაცის მარტოობაა, ვისაც აქვს თავისი წარსუ-  
ლი და ბედისწერა. და კიდევ ერთი რამ: ეს კაცი  
თვითონვე კითხულობს, თუ შეიძლება ითქვას, წარ-  
სულის პერგამენტზე დაწერილ ბედისწერას. მას  
აღარ სურს ვრცლად საუბარი და სიტყვაძეუნნი პო-  
ეზიის ენას იმელებს. ეს ყველაზე რთული გზაა  
პოეზიაში.

გავა ნახუცრიშვილი ფაქიზი ფერებით წერს პე-  
იზაჟს და ამ პეიზაჟში ყოველთვის არის „ადამიანის  
სახის“ შტრიხი: „მზეს ზღვაში ჩასვლა თითქოს რცხვე-  
ნია,/ თითქოს დაკარგა სახეზე ფერი,/ და განშორე-  
ბაც არაფერია,/ მერე შეხედრა უფროა ძნელი“.

გავას ლექსს გამოარჩევს უბრალოება, ზოგჯერ  
უკიდურესობამდე მიყვანილი სისადავე. როცა რა-  
ღაც ძალიან გტკივა, იმის თავი აღარა გაქვს, სამკა-  
ულებზე იფიქრო. თუმცა ის მბინც „წერს“ ლექსს.  
ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, აკვირდება თავის  
საოქმელს და გზადაგზა უკვე ნათქვამს შეძლების-  
დაგვარად პლასტიკურ ფორმას აძლევს.

ნიგნი „სტროფი“, ჩემი აზრით, ფორმის ძიების  
წიშნით არის აღბეჭდილი. თუმცა მინდა ვთქვა: გავა  
ნახუცრიშვილი ისე ეძებს საოქმელის გამოხატვის  
ყველაზე უკეთეს ვარიანტს, რომ მკითხველს არ  
ანუხებს. უფრო უბრალოდ ვიტყვი: მკითხველი ვერ-  
ცკი ამჩნევს მის ლიტერატურულ ძიებას, ყველაფე-  
რი ბუნებრივად ხდება.

და რადგან ბუნებრიობაზე და სინაღდეზე ჩამო-  
ვარდა საუბარი, არ შემიძლია აქ არ მოვიყვანო ერ-  
თი ბრწყინვალე ლექსი, რომლის ნაკითხვამაც შემძ-  
რა: „სათაურს ვეძებ და ვერ დავარქვი,/ წიგნს... ეს  
ძალიან დიდხანს მინდოდა.../ ვერ დავიბრუნე ჩემი  
ქალაქი,/ ვერ მოვიშორე უამინდობა./ გამოვასწორე  
თითქმის ხარვეზი,/ შეცდომა ძველი, მძიმე, უძირო,  
სარკიდან თავი მიმზერს ამრეზით,/ პატივმოყვარე,  
ბრიყვი, უძილო./ გამოვიფიქტე, თენდება გარეთ,/  
მეც გარეთ გავალ, სახლში ვმარცხდები,/ და თუ  
არავინ გამოიღებს კარებს,/ მიმასპინძლებენ ცა და  
ცაცხები“.

არაერთხელ უთქვამთ, ზოგჯერ ერთ ლექსში ამა  
თუ იმ პოეტის მთელი პოეზიაა ჩატეულიო. არის ამ  
ნათქვამში სიმართლის მარცვალი, და შეიძლება გა-  
გას ციტირებული ლექსიც ამის დასტური იყოს, მაგ-  
რამ არ მეთმობა სხვა ლექსებიც, ყველგან არის ისე-  
თი შტრიხები, რომლებიც პოეტის სახეს მრავალფე-  
როვნებას სძენენ და მას სხვაგვარად წარმოაჩენენ.  
ეს კი უკვე პორტრეტი, უფრო ზუსტად, - ავტო-  
პორტრეტი.








ჯაბა მარქუა

# არადეგენერატიული საკითხავი



ლაშა მილორავა, «დეგენერატივის ქალაქი», ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013.

„ის კვირა ცა სტაბილურად რუხი იყო - თითქოს წვიმას აპირებდა, სინამდვილეში კი ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა. როცა, ცის შემხედვარე, შფოთი გიპყრობს, მინიდან კარგს არაფერს უნდა ელოდო“, - არც მინიდან და არც წვიმიდან, რომელიც დასაწყისიდანვე ამგვარად გაფრთხილებს, დეკამეტრები მე. და მართლაც, ლაშა მილორავას ახალი მცირე რომანი «დეგენერატივის ქალაქი», რომელიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა, საშინელებათა უჩინარ მიეკუთვნება, კერძოდ კი - ზომბი-სთორია მკაფიო სოციალური აქცენტით.

ამ ბოლო ხანებში ჩვენთან საკმაოდ პოპულარული გახდა ერთგვარი მცირე რომანების წერა. ტექნიკური თვალსაზრისით თუ განვსაზღვრავთ, მცირე რომანი საშუალო ზომის მოთხრობაზე დიდია და საშუალო ზომის რომანზე პატარა, რაც უფრო პრაქტიკულად მეჩვენება. დღევანდელი ჩვენი სამკითხველო

კულტურიდან და თბილისის ქუჩების გადატვირთული და დაცობილი მოძრაობიდან გამომდინარე, მსგავსი ჯგუბის წიგნების გამოცემას პრაგმატული თვალთაც შეგვიძლია შევხედოთ. იზრდება ქალაქი და ჩვენც მეტი დროის გატარება გვინევს ტრანსპორტში. ფანჯარაში კი იმაზე საინტერესოს ნამდვილად ვერაფერს დაინახავთ, ვიდრე «დეგენერატივის ქალაქში» ხდება, ამიტომ ვიკითხოთ, რატომაც არა? ერთ-ორ გზაზე აუცილებლად გვეყოფათ ეს წიგნი, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავითრიათ და სამსახურის დროც არ ნაგართვით, რაც ჩემი პროგნოზით სავსებით მოსალოდნელია. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ეს იდეალური ჯგუბის წიგნი იქნებოდა, რომ არა ერთი, ჩემთვის ამოწმებული დაბრკოლება - წიგნის ფასი. არ ვიცი რა მიზეზული ჰქონდა გამომცემლობას, როდესაც წიგნის საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავდა, მაგრამ ფაქტია რომ 7,90 ლარი მსგავსი წიგნისთვის არაადეკვატურად ძვირი ჩანს და დარწმუნებული ვარ ბევრ მკითხველსაც დააკარგვინებს ავტორს, რომელიც ვერ იმდენად ცნობილი არაა, რომ მისმა სახელმა და ავტორიტეტმა ნებისმიერი ფასი გადაახდევინოს ერთგულ მკითხველს. არადა, ეს საშინუბაროა, რადგან «დეგენერატივის ქალაქი» მასობრივი მოხმარებისთვის განკუთვნილი ხარისხიანი პროდუქტია, ხაზს ვუსვამ სიტყვას - «ხარისხიანი».

ქართველი მკითხველები უანრული პროზის მრავალფეროვნებით განებივრებულები ნამდვილად არ ვართ. ჩვენთან რატომაც ერთდებიან სამეცნიერო ფანტასტიკის, ჰორორის, ფენტეზისა და სხვა უანრული ნაწარმოებების წერას, არადა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ უანრული პროზა განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ პოპულარულია და ლიტერატურული პროცესის შემადგენელ საბაზო ადგილსაც იკავებს. თუმცა განვითარებული ქვეყნების სტატისტიკა ჩვენთან რა მოსატანია ისე. ამ არცთუ სახარბიელო ვითარებიდან გამომდინარე, უანრული პროზის ყოველი კარგი ნაწარმოები, პირადად ჩემს ადურთოვანებას იწვევს და სხვისი კი არ ვიცი. ახლა ალბათ იტყვიან, რა აუცილებელია ეს უანრული პროზა, დიდი ამბავი თუ არ გვაქვსო საერთოდაც. ამაზე მოგახსენებთ, რომ უანრული პროზა თამაშობს ერთგვარი კარბოქის როლს, რომელიც ლიტერატურის ჯადოსნურ სამყაროში გიტყუებთ. არა? კეთილი, გაისხენით ბავშვობაში რომელ წიგნებს კითხლობდით გატაცებით, სანამ სტაჟინი მკითხველად ჩამოყალიბდებოდით და თუ მათ გრძელ უფულ ვერნზე მეტად ვაჯობს ფოქის ამ მარსელ პრუსტი დგას, მაშინ გილოცავთ - თქვენ ალბათ მათი პირდაპირი შთამომავალი ხართ და ჯერ არ იცით, გენეტიკა კი თავისას გიმგრეობთ ამ დროს.

ლაშა მილორავას სადებიუტო ნაწარმოები გახლ-

დათ „ბაბუა ბუკოვსკი“, რომელზეც „არილის“ ფურცლებიდანაც გვისაუბრია და კარგი ბევრი არაფერი გვითქვამს. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ალბათ ხვდებით, როგორი განწყობით დავიწყებდა „დეგენერატების ქალაქის“ კითხვას, რომელიც პირველი ნიგნის გამოვლიდან მალევე გამოვიდა. სექსტიკურად ვუყურებდი ახალგაზრდა, დაუოკებელი მწერლის მსგავს პროდეუქტიულობას და მეტყვეობდა რაიმე ზრდის ტენდენციას შემენიშნა, თუმცა მაღლობა ღმერთს, რომ ჩემი სკეფსისი ბოლომდე გაცამტვერდა ნიგნის ნაკითხვის შემდეგ. ნიგნის სტრუქტურა იმდენად დახვეწილი და შეკრულია, რომ ბარე ორი ლოკალური ბესტსელერი მოაწერდა ხელს.

უპირანი იქნება ერთგვარი მოთხოვნები ნამოკვეყნო ჯიბის ნიგნის ფორმატის ჰორიზონტ-ნანარმოვებების მიმართ და ლაშას ნიგნიც მსგავსად განვიხილოთ. ის უნდა იყოს აუცილებლად დინამიკური და მერწმუნეთ, დინამიკა ვვერდების რაოდენობასთან პირდაპირ კორელაციაში არ არის - შეიძლება იყოს პატარა ნიგნი, მაგრამ არ იყოს დინამიკური და ვერაფრით ართმევდე თავს მის კითხვას. უნდა ჰქონდეს დაბინძურებული დასაწყისი, ჩამთრევი შუაწელი და ფეფქტური ფინალი. არ უნდა იყოს გავლელი და ყველა სიტყვა თუ მოქმედება თავის ადგილზე უნდა იდგეს. ამბავი უნდა იყოს დასამახსოვრებელი. ჩამოთვლილი მოთხოვნები ლაშას ნიგნმა აბსოლუტურად დამიკმაყოფილა.

ნიგნი ეკითხება ძალიან სწრაფად და არა იმიტომ, რომ პატარაა, არამედ იმიტომ, რომ კარგად არის დაწერილი. ეს „კარგი“ ნიშნაც შემდეგ: არ არის ზედმეტ პერსონაჟები, რომლებსაც ავტორი თავს ვერ გაართმევდა და ბოლომდე ვერ დახატავდა, არის დამინტრიგებელი ისტორია, არჩეულია თხრობის საინტერესო რაკურსი. სულ სამი მთავარი გმირია, რომელთა ურთიერთობაშიც საინტერესო ამბები ხდება და რომლებიც დამაკმაყოფილებლად არიან აღწერილები. თვალში მომხვდა ავტორის მცდელობა, რომ მისი გმირები ყოფილიყვნენ ლინგვისტურადაც განსხვავებულები, თუმცა ეს მიზანი ბოლომდე ვერ შესრულდა. „ბაბუა ბუკოვსკიშიც“ ცდილობდა ავტორი იმავეს და იქაც არ გამოვიდა. ჩემი აზრით, ავტორმა ფსონი ამაზე არც უნდა დადოს, ვიდრე სრულიად უმნიშვნელო დეტალია და არის საფრთხე, რომ კონტა სიუჟეტი ზედმეტად გადატვირთოს. სიუჟეტი კარგია, ბოლო-ბოლო ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენ სამამულო ზომბი-სთორის გაისხენებზე? მგონი, ვერც ერთს. ამიერიდან შეგძლება ერთ მაინც გაისხენოთ, ვინმე თუ შეგვიკითხებათ. ვირუსით ტვინდევრადირებული ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან, მრავალდებიან, ყველაფერს ედებიან და რამდენიმე გმირი ცდილობს გადარჩენას, ქალაქი განადგურების საფრთხის წინაშე დგება - ღმერთო, ეს ხომ ბევრს აინტერესებს! ეს ხომ გვაკლია ქართულ ლიტერატურაში, ჰოდა, რატომაც არა? მომეწონა ავტორის პოზიციონირებაც - ის სამი გმირის ზურგს უკან იმავეს და მათი პირიდან ცდილობს მოვლენების ჩვენებას, რაც მეტ შრომას მოითხოვდა, თუმცა, ფაქტია, რომ ავტორი ამ შრომას არ მორიდებდა და ამოცანას დამაკმაყოფილებლად გაართვა თავი. რა საჭიროა ეს? სტრუქ-

ტურას ამრავალფეროვნებს და ალამაზებს, რაც ზედმეტი არასდროს არაა და მკითხველის პატივისცემაზე მეტყველებს, როგორც მინიმუმ. ასევე სიუჟეტური ექსპერიმენტისთვისაა მიდრეკილებაზე, რაც ასევე საინტერესოა.


ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, ნიგნს ორიგინალურობა ერთი მცირე შტრიხიც სძენს - ფაქტია, რომ ზომბი-სთორით დღეს ვინმეს გაკვირვება რთულია. ერთგვარი უანრული ყალიბიერება, სტანდარტული. ჩვენთან არაა, მაგრამ უცხოელებთან ფილმებსა თუ ნიგნებში თუ ვიდეოთამაშებში რამდენჯერ და რა კონტექსტში არ შეგვხვედრიან ზომბები, თითქმის ყველა სიუჟეტი ნაცნობი და მისაღებია თანამედროვე ახალგაზრდისთვის. თუმცა ეს ნიგნი ერთ რამით განსხვავდება კლასიკური ზომბი-სთორისგან და ეს რაღაც საათაურიდანვე ჩანს - ზომბი არსადაა ნახსენები და ის შეცვლილია სიტყვით „დეგენერატი“. თითქმის უმნიშვნელო ცვლილებაა, რადგან არსით ზომბიცა და დეგენერაციც ერთი და იგივეა. მეტიც, დეგენერაცია უუგანვითარებას ნიშნავს, სიუჟეტის მიხედვით კი ტვინის უუგანვითარებაზეა საუბარი. თუმცა „დეგენერატს“ მეორე მნიშვნელობაც აქვს გარდა პათანატომიურისა - ის ხომ არსახარბიელი ინტელექტუალური მონაცემების პატრონების და მკანინებელი ეპითეტურაცაა? - რა თქმა უნდა. ავტორმა პოზიტივაციაზე აღნიშნა, რომ ჰქონდა სურვილი რუსთავისთვის მიეძღვნა ნანარმოები და აი ისიც, მიუძღვენიო. და არა მარტო რუსთავი, არამედ უმეტესობა ქართული ქალაქებისა, დეგენერატების ქალაქად შეგვიძლია აღვიქვათ. ვილაცა დადათანხმევა, ვილაცა - არა, ზოგი შეიძლება გაღიზიანდეს კიდევ, თუმცა ეს ყველაფერი უმნიშვნელოა. მთავარია, რომ ამ მცირე შტრიხით, ავტორმა თავის ზომბი-სთორის მკაფიო სოციალური აქცენტები შესძინა და ნანარმოები ერთ დიდ სატორულ მეტაფორადაც აქცია. არ შემიძლია ისევ არ ვახსენო „ბაბუა ბუკოვსკი“, რომელიც მოწოდებული იყო სატორული ნანარმოებად. მინდა სრული პასუხისმგებლობით ვთხროთ, რომ „დეგენერატების ქალაქი“, რომელიც უმნიშვნელებათა უნარს მიეკუთვნება, ნებსით თუ უნებლად ბევრად დახვეწილი სატორია, ვიდრე ავტორის სადებიუტო ნამუშევარია.

დასასრულისთვის, ვაი-მკითხველთა ერთი მეტად სპეციფიკური კატეგორია მინდა ვახსენო, რომელიც დაახლოებით ასე ფიქრობენ: „საიფიო, ჰორილი და რაღაცეები რა მოსახტანია ნამდვილ ლიტერატურასთან, მავათ რა მაკითხებს თუ ძმა ხარ, ბავშვი ხომ არ ვარ“. ახალგაზრდა ქართველ მწერლებს დიდი შრომის განება მოუწევთ, რომ ეს მყარად გამჯადარი სტერეოტიპი დაახლოონ და დაუმტკიცონ გავუცნობიერებელ მკითხველს, რომ ისინი ცდებიან და კომოვებით აზროვნებენ. კომოვების გრგვავა კი ილია ნამდვილად არ ვახლავთ - დიდი დრო, ბევრი შრომა და მეტი ახალი ავტორი სჭირდება ამ საქმეს, რომელთა რიცხვში მოხვედრასაც ვუსურვებდი ამ ნიგნის ავტორს, რომელიც ყველაზე იმედისმომცემი მაინც ზრდის დინამიკაა - ეს ნიგნი ბევრად სჯობს პირველს, იმდენად, რომ შედარებაც არ შეიძლება. დაველოდით მის მორიგ ნანარმოებს და იმედი ვიქონიოთ, რომ ზრდა შეუქცევად პროცესად იქცევა.



### ზაზა ციციშვილი

# ცხოვრება ჩვენს ზევით



სტივენ კინგი, უძილობა, ინგლისურიდან თარგმნა ხათუნა ბასილაშვილმა, თბ. „ლიოგენი“, 2013.

„მკვლელობა ცისფერია - გაიფიქრა რალფმა“

15 წლის მოზარდს მანქანა დაარტყამს და ადგილზე მოკლავს სწორედ მაშინ, როცა ბავშვი ქუჩაზე გადავარდნილი ბურთის ასაღებად დაიხრება. ახალგაზრდა და ნიჭიერი, ჯან-ლონით აღსავსე სტუდენტი ბრმა ტყვიის მსხვერვალი გახდება, რომელიც გამოცდილი კრიმინალისთვის იქნება განკუთვნილი. საპირისპიროდაც ხდება, როდესაც გასაფრენად გამზადებულიები აღმოვაჩნეთ, რომ ბავშვობის მეგობარმა ცოლი მოიყვანა, რეისს გადავდებთ და ნაბახუსევზე შევიტყობთ, რომ თვითმფრინავი დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩასულა და სადაღაც შუაგულ ოკეანეში ჩამოვარდნილა. კაცობრიობის ცხოვრება სავსეა შემთხვევითობებით, რომლებიც ზოგჯერ ტრაგიკულია, ზოგჯერ კი პირიქით. ამ ყველაფერს ლოგიკური ახსნა არ მოიძიევენა. ხშირად გვიჩნდება განცდა, რომ იქ, ზემოთ, ვიღაც ზის რბილ სავარძელში, ჯოისტიკები აქვს მომარჯვებული და ჩვენით თამაშობს. ცუდია, რომ ამ თამაშში, კომპიუტერული თამაშებისგან განსხ-

ვავებით, მხოლოდ ერთი სიცოცხლე გვაქვს. შემთხვევითობები ცვლიან ისტორიას. კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა ყველაფერი, ჰიტლერი რომელიმე ტერაქტის დროს რომ მოეკლათ, მანამ, სანამ ბუნდესტაგში ტრიუმფით შეაბიჯებდა, ან ჩეკმენს რომ სელინჯერი არ წაეკითხა, ან სულაც 1999 წლის 19 ივნისს სტივენ კინგი ავარიას ვერ გადაარჩენოდა. ამ ბოლო შემთხვევაში ერთი იმის თქმა შეგვიძლია ზუსტად, რომ „უძილობის“ ნაკითხვას მაინც შევძლებდით, შეიძლება მეტი გატაცებითაც კი.

შემთხვევითობები არანაირ კანონზომიერებას არ ემორჩილებიან. ჩვენი გონება ვერ სწვდება ათასი უაზროდ ტრაგიკული მოვლენის არსს. კითხვა „რატომ“ პასუხგაუცემელია და ასეთადაც დარჩება ალბათ კიდევ კარგა ხნის მანძილზე. გვიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ სიგარა უბრალოდ სიგარაა და მეტი არაფერი, აუცილებლად უნდა იყოს რამე მიზეზი ამ ყველაფერის საფუძველში. ჩვენი ტვინი სხვაგვარად ვერ მოისვენებს. სტივენ კინგის გონებაშიც ვერ მოისვენა, როგორც ჩანს, და დაანერჩნა „უძილობა“, რომელიც ქართულ ენაზე 2013 წელს გამოიცა გამომცემლობა „ლიოგენი“ (მთარგმნელი: ხათუნა ბასილაშვილი). წიგნში 921 გვერდის მანძილზე განუწყვეტელი ჭიდილია სიკვდილსა და სიცოცხლეს, ბრმა შემთხვევითობასა და იდუმალ განზრახვას შორის.

მასხოვს, ბავშვობაში ღრმად დარწმუნებული ვახლდით, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო ჩვენს თავს. კინგს რომ დავესესხო, „იდუმალი განზრახვების“ მნამდა, ოღონდ ცოტათი სხვა ფორმით, ვიდრე ეს წიგნშია ნახსენები. მჯეროდა, რომ ქრისტე კაცობრიობას არ გვევებოდა და პერიოდულად განსხეულდებოდა ხოლმე დიდ ადამიანებში და მათი ხელით ცვლიდა კაცობრიობის ისტორიას, აყენებდა მას „სწორ“ გზაზე. ისიც მასხოვს, რომ ჩემმა „თორიამ“ ჩემი მღვდელი მაინცდამაინც ვერ აღაფრთოვანა, არადა, როგორი გახარებული ვიყავი ქვმარიტების შეცნობით... მას მერე ეკლესიაში სიარულსაც დავანებე თავი და ინფანტილური თორიების შეთხზვასაც შევეშვი, მაგრამ ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი კინგის „უძილობაში“ ისევ ამომიტყვივია. ვითომ რატომ არ შეიძლება, რომ იქ, ზემოთ, ვიღაც ან ვიღაცეები ცდილობდნენ ჩვენი ცხოვრების წარმართვას. ცხადია, სჯობს, რომ გვევლოდეს, თითქოს თვისუფლები ვართ თავიდან ბოლომდე, მაგრამ სანამ „ზედა დონეების“ არარსებობა არ დადასტურდება ობიექტური მონაცემებით (და ეს როდის მოხდება, ან მოხდება თუ არა ოდესმე, იაპონელებმაც არ უწყინა ალბათ), მანამდე არცერთი თეორია ბრმა შემთხვევითობებისა და იდუმალი განზრახვების შესახებ ბოლომდე უაზრო არ იქნება, მხატვრული ლიტერატურის კონტექსტში მაინც.





გი არაფერმა გამოიღო, ცხადია. რაღვმა მიაღწია კრიზისის პიკს და ის-ის იყო უნდა გამტყდარიყო და განადგურებულიყო, რომ კრიზისის მიღმა გამოჩნდა ახალი ცხოვრება, ახალი რეალობა - ჰიპერრეალობა! რაღვს გაეხსნა ახალი და უნიკალური შესაძლებლობები, რამაც არა მარტო მისი, არამედ დერის მოსახლეობის ცხოვრება შეცვალა და პრინციპში, რატომ მარტო დერის? ნიგნის ისეა უძილობის განვითარების დინამიკა დახატული, რომ სწორედ მსგავსი განცდა გრჩება ბოლოს - იქნებ ძლიერ მართლა დამბარკოლებელი ჩვენი განვითარების გზაზე, იქნებ ძილის გერუმე იქ, ზემოთ ავიდეთ ჩვენც და იქნებ ძილი სწორედ იმისთვის დაგვაბედეს, რომ უდავლო ადვილას არ შეგვეყო ცხვირი, იქნებ ჰიპერრეალობაში... (მომარბულეთათვის აღნიშნულ ფიქრებს მიყოლა რეკომენდებული არ გახლავთ).


ჰიპერრეალობა და ცხოვრებისეული იერარქიის ზემო საფეხურებზე ასვლა კი კარგია, მაგრამ იქ ვინ დაგვხვდება? გვიფიქრია არამინიერ არსებებზე? წარმოგვიდგენია როგორები შეიძლება იყვნენ ეს ზოგჯერ უღმობელი, ზოგჯერ კი მოწყალე არსებები, რომლებიც ჩვენზე მაღლა დგანან და ბუდავს, რომ ჩვენი ზედით ითამაშონ? ბეერი ფილი გექნებათ ალბათ ამ თემაზე ნანახი ან ბეერ სამეცნიერო ფანტატიკურ რომანში შეხვედრითი პერსონაჟები ჰიპერრეალობიდან, პარალელური სამყაროებიდან და ა.შ., მაგრამ მეექვსეა რომელიმე მათგანი ყოფილიყო პატარა მელიორი ექიმი. ეს მახინჯი და ცოტათი სასაცილო არსებები კლვანთ თურმე ჩვენს ზემოთ, რამხელა ცინიზმა! ჯოტო, ლახესისი და ატროპოსი დები იყვნენ ძველი ბერძნული მითოლოგიიდან, რომელთაგან ერთი ადამიანთა ცხოვრების გორგალს ახვევდა, მეორე ზომავდა და მესამე მარკატლით ჭრიდა მას. კინგის ქალღმერთები კი უსქესო და მახინჯი, დაბალი, მელიორი ექიმები არიან, რომელთაც თითქმის ისეთივე ფუნქციონირა აქეთ, როგორიც ოლიმპოელ დებს ჰქონდათ. ამ სამივედ ყველაზე «ცუდი» და ამპოზუნენი მაინც ატროპოსია, რომელიც ბრმა შემთხვევების მესაჭეა და უფრო ადამიანური ტრაგედიების გასაღები უწყინა ხელთ, რაღა გასაღები - სკალპელი. თუ თქვენ გვერდით მოხუცი ნაიქცევა, ბორდიურზე ეკვფა ჩამორტყამს და გონდაკარგულს მანქანა გადაუღუესს, გასცხადეთ, რომ აქ საზოგადოებრივი ატროპოსის ხელი ურევია. ბეერს ვფიქრობდი, რატომ არჩია კინგმა მაინცდამაინც დაბალი მელიორი ექიმების სახე. იმავე ლოკაით ხომ შექცია ეს სამედიკო მაღალი სუნიან მეთეფეხებად, მაგრამ არა - მაინცდამაინც დაბალი მელიორი ექიმები. ეს იმდენად კარგი მამეტრული სახეა, რომ თავიდან ალბათ არასდროს ამოგვიარდებათ. თუმცა ეს არ უნდა იყოს მისი არჩევანის მიზეზი. დიდ ალბათობით, მათი შექმნის მოტივი უბრალო შემთხვევითობა ან ძალიან ასუბიექტური ავტორისული ისტორიანა, მაგრამ შესაძლებელია ეს 21-ე საუკუნის მითოლოგიის შექმნის ერთგვარ მცდელობადაც აღვიქვათ. დიახ, გავიდა სინელის დრო და ოლიმპოელი ქალღმერთები დღეს ჩვენთვის უცხოა, სამაგიეროდ ნაცნობია თეთრხა-

ლათიანები, რომლებიც... ჰო, პრინციპში, რომლებიც ზუსტად იმავეს აკეთებენ, რასაც ის ქალღმერთები აკეთებდნენ ნარსულში - ხშირ შემთხვევაში ხომ თეთრხალოთიანები განსაზღვრავენ ჩვენს ბედს, გვიწყვეტენ რამდენი და როგორ უნდა ვიცხოვროთ, გვიცვლიან დღეს ნესროგს, გემართავენ, გვაცოცხლებენ, გვკლავს და ა.შ. მშვენიერი პროტოტიპები არიან თანამედროვე მითების პერსონაჟებისთვის. ეს თემის ერთგვარი დესაკრალიზაციაა - ჩვენი ბედის წარმართველი ერთი პატარა, მელიორი, მახინჯი ექიმი და მეტი არაფერი? ნუთუ ჩვენს ბედს რაიმე თანადებული და ბრწყინვალე არ წარმართავს? არაო, თქვა სტივენმა და სამი მელიორი ექიმის ანაბარა დაგვტოვა.

ბეერი რომ არ გაგვიგრძელებდეს, ნიგნის საკმაოდ სასიამოვნო საკითხავია და თარგმანიც არ იქნება სიამოვნების მიღების გზაზე დაბრკოლება. თავიდან ცოტათი ყურში მოხვდა «გადიდებული პროსტატიტი», «პროსტატიტის გასინჯვა» და სხვა მსგავსი სამედიცინო ლაფსუსები, თუმცა ეს მცირე შეცდომები ზოგადად თარგმანის ხარისხზე დიდ გავლენას ვერ ახდენენ. უნდა ითქვას, რომ ნიგნის კითხვა სახიფათოცაა სასიამოვნოსთან ერთად - კინძლო ჩაეთიროთ. 920 გვერდის ჩათრევას ეხუმრებით? უძილობის კანდიდატებში ჩაენერებით რაღვსა და ლუიზის გვერდით, თუმცა პირობას ვერ მოგცემთ, რომ თქვენი ინსომნიაც მსგავსად საინტერესოდ განვითარდება.

სულ ბოლოსკენ კი მინდა აღვნიშნო, რომ სტივენს კინგე თავხედა, ამ სტიკების საუკეთესო გავებით. ნიგნის დაწერილია ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. დაწყებულია ან იწყება ეპოქა, როცა ნიგნის ბაზარს ჰამბურგური ნიგნები იპრობენ. მკითხველი ჩქარობს, სადაც ვარის და იყო კურდღლის ერთად დაჭერის მიზნით ცდილობს ჯიბის ნიგნებს მიეძალოს და თაბიარამდე მეტროში იკითხოს. დავბა დრო, სადაც ტოლსტოის და დოსტოევსკის (განსაკუთრებით პირველს) ლიტერატურული თვითგადარჩენა ნამდვილად გაუჭირდებოდათ. და ამ დროს, ამ დიადი ეპოქალური ცვლილებებისა და ზემოქმედის სიჩქარეების განვითარების დროს, სტივენს კინგე წერს უმკვლევებ ნიგნს - ეს სხვა არაფერია, თუ არა ლიტერატურული თავხედობა და ავტორიტეტის სწორად გამოყენება. ძალიან თამამად შეიძლება ეს სიუჟეტი სამას გვერდზე გამოილიყო და ამონურულიყო, მაგრამ არა - სწორედ ამაზე სამჯერ მეტი მოცულობაა საჭირო, რომ მეტი და მეტი ადამიანი «შეჯდეს» ლიტერატურაზე. კარგია, როცა მწერალს არ აინტერესებს ოფისისკენ სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ფუნქციონერი და არ ემონება მის კონიუქტურას. კარგია, რომ მწერალს ვეხებუე ჰკვიდა ამ ადამიანის ჯიბე, სადაც ეს უმკვლეველი ნიგნის ვერაფერით ჩაეტყვა. კარგია თავდაჯერებულობა, როცა იცი, რომ ხსენებულ ფუნქციონერს ერთი სული ექნება როდის დაბრუნდება სახლში, რათა კითხვა განაგრძოს. კითხვა ამბისა, რომლის მსგავსიც მას არასდროს შეემთხვევა. შემდეგ კი მშვიდად დაიძინოს იმაზე ფიქრით, რომ ვინცინობაა რაღაცას კარგავს ძილის დროს, რაღაცა მნიშვნელოვანს.

# საქართველოს მთავრობის პოლიტიკური კურსი





o. 134/60

# 2014 წიგნიერების წელი

[WWW.PETITIONS24.COM/2014](http://WWW.PETITIONS24.COM/2014)

საქართველოში მწიგნობრობის კულტურას თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, თუმცა დღეს ქვეყანაში წიგნიერების დონე საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადება შესაძლებელს გახდის სამოქალაქო ინტერესის ფოკუსირებას განათლებისა და კულტურის საკითხებზე. აუცილებელია, შემუშავდეს გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი საჭიროებები და მსოფლიო გამოცდილება.

გაიზიარე ინიციატივა საქართველოში 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადების შესახებ და ხელი მოაწერე პეტიციას:

[www.petitions24.com/2014](http://www.petitions24.com/2014)